

# საქონლო მართვის

სამართალმცოდნეო მეცნიერებათა დოქტორის კ. ჯანაშიას სახელობის საქონლის მართვის ინსტიტუტი

№4, 2009 წელი

1591  
2009

## საქონლის მართვის ინსტიტუტი



ქართული კრედიტი  
GEORGIAN CREDIT UNION

[www.geocredit.ge](http://www.geocredit.ge)

კორდინატები:  
ფაქს-საბურთალო: ყაზბეგის გამზ. 30 (სათავე ოფისი)  
ტელ-საბურთალო: ქ. წამებულის გამზ. 53 ა.  
მთავრდება: რუსთაველის გამზ. 31 (ფოსტის შენობა)  
ტელ.: 398887; ელ-ფოსტა: [geocredit@geocredit.ge](mailto:geocredit@geocredit.ge)



**ქურნალი "ახალი ეკონომისტი"  
რევიმირებულია:**

**The Magazine "Akhali Ekonomisti" (New  
Economist) IS REVIEWED:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის  
ელექტრონულ გამოცემებში "ქართულ  
რევირატულ ქურნალში".

In "Georgian Reviewed Magazine" –  
P.L.L.E. Institute of Techninform

**აღიარებულია რევიმირებულიად:**

**IS KNOWN AS REVIEW BY:**

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- გორის უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ევროპული უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული უნივერსიტეტი

- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia Chavchavadze State University;
- Georgian Technical University;
- Tbilisi State University of Economic Relations;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Gori University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- European University;
- Akaki Tsereteli State University;
- Odesa Mechnikov National University.

**ტექნიკური პერსონალი:**  
მარკეტინგი: რუსუდან მანსურაძე  
კორექტურა: ხათუნა ბურჯულაძე  
დიზაინი: ბიძინა ჯანაბაძე

**TECHNICAL PERSONS:**  
Marketing: *RUSUDAN MAISURADZE*  
Corrections: *KHATUNA BURCHULADZE*  
Design: *GEORGI JANIBEGASHVILI*

**მისამართი:** 0105, საქართველო, თბილისი  
ჯორჯაძის ქ. №5  
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;  
ელ ფოსტა: info@economisti.ge; info@loi.ge  
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

**ADDRESS:** 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105  
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;  
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;  
e-mail: info@economisti.ge; info@loi.ge  
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge





# akhali EKONOMISTI

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,  
PRECISED AND REVIEWED №4(15), 2009

Editor-in-Chief and Head of Editorial board:  
**LOID KARCHAVA**

**EDITORIAL BOARD**  
Doctors of science, Professors:

**JAMLET JANJGAVA**

(Deputy of Editor-in-Chief.)

**MURTAZ KVIRKVAIA**

(Editor of the Scientific part, Dean of Business and Management Faculty of G. Robakidze University)

**RAMAZ ABESADZE** (Director of P. Gugushvili Economic Institute of Science Academy of Georgia); **ANZORABRALAVA**; **IURIANIANASHVILI**; **ROSTOM BERIDZE**; **GIVI GAMSAKHURDIA**; **TAMAR GAMSAKHURDIA**; **TINA GELASHVILI** (Rector of Akhaltsikhe State University); **SIMON GELASHVILI**; **REVAZ GVELESIANI** (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); **MICHAEL GOGATISHVILI**; **VASYL GORBACHUK** (Kiev, Ukraine); **VLADIMIR GRIGOLAIA** (Moscow, Russian federation); **WOLFGANG WENG** (Berlin, Germany); **SHOTA VESHAPIDZE** (Rector of European University); **NUGZAR TODUA**; **GOCHA TUTBERIDZE** (Executive Director of MFO "Georgian Credit"); **SERGEY YAKUBOVSKIY** (Odessa Mechnikov National University, Ukraine); **ELDAR ISMAILOV** (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); **REVAZ KAKULIA**; **MERAB KAKULIA**; **IRAKLI KOVZANADZE**; **PAATA KOGUASHVILI** (member of Georgian Academy of Agroculture); **HARALD KUNZ** (Brandenburg, Germany); **SHALVA MACHAVARIANI** (Vice-President of Caucasus University in sciens field); **MURTAZ MAGRADZE**; **JAKOB MESKHIA**; **ELGUJA MEQVABISHVILI** (Dean of Business faculty of Economics and Law University of Georgia); **TEDO NINIDZE**;

**ETER SARJVELADZE**; **GELASVIRAVA**; **AVTANDIL SILAGADZE** (Corresponding-member of Georgian national Academy of Science); **MIRIAN TUKHASHVILI**; **SLAVAFETELAVA**; **RUSUDAN KUTATELADZE** (Dean of Humanitarian- Social Faculty of Georgian Technical University); **LARISA KORGANASHVILI**; **TEMUR SHENGELIA**; **GIORGI SHIKHASHVILI** (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary); **LALI CHAGELISHVILI** (Dean of Business and Management Faculty of Tbilisi Economic Relations and Law University); **MICHAEL CHIKVILADZE**; **LEO CHIKAVA** (Rector of Paata Gugushvili University, Corresponding-member of Georgian national Academy of Science); **AVTANDIL CHUTLASHVILI** (Rector of Tbilisi Economical Relations State University); **AKAKI TSOMAIA**; **ZAZA TSOTNIASHVILI** (Rector of Gori University); **NODAR KHADURI**; **ELENE KHARABADZE** (Dean of Economics and Business Faculty of I. Javakhsishvili Tbilisi State University); **ETER KHARAISHVILI**; **REVAZ KHAREBAVA**; **MERAB KHMALADZE**; **DAVID JALAGONIA** (Dean of Economics and Business Faculty of Suxumi State University); **DIMITRI JAFARIDZE** (Dean of Business and legal Faculty of Ilija Chavchavadze State University); **EMZAR JGERENAIA** (Editor-in-Chief of magazine "Economy of Georgia"); **MICHAEL JIBUTI**; **JEANNETTE HOMMES** (Maastricht, Netherlands).

საქართველოს ეკონომიკის ეროვნული აკადემია

რედაქტორის ბიურო

ეკონომიკისტი

შინაარსი

ლოო შინაარსი - თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი? .....	10
პაატა კოლუაშვილი - ქართველი სამეურნეო საქმიანობის საფუძველი - ქრისტიანული ეთიკა ..	16
რეზა ბეჟუგანიანი - წარმატებული სადაზღვეო კომპანიების ეკონომიკური პოლიტიკა ...	23
მეიმ ხარაიშვილი, მარინა ნაცვალაძე - მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობა ქართული ბიოპროდუქტების ბაზარზე .....	30
ნანა ასლანაშვილი - შეხედველა პრობლემას, როგორც შესაძლებლობას, ანუ სტატისტიკის პერსპექტივები კრიზისების ფონზე .....	35
გიორგი ნანუაშვილი - მსოფლიო კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე .....	40
მანანა მხაფიძეშვილი - ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის აუცილებელი პირობები. . .	43
ლია კიტინაშვილი, ია კობიაშვილი - უცხოური ინვესტიციები საქართველოში. ....	50
ნანა თეიმურაზიშვილი - სახურსათო პრობლემის გადაჭრის გზები და სახურსათო უსაფრთხოება .....	55
არჩილ იაკობაშვილი - მონეტარული სტაბილიზაციის პროგრამა (პოლიტიკო-ეკონომიკური ანალიზი) .....	60
ლოილ ძარჩავა - PR-მენეჯმენტი - ბიზნეს-კომუნიკაციის ეფექტური საშუალება .....	72
<b>ГЕННАДИЙ МЕСХИЯ</b> - Реформа Электроэнергетического Сектора Грузии с Учетом Принципов Внутреннего Энергетического Рынка Евросоюза. ....	79
<b>СЕРГЕЙ ЯКУБОВСКИЙ</b> - Сравнительный Анализ Динамики Международных Инвестиционных Позиций Грузии, Польши и Украины .....	83
<b>АЛЕКСАНДРЕ ЛОНДАРИДZE</b> - Наше Положение: История и Современность (геоэкономический аспект) .....	89

ბიზნესის გარემო

შესრულების მაღალეფექტური სიბნელენი

რეკონსტრუქციის ახალი წიგნები

„საერთაშორისო სტატისტიკა“ .....	98
„ეკონომიკა და მართლმადიდებლური სწავლება“ .....	100

ახალი წიგნები

წერილები რედაქციას

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი .....	103
ოფისის ეროვნული უნივერსიტეტი .....	104
ქრისტინა 2009 წლის ნომრების შინაარსი. ....	105

ბიზნესის გარემო



EDITORIAL PAGE

ECO-DIGEST

SCIENCE

LEO CHIKAVA – FREE TRADE OR ECONOMICAL PROTECTIONISM? .....	10
PAATA KOGUASHVILI – GEORGIANS' AGRARIAN BUSINESS BASIS – CHRISTIAN ETHICS .....	16
REVAZ GVELESIANI - ECONOMIC POLITICS OF SUCCESSFUL INSURANCE COMPANIES .....	23
ETER KHARAISHVILI, MARINA NATSVALADZEE – SUPPLY-DEMAND CORRELATION OF GEORGIAN BIOPRODUCTS MARKET .....	30
NANA ASLAMAZISHVILI – “VIEW EVERY PROBLEMA AS AN OPPORTUNITY” OR PROSPECTS OF STATISTICS IN FRONT OF THE CRISES .....	35
GIORGI NANUASHVILI – GEORGIAN ECONOMICS IN THE CONDITIONS OF THE GLOBAL CRISIS .....	40
MANANA MCHEDLISHVILI – NECESSARY CONDITIONS FOR EFFECTIVE EMPLOYMENT .....	43
LIA PITIURASHVILI, IA KOBIASHVILI – FOREIGN INVESTMENTS IN GEORGIA .....	50
NANA TEVDIRASHVILI – THE WAYS FOR SOLVING OF FOOD PROBLEMS AND FOOD SECURITY .....	55
ARCHIL JACOBASHVILI - MONETARY STABILISATION PROGRAM (polit-economic Issues) .....	60
LOID KARCHAVA - PR-MANAGEMENT - EFFECTIVE MEAN OF BUSINESS-COMMUNICATION .....	72
GENNADY MESKHIA - THE REFORM OF THE GEORGIAN ELECTRIC ENERGY SYSTEM BASED ON EUROPEAN UNION INTERNAL ENERGY MARKET PRINCIPLES .....	79
SERGEY YAKUBOVSKIY - COMPARATIVE ANALYSIS OF THE DYNAMICS OF INTERNATIONAL INVESTMENT POSITIONS OF GEORGIA, POLAND AND UKRAINE .....	83
ALEKHSANDRE LONDARIDZE - OUR CONDITION: HISTORY AND CONTEMPORANETY (Goeconomical aspect). .....	89

ABOUT BUSINESS

FOREING ECONOMIC NEWS

REVIEWS ABOUT NEW BOOKS

“INTERNATIONAL STATISTICS” .....	98
“ECONOMICS AND ORTODOX STUDIN” .....	100

LETTERS TO EDITOR

AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY .....	103
ODESSA MECHNIKOV NATIONAL UNIVERTSITY .....	104
CONTENTS FOR THE 2009 YEARS IN MAGAZINE .....	105

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

# მრავალ ახალ წელს კვირფასო მკითხველო

ძვირფასო მკითხველო, უკვე ტრადიციად გვექვა რედაქტორის გვერდის მეშვეობით მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ სიახლეების შესახებ, რასაც მომავალში ვაპირებთ. გარდა ამისა, ეს გვერდი გვაძლევს საშუალებას მოგაწოდოთ ინფორმაცია იმ მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, რასაც გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო /ეურნადის გამოსხვდის პერიოდულობა/ ვერ ხერხდება ვრცელი მოცულობით სტატიების მოწოდება.

წლის დასასრულს გვინდა შეგავაძოთ, თუ რამდენად შედეგიანი იყო გასული წელი ჩვენი ეურნადისათვის. შემოიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად არ იყო უშედეგო. ეურნადი გახდა საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი, შემოგვებატა ბევრი ახალი რედაქციის წევრები, მათ შორის რექტორები და დეკანები, სტატიების გამოქვეყნება დაიწყო უცხოელმა მეცნიერებმაც, განიდა ახალი რუბრიკებიც, ეურნადმა უკვე საქართველოში თითქმის ყველა წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი და რეგიონი მოიცვა (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, ახალციხე).

როგორც მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინ, 25 დეკემბერს 32 წელი შესრულდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარების ილია II-ის აღსაყდრებდიან. გულითადად გულოცავთ რედაქციის სახელით ჩვენი ერის სულიერ მამას, გამორჩეულს რწეულთა შორის და ეუსურვებთ მხნეობას, გამძლეობას და ყველაფერს საუკეთესოს ქართული ეკლესიისა და საქართველოს საკეთილდღეოდ.

მე, როგორც ეურნად „ახალი ეკონომისტი“ მთავარმა რედაქტორმა მივიღე გადაწყვეტილება / იმედი მაქვს კოლეგები არ „დამმრახავენ“, რომ ეურნად „ახალი ეკონომისტი“ ვურცლებზე 2009 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული საუკეთესო სამეცნიერო სტატიისათვის ავტორი დაგაჯილდოვოთ 100 ლარით შპს „დლი“-ს ანგარიშიდან. ჩვენ გვესმის, რომ ეს თანხა

სიმბოლურია, თუმცა ვფიქრობთ, რომ ეურნადში გამოქვეყნებულ საუკეთესო სტატიათა გამოვლენის პროცესი მიიღებს სისტემატიურ /ყოველწლიურ/ ხასიათს. შესაბამისად, დასაჯილდოებული თანხის მოკლებობაც ეტაპობრივად გაიზრდება. მომავალი 2010 წლის საუკეთესო სტატიისთვის ჯილდო არანაკლებ 5-ჯერ მიიხვ გაიზრდება. საუკეთესო სტატია გამოვლენილ იქნება ეურნადის სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის შედეგი გამოქვეყნდება ეურნად „ახალი ეკონომისტი“-ს 2010 წლის პირველ ნომერში.

ხეობადნიშნული სიახლიდან გამოიძინარე, ეურნად „ახალი ეკონომისტი“-ს სარედაქციო კოლეგიის სახელით ეურნადის მომავალ ავტორებს ვთხოვ, გაითვალისწინონ ეს სიახლე და სამეცნიერო სტატიის შინაარსობრივ მხარესთან ერთად დაიცვან სტატიისხალში წაყენებული ტექნიკური მოთხოვნებიც, რომელსაც თითქმის ყველა ნომერში ვაქვეყნებთ.

ამახთან, ჩვენს ძველ და ერთგულ მკითხველს გვინდა ვაუწყოთ, რომ განვაახლოთ რუბრიკა „ბიზნესის გარშემო“. შესაბამისად, ამ ნომერში ეურნადის სტუმარია მიკრო საფინანსო ორგანიზაცია „ქართული კრედიტი“ ადმინისტრაციული დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ბატონი გონა თაბუაშვიტი.

და ბოლოს, ეურნად ახალი ეკონომისტი“-ს სარედაქციო კოლეგიის სახელით ვულოცავ მიველ საქართველოს დამდეგ ახალ 2010 წელს და ვუსურვებ, ახალ წელს წარმატებები მოეტანოს თითოეული ჩვენი ეურნადის მკითხველისათვის და მილიანად საქართველოსათვის. იმედი მაქვს, უფლის ნებით, ხალხის ერთსულოვნებითა და ერთიანობით ყველაფერი კარგად იქნება.

ლოიდ ძარჩაშა  
29.12.2009

ბატონი ეკონომისტი



# HAPPY NEW YEARS DEAR READER

Dear reader, it has become a tradition to inform you about the novelties, we are going to do, by the means of the page of the editor. What's more, this page gives us an opportunity to let you know the information about that important, actual matters, about what we can't make long articles because of certain objective reasons /periodicity of magazine's appearance/.

At the end of the year we want to sum up our journal's last year efficiency. I can say, that it really was not futile. The magazine has become international reviewed one, we have also added new editorial board members, rectors and deans, foreign scientists have began to publish articles, new rubrics have appeared, the journal has penetrated almost to the all leader high colleges and regions ( Batumi, Zugdidi, Khutaisi, Gori, Akhaltsikhe).

As you know, several days ago, on the 25 of December, it was the date of 32 years from the making a monk of the highest ecclesiastic in Georgia, the most thin and the most blissful Ilia the second. Warm congratulations to our nation's spiritual father, the best in the chosen ones from our editorial board. We wish him cheerfulness, solidity and everything the best for the prosperity of Georgia and Georgian church.

As the head editor of the journal „New Economist”, I've maid a decision /I hope, my colleagues will not “blame” me/ to reward the best 2009 scientific article's ( published in the journal „New Economist”) author by 100GL from the

account of „LOF” Ltd. We understand, that this sum is symbolical, but we think that showing the best articles, published in our journal, will continue methodically/annually/. So, the sum will also increase stage by stage. The prize for the next 2010 the best article will rise no less 5 times. The best article will be chosen be the editorial board and the result will be published in the first issue of the magazine „New Economist” of 2010 year.

Hence it follows that we ask the future authors of the journal „New Economist” to foresee this novelty and with the content of the scientific articles also defend the technical demands, which are published nearly in every issue of the magazine.

Herewith, we also want to inform our old and devoted reader that we have renewed the rubric „Around the business”. Also, we have the guest in this issue, Mr. Gocha Thuthberidze, the executor director of micro financial organization „Georgian Credit”, Dr. of Economics .

And at last, by the name of editorial board of the magazine „New Economist” we wish the happy new 2010 year to the whole Georgia and also have a great desire - we want this new year to be successful for every reader of our journal and whole Georgia. I hope, by the will of the God, people's unanimity and unity, everything will be all right.

**LOID KARCHAVA**  
29.12.2009

საქართველოს ეკონომიკის ჟურნალი



# ეკო-დაიჯესტი

## „საქართველოს ბანკი“ კონსიციუმს იხმარებს

„საქართველოს ბანკი“ 2009 წლის შედეგები შეჯამა. მიმდინარე კრიზისული წლის მიუხედავად, ბანკმა წელი მნიშვნელოვანი ფინანსური მოგებით დაასრულა. კერძოდ, 2009 წლის III კვარტალში „საქართველოს ბანკის“ მთლიანმა შემოსავალმა 61,5 მილიონი ლარი შეადგინა, წმინდა მოგება კი 10,8 მილიონი ლარი.

2009 წელს „საქართველოს ბანკში“ მნიშვნელოვნად გაიზარდა კლიენტთა დეპოზიტების მოცულობა. მაგალითად, წლეულს იანვრიდან ნოემბრამდე „საქართველოს ბანკში“ კლიენტთა დეპოზიტები 16,6%-ით გაიზარდა და 1,1 მილიარდ ლარს გადააჭარბა. იზიკური პირების დეპოზიტების ოვალსაზრისით, 2,8-ით გაიზარდა „საქართველოს ბანკის“ საბაზრო წილი.

2009 წელი II ნახევარში ბანკმა სხვადასხვა ტიპის სესხებზე საპროცენტო განაკვეთები შეამცირა და გაზარდა ყოველთვიური დაკრედიტების ლიმიტი. მაგალითად, მიკროსესხების საპროცენტო განაკვეთი 16%-მდე შემცირდა, იპოთეკურ სესხზე – 14,5%-მდე, ავტოსესხების – 16%-მდე, სამომხმარებლო სესხზე კი – 18%-მდე.

ამასთან, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ 2009 წლის III კვარტალში, „საქართველოს ბანკში“ შეიწერდა ვადაგადაცილებული სესხების ზრდა და II კვარტალთან შედარებით, საერთო ჩაჩვენებულმა 6%-ით იკლო.

## სურსათის უსაფრთხოების

### კონტროლი მხოლოდ 2015 წლის შემდეგ

„სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ“ საქართველოს კანონი პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2005 წლის ბოლოს, თუმცა მისი იმქმედება (სახელმწიფო კონტროლი და ინსპექტირება) დროებით 2006 წლიდან იქნა შეჩერებული. მოგვიანებით, ორჯერ მოხდა კანონის ამ ნაწილის ამოქმედების ვადის გადაწევა და ის საბოლოოდ 2010 წლის იანვრიდან უნდას შესულიყო

ძალაში, მაგრამ საბოლოოდ კანონის მოღიანო ამოქმედების ვადამ გადააწია 2015 წლამდე.

ამ უკანასკნელმა გადაწყვეტილებამ სურსათული შემწეობა გამოიწვია ქართველ ექსპერტთა შორის, რომლებიც ჩვენს სახურხაო ბაზარზე შექმნილ სიტუაციას ისევე აღსაყვამლოდ მიიჩნევენ.

## საშემნებლო სექტორში ბაზროცოცხლება ბრძოლდმბა

2009 წლის III კვარტალში, II კვარტალთან შედარებით, სამშენებლო ბრუნვა 21%-ით გაიზარდა, I კვარტალთან შედარებით კი 88%-ით და 353,2 მლნ. ლარს მიაღწია. სექტორში III კვარტალში 350,1 მლნ. არის პროდუქცია გამოუშვა (I კვარტალში იყო 186,9 მლნ. ლარი, II-ში 291,7 მლნ.). I კვარტალში სექტორში დასაქმებული იყო 22.754 ადამიანი, ხოლო III-ში კი 31.391-მდე დასაქმებულია საშუალო ანაზღაურება ამ კეაბზე შეადგენს 770,6 ლარს.

## მთავრობის ახალმ ინიციატივამ აღბრლოზრძივი წარმომების ღაცვამს უმსახურმბა

ადგილობრივი წარმოების დაცვისა და იმპორტთან კონკურენციული პირობების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს მთავრობის ინიციატივამ მხარდაჭერილ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ და 2010 წლის იანვრიდან 12%-იანი საბაჟო განაკვეთით დაიბეგრება საქართველოში განხორციელებული იმპორტი – კარტოფილის, ხაყვები ზეთის, ქაბოს, შოკოლადის, აგრეთვე პლასტმასის ნაწარმის, ელექტროკაბელების, ხის მორების, პიჯიენური საშუალებების, შამპუნის, ტუალებების საპონის, სხვა დასაბანი საშუალებების, ხარეცხი და საწმენდი სასუალებების. ასევე, დაიბეგრება სამშენებლო და სარემონტო მასალების იმპორტი – მათ შორის, პანელების, ფილების, ბლოკების და სხვა მსგავსი

თბილისში



ნაწარმის, რომელიც ცემენტით, თაბაშირით ან სხვა მინერალური შემკვრელი ნივთიერებებით იქნება წარმოებული. დაბეჭდვის ობიექტი იქნება აგრეთვე ყველა სახეობის ლურსმანი, ხრახნები, ჭანჭიკები. გარდა ამისა, აღნიშნული ცვლილება შეეხება იმპორტირებულ ჭურჭელს, აბაზანისა და სამზარეულოს მოწყობილობებს, ყველა სახის ღუმელს. გაზრდილი ტარიფით დაიბეჭდება ხაიუველირო ნაწარმიც.

სამაგიეროდ საბაჟო გადასახადი განუდდება სიმინდ ზე, დაღერდიდ მარცვლულ ზე, ბურბუშელაზე, წიწიბურაზე, პერკულუსზე, საღათის ფურცლებზე, ხილის ექსტრაქტებზე, კვარამიკულ თიხებზე, ასბესტზე და კვარციტის მარილზე.

**სარკინიგზო მარშრუტული  
შემოწმების ბარში შენდება**

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. ს/ს „ახერბაიჯანის რკინიგზის“ მთავარ ინჟინერ გურბან ნახორაის განმარტებით, სამუშაოები მიმდინარეობს საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე. გრაფიკიან ჩამორჩენა არ შეინიშნება“. ცნობისათვის: ახალქალაქის სადგურის მშენებლობას ასერბაიჯანული კომპანია „კონტურ“ გაიხად დაიწყო და 2011 წლისათვის დასრულდება.

**მისამე კვარტალში ყვილზე მძტი  
0688სტიციია მრეწველობაში შემოვიდა**

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში 223.578.400 აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა საქართველოში. სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, ყველაზე მეტი მრეწველობაში შემოვიდა – 80 მლნ. 995 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, მეორე ადგილზე კი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროა – 63 მლნ. 934 ათასი დოლარით. რაც შეეხება მშენებლობას, მასში, ამ პერიოდში დაბანდებულ იქნა 57 მლნ. 683 ათასი დოლარი. შეიძლება ითქვას, რომ ინვესტიციების შემოდინება გაუმჯობესებულია ყველა სექტორში, საბანკო სექტორის გარდა, სადაც პირიქით – 11,488 მლნ. აშშ დოლარის გადინებას აქვს ადგილი. ინვესტორ ქვეყანათა რეიტინგში ლიდერობენ

უვიპტე (70 მლნ. აშშ დოლარი), ვანამა (52,43 მლნ. აშშ დოლარი) და აშშ (35,084 მლნ. დოლარი) შემდეგ მოდიან თურქეთი (26,331 მლნ. დოლარი) და არაბეთის გაერთიანებული საემიროები (18,475 მლნ. დოლარი).

**ღვინის ექსპორტი შემცირდა**

საქართველოდან ღვინის ექსპორტი 2009 წლის იანვარ-ნოემბერში, 2008 წლის იმავე პერიოდთან შედარებით 13%-ით (1,523 მლნ. ბოთლით) შემცირდა. ამ პერიოდში სულ ექსპორტირებულ იქნა 10.015.392 ბოთლი ღვინო. ღვინის ექსპორტს 60 კომპანია ახორციელებს მსოფლიოს 48 ქვეყანაში. ექსპორტის უდიდესი წილი მოდის უკრაინას, კერძოდ, ექსპორტის 40%-ი.

**შემოსავლების სამსახურმა  
„ჯემოსალის“ სარჩელი არ  
დააკმაყოფილა**

შემოსავლების სამსახურის დაგების განხილვის საბჭომ ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „ჯეოსელის“ სარჩელი არ დააკმაყოფილა. კომპანიამ ახალი ხარხელი ფინანსთა სამინისტროს დაგების განხილვის საბჭოში შეიტანა. საქმე ეხება კამერული შემოსულების შედეგად „ჯეოსელის“ 101 მილიონი ლარით დაჯარიმებას. საბჭოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში „ჯეოსელს“ შეუძლია ის სასამართლოში გაასაჩივროს.

**ფულადი ბზანვილში კვებულობ**

2009 წლის ნოემბერში ქვეყანაში შემოსული ფულადი ბზანვილების მოცულობამ 72,4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც ოქტომბრის მაჩვენებელზე 10,3%-ით ნაკლებია. საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ეს ძირითადად რუსეთიდან მათი ნაკადების 6 მლნ. აშშ დოლარით კლებამ გამოიწვია. ასევე, ოქტომბერთან შედარებით, ნოემბერში 0,4 მლნ. აშშ დოლარით არის შემცირებული საქართველოდან საზღვარგარეთ ფულადი გადარიცხვების მოცულობა.

ახალი მკონტრისტი

„სახალხო ბანკის“ წმინდა აქციონერთა საპრობლემატო...

ს/ს „სახალხო ბანკის“ წმინდა აქციონერები მთავარი აქციონერის, Liberty Capital-ის (92,218%) შთავაზუნებს აქციების გამოსყიდვის თაობაზე, არ გამოხმაურებიან. თუ შეიძლება სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს აკონტროლებს, იგი ვალდებულია, ყველა დანართან აქციონერს შესთავაზოს მათი აქციების გამოსყიდვა. ფასი 0,018 დარით განისაზღვრა (რა ფასადაც Liberty Capital-მა საკონტროლო პაკეტი შეიძინა). წინადადება 2010 წლის 4 იანვრამდე ძალაში.

ბრძოლაში ვიტრუსის მძებრები

ქართული ციტრუსის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი 50 მლნ. დარს აღემატება. ქვეყნიდან 32 ათას ტონაზე მეტი ციტრუსია ექსპორტირებული. ყველაზე დიდი მოცულობით პროდუქცია უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელარუსის ბაზრებზე გადის და ექსპორტს 20-ზე მეტი კომპანია ახორციელებს.

საკომუნიკაციო კომპანია ბაკოტრდა

საკომუნიკაციო კომპანია „ინფორტელმა“ ფინანსური პრობლემების გამო მუშაობა შეწყვიტა. კომპანია საერთაშორისო ინდექს „89“-ისა და თბილისში 19 XX XX სატელეფონო...

ნუმერაციის რესურსების მფლობელია. მან საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში ავტორიზაცია 2006 წელს გაიარა. მან სისწორეების 10 წლიანი ლიცენზია 2003 წელს აქვს მიღებული.

„პარკ ჰაიატი თბილისის“ მშენებლობა ღრობით შეჩერდა

საერთაშორისო კერძო ინვესტიციების ამერიკულმა კორპორაციამ (OPIC) სასტუმრო „პარკ ჰაიატი თბილისის“ მშენებლობისათვის საკრედიტო ხაზის გამოყოფაზე უარი განაცხადა. მანამდე პროექტიდან გასვლის გადაწყვეტილება რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროკავშირმა ბანკმა (EBRD) მიიღო. თბილისში 5-ვარსკლავიანი სასტუმრო „პარკ ჰაიატი თბილისის“ კომპანია „ლიოილ ესთეითი“ აშენებს. დაფინანსების მოძიებამდე, კომპანია პროექტის განხორციელებას დროებით აჩერებს. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 250 მლნ. აშშ დოლარიდან 100 მლნ. აშშ დოლარამდე შემცირდა.

ექორ-დაიჯესტი ქართულ წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა თამთა ფატიშვილმა

სახალი მკონტრესტი



ქართული  
სოციალური  
ეკონომიკური  
აქტივისტი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული  
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,  
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე



ვაჭრობა მთელ მსოფლიოში ეკონომიკის საყოველთაოდ აღიარებულ ამ პრინციპს შორის ერთ-ერთი უმთავრესია, რამეთუ იგი სასარგებლოა ყველა მონაწილისათვის – როგორც გამყიდველისათვის, ისე მყიდველებისათვის. ეს უცილობელი ჭეშმარიტებაა, რომელიც კამათს არ იწვევს. პერმანენტული დისკუსიის საგანია სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში უპირატესობა თავისუფალ საქონელბრუნვას (ვაჭრობას საბაზო ტარიფებისა და იმპორტის კოტის გარეშე) უნდა მიენიჭოს თუ საეკატრო პროტექციონიზმს.

ამთავითვე და საეკატებით ნათლად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თუ რაიმე სერიოზულ ხელშეშლელ გარემოებებს (მაგალითად, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეთა მკვეთრ დიფერენციალს) გამოვრიცხავთ, მიზანშეწონილია თითოეულმა სახელმწიფომ განახორციელოს თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა, რამდენადაც იგი ხელს შეუწყობს:

- ეკონომიკის კარნაქტილობის (აგტარკის) დაძლევა, ე.წ. „ზარმაცი ეკონომიკის“ დაშედეგებისთვის საფუძვლის გამოცდას და საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას;

- იმპორტიორი ქვეყნის მოსახლეობის სამომხმარებლო საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას, უახლესი ნაწარმით მის შეესებას, ხარისხის გაუმჯობესებასა და მომხმარებელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებას;

- უპირატესად საქონლის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების სტრატეგიაზე აგებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას;

- ექსპორტიორ ქვეყანაში წარმოების აღჭურვას უახლესი ტექნიკით, მაღალი (მეცნიერებატყვეადი)

ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას, კადრების პროფესიონალური მომზადების სრულყოფას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასა და საქონლის, ინტერნაციონალურ ღირებულებასთან შედარებით, ეროვნული ღირებულების შემცირებას. სხვანაირად შეუძლებელია კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვება და მაქსიმალური მოგების მიღება;

- მსოფლიო ბნაზარზე საქონლის საცალო ფასების შემცირებას, ნაწარმის შედარებით გაიაფებას და მიმხმარებლისათვის ხელმისაწვდომობას, რამდენადაც ექსპორტიორს გარკვეული ზომით უშეცდობა ხარჯები და საქონლის დაბალ ფასში გაყიდვის პირობებშიც ძალსუ მის მიღებას;

- შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, სპეციალისტების პროფესიის მიხედვით დასაქმებას და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანას;

- ექსპორტის გადიდების კვალობაზე, ქვეყნის საგადასახადო შემოსავლის ზრდასა და საფინანსო სისტემის გამყარებას;

- ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნას და უცხოური ინვესტიციების მაქსიმალური ოდენობით მოზიდვას.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მისი ყველა მონაწილისთვის ასეთ პოზიტიურ შედეგებს იძლევა არა ყველგან და ყოველთვის, არამედ ეკონომიკური განვითარების დაახლოებით თანაბარი დონის მქონე ქვეყნების ურთიერთთანამშრომლობისას. როგორ ვითარდება ამ მხრივ მსოფლიოში? – ცხადია, ფრთხილ კონტრასტული. არსებობენ ეკონომიკურად მაღალგანვითარებული, განვითარებადი და ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული რეგიონები, კონტინენტები, ქვეყნები, რომლებსაც რადიკალურად განსხვავებული შესაძლებლობები

საქართველოს ეკონომიკისათვის

აქვთ. 2008 წლის მონაცემებით, მთლიანი ეროვნული პროდუქტი (შეიღველუნარიანობის გათვალისწინებით), მოსახლეობის ერთ სულზე განვარაშებით, განვითარებულ რეგიონებში იწარმოება 32,3 ათ. ამერიკული დოლარის ოდენობით, რომლებსაც განვითარებადი რეგიონების შესაბამისი მაჩვენებელი 6-ჯერ, ხოლო ეკონომიკურად ძალიან სუსტად განვითარებული რეგიონებისა 26,9-ჯერ ჩამორჩება. კონტინენტის შორის ასეთი თანაფარდობაა: მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს ჩამორჩება: აზიის შესაბამისი მაჩვენებელი 1,7-ჯერ და აფრიკის - 1,8-ჯერ, ხოლო აღმავტება: ევროპის 2,6-ჯერ და ჩრდილოეთ ამერიკისა - 4,6-ჯერ.

ცალკეული ქვეყნების მაჩვენებლები კიდევ უფრო მეტადაა ერთმანეთისაგან დაშორებული ასე, მაგალითად, მთლიანი ეროვნული პროდუქტი, მოსახლეობის ერთ სულზე განვარაშებით 2008 წელს წარმოებულ იქნა (ათ. დოლარებში, შეიღველუნარიანობის გათვალისწინებით): ლუქსემბურგში - 64,3 ნორვეგიაში - 58,5, კუვეიტი - 52,6, სინგაპურში - 47,9, აშშ - 47,0, შვეიცარიაში - 46,5, ჰონკონგში - 43,9, ნიდერლანდებში - 41,7, შვედეთში - 38,2, ავსტრიაში - 37,7, ორლანდიაში - 37,3, კანადაში - 36,2, დიდ ბრიტანეთში - 36,1, ფინეთში - 35,6, იაპონიაში - 35,2, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი 1000 დოლარს არ აღემატებოდა აღბერაში, მალაეში, ნიგერში, სიერალეონეში, ტონგაში, ეთიოპიაში, ერიტრეაში, მოზამბიკა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (1). საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში წარმოქმნილ არაორდინალურ გარემოებათა მუხებში ეკონომიკურ მაჩვენებელთა მკვეთრად გაუარესების გამო (მაგალითად, მშპ-ის წარმოება ჯერ კიდევ დაახლოებით 40 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის მიღწეულ დონეს), საქართველოც განვითარებადი ქვეყნების კატეგორიას განეკუთვნება. 2008 წელს აქ, მოსახლეობის ერთ სულზე განვარაშებით, მთლიანი ეროვნული პროდუქტი წარმოებულ იქნა 4,8 ათ. დოლარის ოდენობით. ეს მაჩვენებელი, ჩემი აზრით, რამდენადმე ხელნერყვარადა გაბერადი. მიუხედავად ამისა, იგი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს 6,7-ჯერ ჩამორჩება.

ასეთ ვითარებაში თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა პრივილეგიურ მდგომარეობაში აყენებს

ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ და არა სუსტად განვითარებულ ქვეყნებს, რამდენადაც ექსპანსიონალური დაბალკონკურენტუნარიანი (რაც შემთხვევაში კი საერთოდ არაკონკურენტუნარიანი) არიან მსოფლიო ბაზარზე და ადვილად თმობენ პოზიციებს. სუსტი ეკონომიკა ასოცირდება ჩამორჩენილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან, მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებლობასთან, მქნიერბატევი დარგების განვითარებლობასთან, კადრების დაბალ პროფესიონალიზმთან, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის უახლესი მეთოდების არაჯერონად ათვისებასთან და ა.შ. ყოველივე ეს კონცენტრირებულ გამოხატულებას პოულობს თითოეული ქვეყნის ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობაში. ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებში, როგორც წესი, ექსპორტი სჭარბობს იმპორტს, ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებში კი, პირიქით, იმპორტი დომინირებს ექსპორტზე. ამის კლასიკური მაგალითია დღევანდელი საქართველოს ეკონომიკა. 2008 წელს ჩვენი ქვეყნიდან მსოფლიო ბაზარზე გატანილ იქნა 1,5 მლრდ აშშ დოლარის ნაწარმი, ხოლო შემოტანილ იქნა 6 მლრდ დოლარის ნაწარმი, ანუ, ექსპორტირებულთან შედარებით, 4-ჯერ მეტი (2). თუ დინამიკას გადავავლებთ თვალს, ადვილად შეგაშინვეთ ნეგატიური ტენდენციის გაღმავებას - ექსპორტთან შედარებით, იმპორტის წინაშე რები ტემპებით ზრდის და მათ შორის თანაფარდობის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შეცვლას. ეს მაჩვენებელი თუ 2000 წელს იყო 1 : 2,2-თან, 2008 წელს გახდა 1 : 4-თან.

მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის შეფასებით, 2006 წელს საქართველოს კონკურენტუნარიანობის განზოგადებული ინდექსი შეადგენდა 3,73-ს, რომლითაც მან მსოფლიოს ურთიერთშედარებულ 125 ქვეყანას შორის 85-ე ადგილი დაიკავა რეიტინგს ლიდერობენ შვეიცარია (5,81), ფინეთი (5,76) და შვედეთი (5,74). რაც შეეხება საბაზისო ფაქტორების მწარმოებლურობისა და ინოვაციური ფაქტორების ქვეინდექსებს, საქართველოსათვის ისინი შეადგენდა 4,20-ს, 3,36-სა და 3,09-ს, რომელთა მიხედვითაც მან 82-ე, 87-ე და 113-ე ადგილები დაიკავა (3).

საქართველოს ბაზარი დღეისათვის უხვადაა გაჯერებული იმპორტული საქონლით. როცა ეს ეხება იხეთ ნაწარმს (მაგალითად, ავტომობილებს, ტრაქტორებს, კომპიუტერებს, თანამედროვე დაზღვა-დანადგარებს, რთულ მოწყობილობებს, მედიკამენტების დიდწილად მწარმოებელ ნაწილს, ასევე,

საქართველოს მთავრობის განცხადება

1. განვითარებადი ქვეყნებისადმი საქართველოს მიკუთვნება არ მიმართა მართებულ გადაწყვეტილებად. როგორც ჩანს, ამაში გადაწყვეტი რთლი ხვერთაშორისო ხაფინანსო ორგანიზაციისაგან (ხვერთაშორისო საეკონომიკური ფონდი, მშენებლობის მსოფლიო ბანკი და სხვ) დახმარების მადლებს სურვილმა განაპირობა.



# მეცნიერება

ქვეს, კაცის ბანანს, ზეთის ხილს და სხვ. რომელიც ჩვენთან, დიდი მოთხოვნის არსებობის მთუხედავად, საერთოდ არ იწარმოება, ცხადია, მისასაღებელია დამის კიდევ უფრო გასაძლიერებლად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება სავესებო გამართლებულია. ასეთივე პოლიტიკის გატარება არ მიმანია მართებულად, როცა საქმე გვაქვს ისეთ საქონელთან, რომლის ანალოგი ჩვენი ქვეყნის ფარგლებშიც იწარმოება, თანაც, როგორც შემთხვევაში, გამოჩენული ხარისხისა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გარდაბეჭდვად შეიძლება შიშქმინილი დროებითი სიმძვინვარების პერიოდად, ნაკლებად კორკერენტურარიანია და სათანადო მეტოქეობას ვერ უწევს იმპორტულ შედარებით იაფ, მიმზიდველად გაფორმებულ, დამახად შეფუთულ და საკუთესო გტიკეტის მქონე (თუმც, არცთუ იშვიათად რამდენადმე მდარე ხარისხის) ნაწარმს. ფუქრობ, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის ვეროვან დონეზე ამოქმედება არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა.

ამ საკითხისადმი ჩემი მიდგომის კიდევ უფრო ნათელსაყოფად, საჭიროდ მიმანია საკითხის შედარებით დეტალური განხილვა ზოგიერთი ნაწარმის მაგალითზე. ავიღოთ ჩაი. ჩაის ბუნქი გავრცელების არეალზეზღუდული კულტურაა, ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე ხარისხივანი ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების 95 პროცენტი საქართველოზე მოდიოდა. იგი ევროპის არცერთ ქვეყანაში (თუ კრასნოდარის მხარეში არსებულ მლანტავციების უმრინველო ფართს არ მივიღებთ მხედველობაში) არ ხარობს, ამიტომ ჩაისზე მოთხოვნილებას ეს ქვეყნები მთლიანად იმპორტული ნაწარმით იკმაყოფილებენ. 1985 წელს საქართველოში წარმოებულ იქნა 145 ათასამდე ტონა შავი მწვანე ბაისის ჩაი, რომლის დაახლოებით 97 პროცენტი ექსპორტირებულ იქნა საქართველოს ფარგლებზე გარეთ. ამჟამად კი, პირიული, ქართული იარ თითქმის მთლად იანად გამოდენილია საქართველოს შიგა ბაზრიდან. საეკტო ქსელში 95 პროცენტზე მეტი უცხოური წარმოების (მეტწილად დაბალი ხარისხის) ჩაი იყიდება და რეალიზაციის მხოლოდ 4-5 პროცენტი უჭირავს ადგილობრივ ნაწარმს. საეკტისხმა იხიც, რომ საქართველოს ბაზარზე ჩაის ძირითადი მოწოდებლები არიან არა ჩაის ტრადიციული მწარმოებელი ქვეყნების (ჩინეთი, იაპონია, ცილონი და სხვ), არამედ დიდი ბრიტანეთის („რიხტონი“, „ახმად ჩაი“, „ტინინგსი“), ამერიკის („აიბტონი“), რუსეთის („გრენფოლდი“) კომპანიები.

ჩაის წარმოებისათვის ისეთი ფრიად ხელსაყრელი პირობების მქონე ქვეყანაში, როგორც

საქართველო, ყოველწლიურად საშუალოდ 2 ათის ტონაზე მეტი იმპორტული ჩაი შემოდის. თანაც, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი კონტრაბანდურად ქართულ ბაზარზე ფასების მანიპულირებით ადვილად ჯაბნის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ჩაის პროდუქციას. ამ მიმე მდგომარეობიდან თავის დაღწევის ერთ-ერთი მთავარი გზა, ჩემი აზრით, იმპორტული ჩაის ექსპანსიისგან ადვილობრივი ბაზრის დაკევაა. ქართული ჩაის, რომელიც ხარისხობრივი მახასიათებლებით არ ჩამოუვარდება საზღვარგარეთ დამზადებულს, ცალკეულ შემთხვევებში კი (მაგალითად, წყალტუბოსა და ტყებულის რაიონებში წარმოებული) ჯობნის კიდევ მას, ხელსაყრელი პირობების შექმნით (საბაო ტარიფების შეშუვებით დამცავი მექანიზმის გამოყენება, დოტაციის გამოყოფა და სხვ) უნდა გაუქაფოთ გზა არა მარტო ადგილობრივ, არამედ მსოფლიო ბაზარზეც, რაც დააჩქარებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღორძინებას.

საქართველო სავესებო კანონზომიერად ითვლება ვაზის სამშობლოდ, მედენიკობა კი მის ერთ-ერთ უძველეს და ტრადიციულ დარგად. ქართულ ღვინოებს, ხარისხობრივი მახასიათებლებით გამოჩენილობის გამო, საერთაშორისო გამოფენებზე (დევუსტაციებზე) არაერთხელ მიუღიათ ოქროსა და ვერცხლის მედლები. არც ის იყო შემთხვევითი, რომ 1962 წელს საქართველოში ჩატარდა მევენახეთა და მეღვინეთა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც უძღვებოდა ცნობილი ფრანგი მეცნიერ-ენოლოგი ღერუა. მან კითხვაზე, თუ „როგორი შთაბეჭდილებისაა იგი ქართულ ღვინოებზე?“ ასეთი არაორაზროვანი პასუხი გასცა: „ჩემს დარჩენილ ცხოვრების წლებს სიამოვნებით გავატარებდი იმ სურნელებაში, რომელიც იფრქვეა ყვარლის ღვინსაცავში“.

როგორც ცნობილია, ქართული ღვინის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მისი დაყენების ტექნოლოგიაზე, მაგრამ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მისი მთავარი განმსაზღვრელი მანც საქართველოს სპეციფიკური ბუნება, მისი არაოდინალური ნიადაგურ-კლიმატური პირობებია. ამიტომ, რომ თით საქართველოს ტერიტორიაზე ერთი და იგივე ჯიშის ვახისგან (რომელთა საერთო რიცხოვნება 500-ს აღემატება) ყველგან (სხვადასხვა რეგიონში განლაგებულ და არაერთნაირი კონფიგურაციის ნაკვეთებზე) ერთნაირი გემოვნებისა და არომატის მქონე ღვინო არ მიიღება. ყველაფერი ეს ოდითგანვე კარგადაა ცნობილი მომხმარებლისათვის, თანაც,

ახალი ეკონომიკა

არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, რომ არა უსოდუნ საყოველთაო აღიარება და ავტორიტეტი, მელენიუობა საქართველოში ვერ ჩამოყალიბდებოდა. საერთაშორისო სპეციალიზაციის დარგად, არც ისაა უმინშენელო ფაქტი, რომ ძირითადად ქართული ვაზის ჯიშებია გაფრქვლებული ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, მოლდოვაში, ბულგარეთში და რიგ სხვა ქვეყნებში. ყოველივე ამის მიუხედავად, დღეისათვის ჩვენში ყურნისსაგან დაშხადებულ აღკოზობულ სახმელეს (ღვინო, ბრენდი, ზაგრატიონი და სხვ.) უჭირს ანალოგიური ნაწარმის გამსაღებლებთან მეტოქეობის გაწევა არა მარტო საერთაშორისო, არამედ შიგა ბაზარზეც თუ სახელმწიფო (დროებით მაინც) არ გაუმადრებს პოზიციებს, თითოეული ქართველისათვის სათაყვანებელი ეს დარგი-მეღვინეობა შეიძლება აღოვაგოს პირიდან მიწისა. სამწუხაროდ, ამის სიმპტომები სახეზეა. მსედველობაში მაქვს (თუმცა, ვერჯერობით აქა-ქა) ვენახის ამოძირკვა ამახ მისი შეცვლა თითქმის უფრო რენტაბელური პროდუქციის - სახამორის თუ პამიდერის მოყვანით.

წვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან მახსენდება ერთი ფრიად საგულახსნო ფაქტი. ჰართეკმა ბიზანსეხებმა მოსკოვში ააწენეს თონე და დააწყეს შოთი პურის გამოცხობა, მაგრამ მომხმარებელი რატომღაც მოხალოდნელი ეთოუზანსით არ შეხედა ამას. შეწარმის ვალეები დაუტოვდათ. მიხეცს ვერ მიაგნეს. კონსულტაციისათვის მიმართეს ცნობილ ბოტანიკოსს აკადემიკოს ნიკო კეცხოველს. მან ურნა პურის გამოცხობა საქართველოში წარმოებული ხორბლის ფქვილისაგან. ვითარება უმაღვე რადიკალურად შეიცვალა. მოთხოვნა გაიზარდა და ბიზნესმენტა საქმიანობა რენტაბელური გახდა. ძირეული შემობრუნება ნაწარმის გემოვნებითი თვისებების არაორდინალურობამ განაპირობა. ხელის შეუწყობლობის გამო, ამისთანა პროდუქციის წარმოების შეწყვეტა და მთლიანად იმპორტირებული ნაწარმის მოხმარებაზე გადასვლა იქნება თუ არა გაპართელებული? - რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი ტენდენციები თანდთან იკვეთება.

შეღარებეთი იაფი, მაგრამ მდარე ხარისხის კარგად შეფუთული, თანაც, არცთუ იშვიათად, ფალსიფიცირებული იმპორტული საქონლის გამსაღებელთა მხრივ კონკურენციას ვერ უმკლავდება ადგილობრივი მწარმოებელი და თბობს პოზიციებს. ეს ესება არა მარტო საქსპორტო, არამედ ადგილობრივი

მომხმარებლისთვის გათვალისწინებულ ნაწარმის (კარტოფილი, ხილი, ხახვი, ხორა, კიტრი, ბურწილი, პამიდორი, ბოსტნეული და სხვ.) ნაძოთფულოდებულ ბევრი სხვა ნაწარმის შიგა ბაზარზე რეალისაცავაში სულ უფრო მზარდი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი თურქეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ირანიდან და რიგი სხვა ქვეყნებიდან იმპორტირებული საქონელი. მოვლენების ამგვარი განვითარება ძირს უთხრის ადგილობრივ წარმოებას, რაც მისი მასშტაბების მკვეთრ კლებაში აისახება. ასე, მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2001-2007 წლებში (საკურობის ყველა ფორმის მეურნეობაში) სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობები შემცირდა 564,5 ათ. ჰა-დან 297,2 ათ. ჰა-მდე. მ.შ. ხორბლისა 115,8 ათ. ჰა-დან 45,5 ათ. ჰა-მდე, სიმინდისა - 202,4 ათ. ჰა-დან 125,5 ათ. ჰა-მდე, ლობოსის - 9,9 ათ. ჰა-დან 6,7 ათ. ჰა-მდე, მუსეხუზირისა - 43,7 ათ. ჰა-დან 22,3 ათ. ჰა-მდე, კარტოფილისა - 37,4 ათ. ჰა-დან 21,6 ათ. ჰა-მდე, ბოსტნეულისა - 7,6 ათ. ჰა-დან 5,3 ათ. ჰა-მდე და ა.შ. ამავე პერიოდში შემცირდა წარმოება (ათ. ტონით): ხორბლისა 232, მუსეხუზირისა - 25,7, კარტოფილისა - 193, ბოსტნეულისა - 205,7, ხარისხიანი ჩაის მწკანე ფოთლისა - 15,5 (ამ ძირფასი ნედლეულის წარმოება 1985-2006 წლებში შემცირდა 83-ჯერ). 2002-2007 წლებში შემცირდა: მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა (კამეის ჩათვლით) 1216 თახიდან 1048,5 ათ. სულამდე, დროისა - 446,1 ათახიდან 109,9 ათ. სულამდე ასევე შემცირდა ხორცის წარმოება 33 ათ. და რძისა - 85,3 ათ. ტონით (4).

სახელმწიფომ, სხვა ქმედით ღონისძიებებთან ერთად, მოქნილი საავტრო პროტექციონისტული პოლიტიკა თუ არ განახორციელა, ეს ნეგატიური ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება, თანაც, ინტენსიურად და მხოლოდ იმპორტული საქონლის მომხმარებელად გადაიქცევათ, რაც კატასტროფის მომასწავებელი იქნება. ეკონომიკური პროტექციონიზმზე მსჯელობისას მხედველობაში მაქვს იმპორტულ საქონელზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესებით, „იმპორტის ქვოტის განსაზღვრითა და პროდუქციის ხარისხობრივი მახასიათებლების მონიტორინგის მოწყობით გარკვეული ბარიერების აღმართვა დემინგური ფასებით შემოსაზან და ფალსიფიცირებულ, აგრეთვე, მდარე ხარისხის, მაგრამ დამაზად გაფორმებულ იმპორტულ ნაწარმზე. თავისუფალი ვაჭრობის შესღუდვის სასარგებლოდ არსებობს სხვა არგუმენტებიც: იმპორტორ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შენარჩუნება, შრომის შეღარებით სოლიდური ანაზღაურება, ეროვნული

მეცნიერება



უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არაჯანსაღი კონკურენციის თავიდან აცილება და სხვ.

ეკონომიკური პროტექციონიზმის გამოყენებით ადგილობრივი წარმოების დაცვის მიღდარი გამოცდილება აქვთ დღეისათვის ეკონომიკურად მალაღსაყენიოთარებულ ქვეყნებს. მაგალითად, დიდმა ბრიტანეთმა თავისუფალი ვაჭრობა მხოლოდ 1940 წლიდან დაუშვა. აშშ-ების ეკონომიკა 1790-1940 წლებში საბაუო ტარიფებისა და სხვა ხაფაგრო ბარიერების მეშვეობით მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო დაცულ ეკონომიკას წარმოადგენდა (ცალკეულ შემთხვევებში იგი არც ახლა ამბობს უარს უცხოური ნაწარმისაგან სამამულო წარმოების დაცვის პოლიტიკაზე). ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში არც ერთი იაპონური მანქანა არ მოძრაობდა, სამხრეთ კორეა იყო, რომელიც ამ პერიოდში საკუთარ საეკონომიკო მრეწველობას უყრიდა საფუძველს. ასეთმა მიდგომამ გაამართლა კიდევ. მან უმოკლეს პერიოდში შექმნა მყარ საფუძველზე დამყარებული მადლ კონკურენტუნარიანი სააგრომომბილო ინდუსტრია, რომელიც ამჟამად თავისუფლად უმკლავდება ნებისმიერ ეკონომიკურ მეტოქეობას და არაგის ანაგერინებს თავს.

ხეშაღნიშნულიდან შეძლება დავასკენათ, რომ ეკონომიკური პროტექციონიზმი გამოყენებულ უნდა იქნას არა როგორც მუდმივი, არამედ დროებითი ღონისძიება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში ამა თუ იმ დარგის წელში გაიმართვას და კონკურენტუნარიანობას ამაღლებას. გაითვალისწინა რა იმპორტის ტლიერი ნეგატიური გავლენა აშშ-ში ფოლადის წარმოებაზე, ამ ქვეყნის ადმინისტრაციამ 2002 წელს ფოლადის იმპორტზე დროებითი ტარიფები შემოიღო. ასეთმა ღონისძიებამ, რომელმაც სულ 20 თვის განმავლობაში იარსება, ე.წ. „დროებითი ამოსუნთქვის“ შესაძლებლობა მისცა შწარმოებლებს იმისთვის, რომ დარგის რესტრუქტურისაცია მოეხდინათ(5).

დროებითი წახადისება და კონკრეტული ბერკეტების მომარჯვებით მომდევნო ქვეყნებს არა მარტო ახალ, არამედ ტრადიციულ, მაგრამ დროებით ხინელეკებში მოქცეულ დარგებსაც. მათი მოდიანად ბაზრის სტიქიური ძალების პირისპირ დატოვება შეიძლება შეეადართ ახალშობილისადმი წაყენებულ მოთხოვნას. პიუო კარგო, თუ გინდა იარსებო, ფსსზე წამოდევი, ხელი გაანძირე, გაისარჯე და საარსებო საშუალებები საკუთარი ძაღისხმევით მოიპოვე“. სათანადო მხარდაჭერისა და დახმარების მეოხებით, თანდათან, ამ ჩეღლის ანალოგიურად, წარმოებასაც შეუძლია გამართულად ფუნქციონირების მიღწევა და მის წინაშე მდგარი ამოცანების, მფარველობითი პოლიტიკის გაუტარებლადაც, წარმატებით გადაჭრა.

ახვევ, დროებითი ღონისძიებების ხაზით, საექსპორტო პროდუქციის წარმოების მაშტაბების გაფართოების მიხნით, ანალოგიურად მთელი რევი ქვეყნებისა (საფრანგეთი, თურქეთი, სლოვენია და სხვ.), შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკური დახმარება (დოტაცია). მაგალითად, თურქეთი სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზსრებით ფარავს საექსპორტო პროდუქციაზე მეწარმის მიერ გაწეული დანახარჯების 20 პროცენტს და ამით აფართოებს საექსპორტო პოტენციალს. ამგვარი პოლიტიკის ცალკეულმა სიმტომებმა, ეურჩნის შესყიდვასთან დაკავშირებით, მიმდინარე (2009) წელს საქართველოშიც იჩინა თავი, რაც მისაცდლებელია. კარგი იქნება ამ გამოცდილების გაყვნილება სხვა საექსპორტო საქონელზეც.

ამრიგად, არ არსებობს ცალსახა პასუხი კითხვაზე: თავისუფალი ვაჭრობა თუ ეკონომიკური პროტექციონიზმი? – ნეში აზრით, ერთიცა და მეორეც, მაგრამ სხვადასხვა კონკრეტული გარემო პირობების შესაბამისად. შორეულ პერსპექტივაში, ხაერთო ეკონომიკური არმავლობის კეალობაზე კი, სტრატეგიულ მიმართულებას ღიბერადისში, ანუ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა წარმოადგენს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. 2009 World Population Data Sheet Population Rederence Bureu. Washington, 2009.
2. კვარტალური ბიულეტენი 2008. IV, სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009, გვ.37.
3. ი. ნათელაური, საქართველოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობა (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის შეფასება). პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეკონომიკური განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე, თბილისი, 2009, გვ.140.
4. სტატისტიკური წელიწადიული – 2008. სტატისტიკის დეპარტამენტი, თბილისი, 2009, გვ. 186, 194-195.
5. გრ. მენქიუ, ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „დიდოუნე“, თბილისი, 2008, გვ. 184.

ახალი ეკონომიკა



Honoured Scientist Mr. Leo Chikhava in his article - „Free trade or economical protectionism?“ raises a question – should free circulation in state's economical politics have more support than trade protectionism and also marks, that if we exclude some serious opposite circumstances, it's advisable that each state realized free international trade. But, also indicates, that liberalization of international trade does not give only positive results for its participants everywhere and everytime, but only in relationships of nearly equal economical level development countries. What about the level of countries development, it's very contrasting in the modern world, so free trade policy gives privilege to countries, which have high level of economical development.

There is reviewed in the article the state of local production in the background of large quantity of import in Georgia and there is also said, that Georgian government should lead economical protectionism policy, like USA, France, Turkey and other countries have done in many times, to save traditional ( and not only traditional) fields. The author also says, that economical protectionism should not be used as constant action, but as temporary one, which will provide development of some fields and amelioration of competitorism.

Eventually, the author makes conclusion that the question: free trade or economical protectionism? – has no defined answer- though he thinks, that both of them should really exist, but according to the specific conditions. Herewith, the author is sure, that in distant perspective, according to the general economical raising, liberalism - free trade policy is the strategic direction.



ქვლეტი მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, ილია II-ის დაბადებიდან 77-ე წლისთავს

პაატა კოღუაშვილი  
თსუ პროფესორი, გ.მ.დ.,  
საქართველოს სოფლის მეურნეობის  
მეცნიერებათა აკადემიის წევრი

„მიხედო მიწას; მიწა დაგაპურებთ და გაგათბობთ თქვენ. ბუნებასთან კავშირი აჯანსაღებს კაცის სულსა და სხეულს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ შეიცვალოს ჩვენი დღევანდელი ყოფა, ამოღდეს ზნეობა, აკეცდეს ჩვენი მეურნეობა... საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ეაზისა და ხორბლის ქვეყანა.“

ილია II

ახალი მეცნიერება

შუმერულად ნამ-ლუ-ულუ – „კაცობრიობა“ – homo sapiens-ის ყველა თვისებას გულისხმობს. მრავალსიმოცველ ცოდნათა შორის უმთავრესი ხორბლისა და ღვინის ცოდნაა. შუმერულ მითოსში ენკიდეუ ნახევრად ადამიანია. მისი გადამინარეობისთვის საჭირო ხდება მას შეაჭამონ პური და დააღვინონ ღვინო: „პური შეჭამე; ეს სიცოცხლის არის სათავე, დაღვი ღვინო, იგი მიწის საწყურია“. ეს თვითმყოფადი ხალხი შეგნებით ყველა სხვა ხალხსე მალდა იღვა. აქედან უნდა გაერცვლებულიყო კულტურა და წესრიგი. მართუ დასავლური წარმოშობის სემიტური ხალხის ეთნიკა. იგი მოკლებული იყო ადამიანურობას: „მართუ არ უწყის, რა არის სახლი, უმი ხორციით იკვებება, არ უწყის ხორბალი, არ მარხავს თავის მკედარს, უდაბნოში დაეხეტება, იგი ველურია“.

შუამდინარეთის სამიწათმოქმედო ყოფა ეფუძნებოდა მიწის ქაღლიერობის („დიდი ღმერთის“) მოსახობას. მიწა ნაყოფიერების ღვთაებად, სახიციოცხლო ბალის შემცველად მაინდათ, რისი ანარკელიც ფშაჟში და ხევსურეთში მიწაზე დაუენიდ თოვაზე ქალის მშობიარობის წევვაში ნანს. მიწა, როგორც შუმერთა, ასევე ქართველთა წარმოდგენით, დედურ საწყისს განახახიერებდა. მიწა „შეურყენელი“, „შეუბღალავი“, „სუფთა“ და „წმინდაა“. „წმინდა ნაკვეთი“ გადათიურებულაა წარმართულ საქართველოში. დედა-უფალი, ადგილის-ღვდა, პროტოქართველურ ქვეყნებში

გვექვინებოდა, როგორც ქერა (არტემიდეს კულტი, ხვანეთში დაღის კულტის სახით).

მესოპოტამიის, წინა აზიისა და ამიერკავკასიის დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ოლქი სამართლიანად ითვლება სამიწათმოქმედო ცივილიზაციის კერად. აქ თავედაპირველად შექმნილი მეურნეობისა და მეურნეობრიობის ფორმები შემდგომში საფუძვლად დაველო ვერაზიის მთელ ტერიტორიაზე (გარდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა), მოგვიანებით წარმოშობილ აგრარულ სამეურნეო-კულტურული კომპლექსების სხვადასხვა ტიპს, რომელიც ძირითადად მარცვლკულთა კულტურების, მევენახეობა-მეღვინეობის, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებასა და მათგან მიღებული პროდუქტების მოხმარებაზე იყო ორიენტირებული. ეს აგრარსამეურნეო-კულტურული კომპლექსი და მასთან დაკავშირებული კვების სპეციფიკური თავისებურებანი გავრცელდა მხოლოდ ვერაზიის კონტინენტზე, თუ მსხვევდლობაში არ მივიღებთ ჩრდილოეთ აფრიკის მცირე ნაწილს.

ტელად ეგვიპტის ბაბანუნუ, ქართულად, პურ-ღვინო ერქვა. პურ-ღვინის ნაკვალევს თუ გავყვებით, საქართველოს აღმოვაჩინთ. პურ-ღვინის ქვეყანამ სიღრმისეულად გაიგო პურითა და ღვინით ქრისტიანული ზიარების საიდუმლო. შეღვინეობისა და ქართული სუფრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ქრისტიანობას არ წაურობეკია. ქრისტიანობა იქცა ქართული ზნეხასიათის



საყრდენ ღერძად, რომლის ორგელიც ბრუნავს წყნით უროვნული ცნობიერება. ქრისტიანობას სახიკეთოდ შეერწყვა უძველესი ქართული ტრადიციები და წარმართულ ჩვეულებათა ის ღირებულებები, რომლებიც უროვნულ ინტერესებს გამოსახავდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ევლასზე კონსერვატული ტრადიციის - კვების ბაკთილშობილებაში. პურ-ღვინით გამასპინძლების უძველესი წესი ქართულ ხასიათში შესისხლბორცებულია, ქართველი დაულოცავად ღვინოს არ შეხვამს. ქართული სუფრა - მოყვასისადმი სიყვარული, პურ-ღვინისა და ჭეშმარიტების თანამოსზიარობა, გაცემა და გამასპინძლება, ჭირისა და ღვინის თანამოსზიარობა - ქართული ხასიათის გამოვლენის უძველესი ქრისტესმთიერი წესია. ქრისტე არ გმობდა მიწიერ ცხოვრებას, აკურთხებდა მას. იესო მონაწილეობდა საქორწინო ნადიმებში. ადამიანები მასზე ამობდნენ: „აი, კაცი, რომელსაც უყვარს პურის ჭამაც და ღვინოც.“

საქართველო უძველესი დამოუკიდებელი აგრარული კულტურის, ტრადიციებისა და საკვებუნობების მოწინავე გამოცდილების ქვეყანაა. ქართველთათვის მიწათმოქმედება და მეცხოველეობა არა მხოლოდ უბრალო სამეურნეო საქმიანობა, არამედ ერთგვარი ღვთისმსახურება იყო. ტრადიციულ საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილება ქართველებში გენეტიკურია, იგი ათასწლეულების მანძილზე იხვეწებოდა, როგორც გემოვნება და მეკვლეადობა, როგორც კვების ხასიათი. ყოველივე ამან განაპირობა ქართველთა განსხვავებული ჩვეულები, სურვილები და მისწრაფებები ამ ქვეყნიურ ცხოვრებაში, რაც მიწასთან მარადიული ურთიერთობის თავისებურებებიდან გამომდინარეობს. თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „უძველესთა შინა, რომელთამე ჩვენთა და ვითთამე სხვათაცა მემატინათა, აღწერილთა იძუებისა მოთხრობანი ესე სახედ, ვინათგან პირველყოფილსა მუშაკობანი მიწისანი შემოდებულ არიან მათგან“ [10].

ქართველი ერის გენეტიკური ქმნადობის ფეოლდური პროცესში ფალობებოდა მეურნეობის გაძლიერება და ბუნებათსარგებლობის პრინციპებიც, მისი მოვლაპატრონობის უნიკალური წესები. საქართველოს გეოგრაფიული გარემო, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა განაპირობებდა მთისა და ბარის ეკონომიკური ზონების ფორმირებას, სოფლის მეურნეობის გაძლიერების სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც ბუნებათსარგებლობის პრინციპებს, ნიადაგდაცვით მიწათმოქმედებასა და ბუნებრივკულტურულ მეცხოველეობას ეფუძნებოდა.

ქართველები მამულის ერთგული, მიწაზე დამკვიდრებული ერია; ქართველის მიწასთან უღალატო კავშირშია ქვეყნის სიძველეთა და „ჩვენებური გლეხი ბინადარი კაცია, საცა დაბადებულა, იქ მკვიდრად ფესბოკიდებულია და ღრმად ფესვგადგმული. იგი თავის მამა-პაპეულ ბინაზედ დამოკიდებულია მარტო საეკონომიო ანგარიშით კი არა, არამედ სულითაც და გულითაც, ესე იგი ზნეობითაც შემსჭვალულია. მისი სოფელი სამკვიდროა, თვითონ „მკვიდრია“ თავის სოფლისა და სხვა თავმოსაწონებელი სახელს არ იცის“, - წერდა ილია ჭავჭავაძე.

ქართველი ერის სპეციფიკა, მომდინარე მისი გენეტიკური კოდიდან, ასახავს პოულობს ტრადიციებში, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებებითა და რაციონალურობით წარმართავს ცხოვრების სამეურნეო სფეროს და რამაც უზრუნველყო ქართველთა უძველესი და უმთავრესი საქმიანობის - სოფლის მეურნეობის გადაქცევა ქართული სახელმწიფოს წარმოქმნის საფუძვლად. ქართული სახელმწიფო უძველესი დროიდანვე ხასიათდებოდა სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ინტეგრაციით (დ. მუსხელიშვილი). საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

კულტურული ვაზის ასაკის ზუსტი დადგენა არ ხერხდება. პ. ჟუკოვსკი ვაზის გამოყენების ასაკს 7-9 ათასი წლით განსაზღვრავს. რ. ვაინზოლდი წიგნში „გაუმარჯოს ბახუსს“ ავითარებს აზრს, რომ ვაზის ნაყოფს (ტყის ვაზი *Vitis silvestris*) საკვებად იყენებდნენ ადრეული ქვისა და ბრინჯაოს ხანის ადამიანები ხმელთაშუა ზღვის აუზში, კავკასიონის სამხრეთში, ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ ევროპაში. ა. ნეგრული აბორიგენული ვაზის ჯიშების შესწავლის საფუძველზე გამოიყოფს სამ ძირითად ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს. პინტოს ჯგუფში შედის საქართველო, მცირე აზია, საბერძნეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, რუმინეთი, მოლდავეთი (ბესარაბია); დასავლეთის ჯგუფში - საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, პორტუგალია; აღმოსავლეთის ჯგუფში - შუა აზია, ავღანეთი, ირანი, სომხეთი და აზერბაიჯანი. პ. ჟუკოვსკის შესაძლებლად მიაჩნია საქართველოში მევენახეობის დასავლური (კოლხეთის) და აღმოსავლური (იბერიის), ორი ერთმანეთისგან

ივანე მცხედრის

დამოუკიდებელი კერების წარმოშობა. ა. ნევრული [1,20] თვლის, რომ დაახლოებით 5-7 ათასი წლის წინ ვაზი კულტივირებული იყო ამიერკავკასიაში, მესოპოტამიასა და ეგვიპტეში. მისი ვარაუდით, საბერძნეთიდან ვაზის კულტურა გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ქვეყნებში, დასავლეთით, ჯერ რომში (იტალიაში), შემდგომით გვიან კი - საფრანგეთში. პ. ეუსეუსი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულში შუშერში განვითარებული მევენახეობა ნასესხები უნდა იყოს ამიერკავკასიიდან და ინდოეთიდან [2,268].

„გიდგამეშიანში“ ვაზი „სიცოცხლის ხე“ მითიხსენიება. მას ხელოვნურ ტერასებზე აშენებდნენ, ამ კულტურის დასაზრგად ყოველ ღირსე ხმარობდნენ. როგორც ძველ შუმერს, ვაზი ქართველსაც „სიცოცხლის ხე“ ჰქონდა მიჩნეული.

ე. კაგაროვის მოსაზრებით, „მევენახეობისა და მეღვინეობის აკენი აზიაში უნდა ვეძიოთ. შესაძლოა, კავკასიაში, მის დასავლეთ ნაწილში და, სასოფლოდ, შაჟი ზღვისპირა ქვეყნებში, სადაც ვაზი უადრესად კარგად ხარობს, ადის რა მაღალ ხეებზე“ [3,155]. მრავალ ენაში „ღვინო“ შესულია ერთი საერთო ძირით: ბერძნული - ოინოს,

ლათინური - ეინუმ, გეორგი - ვინა, სომხური - ვინი, რუსული - ვინო, გერმანული - ვაინ, ებრაული - იაინ, ასურული - ინუ და სხვა. აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ქართველური, სომხური და სემიტური ენების მონაცემთა შედარების საფუძველზე დაასაბუთა, რომ მთელ მსოფლიოში ქართულიდან გავრცელდა „მაღალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მანქვეშეული ისეთი სიტყვა, როგორც არის ღვინო“ [4,10].

მცირე აზიაში მევენახეობის გავრცელების პიონერებად ხეთები ითვლებიან. ხეთები ტელეფინუსს ბუნების გაცოცხლებიან და ნაყოფიერების ღმერთად მიიჩნევდნენ. იერიხის კლდეზე ნაკვეთ რელიეფში ტელეფინუსს ერთ ხელში პურის თეთაგები უჭირავს, მეორეში - ქურმინის მტევნები.

ვაზი ებრაელი ხალხის სიმბოლური გამოხატულებაა: „რადგან უფალ ცაბათოს ვენახი ისრაელის სახლია“ (ეს. 57). წმინდა პროფეტებია პური, ღვინო და ზეთი: „მოუგებს უფალი და გრჯობის თავის ერს ამა, გიგზაჟნი პურს, ღვინოსა და ზეთს, და გაამებით ამით; სახორცხოდ აღარ გაგზდით ხალხების თვალში“ (იოე. 2,19). ბიბლიის მეტაფორული ასოვნებით, ყოველი მშვენიერი და ამაღლებული გაიგებებოდა ღვინოსთან, ხოლო ყოველი დამდაბლებული და ცოდეილი - მართან.

ძველ ისრაელში ღვინოს მეტაფორულად „ერის სიხელს“ უწოდებდნენ.

მითი ვაზისა და ღვინის შესახებ უძველესი გაერცელების არეალში უნდა წარმოშობილიყ. მეცნიერები ასეთად მცირე აზიასა და კავკასიის მიიჩნევენ. შუამდინარეთში ვაზი მითოლოგია მოვლენია. მსოფლივ შემერულმა მითოლოგიამ შემოინახა ვაზისადმი ადამიანის დამოკიდებულების მთელი სამყარო, რაც საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა ხმელთაშუა ზღვის და შაჟი ზღის აუზების ხალხთა მითოლოგიურ ასოვნებაში. ბერძნულ პანთეონში ერთ-ერთი ძველესი პოპულარული ღმერთი მევენახობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისე, იგივე ბახუსია. დიონისეს შესახებ არსებული მითები და ნიშნ-თვისებები არ მიუთითებს მის ბერძნულ წარმოშობაზე (ბახუსი - ბერძნული სიტყვა არ არის). მითი დიონისეს შესახებ აღმოსავლური წარმოშობისაა. თავდაპირველად დიონისე თავისი ცხოველური არხით ხარის კულტთან იყო გაიოტებული. დიონისეს ხარის კულტთან გაიოტება - ხიორთობა ამ კულტის უძველეს წარმოშობაზე მიგვარჩევს. იგი მცენარეულობის დეოტებად ითვლებოდა, მოკვდავი და კვლავ გაცოცხლებადი ბუნების ღმერთადაც მიიჩნევდნენ (შვედაროთ დიონისე ოსირისს). დიონისესადმი მიძღვნილი ზემებები, დიონისებები, იმართებოდა წელიწადში ოთხჯერ: შემოდგომაზე (მატრის დაყენება), ზამთარში (დაღვინება), ზამთრის დასასრულს (ახალი ღვინო) და გაზაფხულზე (ვაზის გაფურცქნა, ვაზის ყვავილობა).

მესოპოტამიის ხალხთა კულტურის ამსახველი ვაზისა და ხარის კულტის ნიშან-დემონტები კარგად ჩანს ბასკეთის პროვინციის ენაღარის მოედანზე აღმართულ „ენაღარის ჯვრის“ სახელწოდების ქვის სვეტზე. ყურძნის მტევნის შორის ამოკვეთილია ხარის თავი (შვედაროთ საქონლის მფარველ და ვენახის გამზარებელ ქართულ წარმართულ ღვთაება ბოსხის). მართლაც, ქრისტიანობამ ცეცხლს მისცა ვაზისა და ღვინის წარმართულ დეოტებათა კულტები, მაგრამ „სიცოცხლის ხე“ გაცნობიერებული ვაზი ქრისტეს სიმბოლოდ აქცია. ქრისტე ამბობს: „მე ვარ ვაზი ტეშმარტი, მამამეში კი მევენახე“ (იოანე 15,1). „მე ვაზი ვარ, თქვენ კი - ლერწები. ვინც ჩემში რჩება და მე მასში, იგი ბევრ ნაყოფს იხსამს“ (იოან. 15, 5-6). ქრისტემ წყალი ღვინოდ აქცია - „ღვინო სხვა არაფერია, გარდა ვენახის მიერ შეცვლილი წყლისა“, ამგვარად, ქრისტე ვენახია.

მევენახეობამევენებოდა იქცა ეროვნულობის, ქართველობის დაცვისა და შენარჩუნების მძღვერ

ახალი პორნოგრაფია



სტიმულად. „ჩვენებურ გლეხკაცს ვენახი და ხილნარი მარტო გამორჩობის წყაროდ კი არ მიანია, არამედ იმ წმინდა აუხადაც, სადაც მის მამაპაპას თავისი ოფლი მიუდგენია და მიუბარებია საშვილიშვილოდ. ჩვენში რომ გლეხკაცმა თავი დაანებოს თავის ადგილს, ჯერ უნდა გულიდამ ამოიღოს თავისი თემი, თავისი ოჯახის წარსული, თავისი მამა-პაპა, რომელთა ნაშთი, ძველი თვითოეული ვახია, თვითოეული ხეა, მამა-პაპის ხელთ დარგული და ოფლით მორწყული, და რომელსაც იგი სამკვიდროს ეძახის. ყოველ ამის გულიდამ ამოღება ძნელია“, ბრძანებდა ილია.

წმინდა ნინოს ვახის ჯვარი ხელში შემოსვლა საქართველოში დასტური იყო იმისა, რომ მან იცოდა, რაოდენ მაღალგანვითარებულ (იგულისხმება მშენებლობა) ქვეყანაში შედიოდა განმანათლებელი. რაც შეეხება ქართულ საგალობელს „შენ ხარ ვენახი, ახლად აღფრეხებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული...“ (მეფე დემეტრე პირველი), მან ხაუკუბერებს გაუძლო და ერთი მუსიკალური ხაგანაჟისის მშენებდაც იქცა.

იოანე პეტრიწი საუბრობს ქალღაველთა ვარსკვლავურ სიბრძნეზე და მიანიშნებს, რომ ყოველივე ეს არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ, ბიბლიურ სიბრძნეს. ქართველობას ქრისტიანობა არ მიუღია თავისი კოსმიური და კაცობრიული წარმოდგენებისგან მოწყვეტით. იოანე პეტრიწი ამბობს, რომ კაცობრიული სიბრძნე (წარმართული, ანტიკური, ორფიზმი, ქალღაველთა მოძღვრება, პლატონიზმი, ნეოპლატონიზმი) კი არ უნდა უარყვეს, არამედ უნდა განეახლებოდეს.

ღვინის კრატის უძველეს გამოძახილად უნდა მივიჩნიოთ მარანის წმინდა ადგილად გამოცხადების ფაქტი. ქართველები მარანში ატარებდნენ საოჯახო რელიგიურ რიტუალს, იგი ითვლებოდა ჯვრისწერისა და ბავშვების ნათლობის სასურველად ადგილად. მითიურეთსა და სვანეთში სალოცავებთან გუხხვდა ღვინის ქვევრები.

სამეგრელოში ახალ წელს ოჯახის უფროსი „ოხამერ მარანში“ (სალოცავი მარანი) შევიდოდა და იტყოდა: „ბაღი სავსე, მარანი სავსე ჩემი მამული სავსე. ჩემი მამული დატვირთული, სხვის მამულში კი ფურცელი“.

გურიაში ახალ წელს ოჯახის წევრები ქვევრის თავზე გროვებოდნენ, „კალმახის დაკლის“ ცერემონიადს აწყობდნენ და მღეროდნენ: „ოი, გიდელო, გიდელო, ჩემი ვენახი-სავსეა წენიანი მტკვნებთო, სხვისში კი არის მხოლოდ გამხმარი ფურცლებო“.

ლესხუში, ნათლისღება დიდით, ოჯახის უფროსი ქვევრთან მივიდოდა და დაილოცებოდა:

„ღმერთო, შენ მიეცი ბარაქა ჩვენს ბეღელს, ნუ ამოგვიღებ ჭურში ღვინს“.

განუსხადერელია რელიგიის წყველებისა და ტრადიციების ჩამოყალიბება-შენარჩუნების საქმეში. ქრისტიანული რელიგია მეტ შემწვანარებლობას იჩენდა ერთნულ წეს-ჩვეულებებისადმი. აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის წარმართულ რიტუალებში დღეს იყო გამოყენებული, რაც შემდგომში ქრისტიანულმა რელიგიამ წინააღმდეგობის გარეშე მოხერხებულად მორაგო მისთვის სასურველ ვითარებას. დღეს მოხმარების უძველესი ტრადიცია განაპირობებდა ადამიანთა ფსიხელი ცხოვრების წესს.

ქართველი კაცი ღვინის დაყენებას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ზედაშეა მშენებლის სინდისი, ღვინით ინათლებოდნენ მისი შთამომავლობა. თაობიდან თაობას გადაეცემოდა ღვინის დაყენების ქართული წესები: კახური (ჭაჭახე სრული დაღვლებით – ექსტრაქტული ღვინოები), იმერული (ჭაჭახე დაღვლების გარეშე – არაექსტრაქტული), რაჭული (ჭაჭახე ნახევრად დაღვლებული).

ქართული გაგებით, ღვინო ყურძნის ბადავის („ტკბილი“) სრული სპირტული დღვლით (მშრალი ღვინო) მიღებული პროდუქტია. ბერძნებისა და სხვა ევროპელებისაგან განსხვავებით, ჩვენში წყალგარეული ღვინის სმა მიღებული არ იყო. მას მხოლოდ ბერები სვამდნენ. საქართველოში ღვინის ფადასივიკატორი საჯარო გაკიცხვას იმსახურებდა და მატრიალურადაც ზარალდებოდა. „დასტურლამალოში“ ნათქვამია, რომ ღვინის მიღვებმა უნდა წახოს, თუ ან წყალნარები ან ქვევრის-გემოვანი, ან უხელობითა წამხდარი იყოს, ის ღვინო გამუართუნ და ერთი იმთონი მემარნეს სხვა წაართვან თავისი“. ღვინის ღირსების დაცვა ეკლებოდა, როგორც მემარნეს, ისე მეღვინეს. მათ შორის პასუხისმგებლობა განიჯნული იყო. „თუ მეღვინეს წაეხდინოს, იმან ზღოს, თუ მემარნეს წაეხდინოს, იმან ზღოს“. ღვინის ღირსების დაცვა მხოლოდ კანონით – დოქტრით შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მყარ ნიადაგზე აღმოცენებული უძველესი ტრადიციები და ეთიკური ნორმები. მარანში ღვინის მსახურების შესრულებისას იტყვოდნენ: ღვინო დაწმენილი, სასახლე გაწმენილი. ღვინო განსიხდებოდა, როგორც ცოცხალი ორგანიზმი: დაბადება (მატარი), სიჭაბუკე (ახალი ღვინო), სიჭარმაგე (ძველი ღვინო) სიკვდილი (ღვინის დაშლა). ქართველი კაცი შედიოდა უფრთხილდებოდა ღვინის სიცოცხელს მეღვინის მზრუნველ ხელს შეეძლო

მეცნიერება



# მეცნიერება

ახალდაბადებული ღვინისთვის აეცილებინა „ტურის ხელი“, „ჩახმდარი“, „შის ხელი“, „ირკოში მუნოდელა“ („ბრკე“), „ღვინიში დაბეჭება“ (დაძმარება), „ღვინის მოღობობა“ და სხვა მრავალი დეაველება ქართველი მეღვინე სრუნვის ობიექტის კარგი შემთავლებელი რომ ყოფილიყო, ნათლად ჩანს მდიდარი სადეგუსტაციო ტერმინოლოგიიდან: „თავინკარა“, „მხურვალე“, „ახაშული“, „იარახსოშ“, „ციცინა“, „ჩინჩხალი“, „ფრთიანი“, „ჩისირი“, „შუმი“, „მეჭ“, „უხეში“, „ტოპკირა“, „ეშიშა“, „მოღველილი“, „ჭმახი“ და სხვ.

ღირსების მიხედვით, ღვინო შეიძლება ყოფილიყო „მსუბუქი“, „საშუალო“ და „უმჯობესი“. ღვინის შეზღვევის თაობაზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „შეენებური ხალი ძალიან პოაკილობს ღვინოში ყურამის წვენი მებე სხვა რიმე ჩაუბროს და ვისაც ეგ კანტი კუნტად სადმე გაუბენია, ყოველივე ღვინისიება უხმარია არავინ შემიტვოსო ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიანდა ჩემში ყველას წმინდა წვენი ბუნებისგან მოცემულის ყურამისა წაუწმიდა და შეებღალა რითიმე თავის შიგნით ჩამატებულით და ჩვევითა.“ [5]. ყვრობაში, ჩვენგან განსხვავებით, ღვინის არომატურაზტორად ოდითგანვე თყენებდნენ სხვადასხვა მცენარის ფოთლებსა თუ ყვავილებს. იტალიაში ვერმუტი (ცნობილია ტურიის ვერმუტი) მსადეება ალპური ბალახების ექსტრაქტის დამატებით. იტალიაში სპირტის გამოყენებით შეიქმნა აპერატეები და ე.წ. დიქიორული ღვინოები. პორტუგალია ცნობილია პორტუკუნიით (თორტონის რეგონი), მიჯდური (კუნოლი მადიარა) და ლიქიორული ღვინოები; ესპანეთი – დასპირტული ღვინო, ხერესით (ხერეს დე ლა ფრონტიერა). ასევე დასპირტული ღვინოები: მუსკატი (იტალია), ტოკაი (უნგრეთი), მალაგა (ესპანეთი), მარსალა (კუნძული სიცილია), კავარი (საფრანგეთი).

„ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა“ – ამბობს ილია. ქართული ღვინის უმთავრესი დირსება ბუნებრიობაა. მხოლოდ ნატურალურობამ და არა ხელყოფამ მოუტანა სახელი კახური ტიპის თეთრ და წითელ ღვინოებს. ქართველი ალალი კაცის დოიალობით შეიქმნა „ღვინო მანავისა კეთილი“, „ღვინო კოდოლისა წარჩინებული“, იმერეთში – სურული, ომური, ბაქდაჯური, დიშური, ალადასტური; რაჭაში – „ყოფიანის ღვინო“, თეთრა, უსახელოური; გურიაში – ჩხავერი; სამეგრელოში – ოჯალეში; ქართლში – მუხრანული, ატენური, მეჯვრისხეული, ხიდისთავური და სხვ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ოკრიბაში, საჭილაოში, სამიქელაოში, ოდიშისა და გურიაში „მსუბუქი“,

მაგრამ „მხნე – გემოიანი“, „კარგნი“ „მეგრისი ხუნიანი“ ღვინოები დეგებოდა [6].

მაღალი ღირსების კახური ტიპის ღვინოები დეგება 400-750 მეგრ სიმაღლეზე განათებულ მთის ფერდობებზე მოქცეული ვენახების მოხალდის იმერეთის სვირული ტიპის ღვინო დეგება 125-400 მეტრი სიმაღლის მთისწინა კალთებზე (ენი, ბაღდადი, ხეტაფონი, ხარაგაული) გაშენებულ ჯიშური ყურამიდან. ოდითგანვე ჩვენი ქვეყნის ყველა ისტორიულ კუთხეში, ვერტიკალური ზონალობისა და ცალკეულ ჯიშთა სპეციფიკით მონაცემების გათვალისწინებით, ხალხს მევენახეობისთვის განახლებული ადგილი ჰქონდა შერჩეული ძველქართული ყაჩის სახეობები საეკოქოსოდ ერწყმოდა ბუნებრივ-ეკოლოგურ პირობებს. ცალკეულ სოფელსაც კი თავისი მიკროკლიმატის და ნიადაგის შესაფერისი ჯიშო მოეპოვებოდა. ყურამის ჯიშურ თვისებებთან ერთად მთის ფაქტორმა ბუნებრივი ცქრიალა და ტბილი ღვინოების ფორმირებისათვის აუცილებელი პირობა შექმნა. ცალკეულ სოფელსაც კი თავისი მიკროკლიმატის და ნიადაგის შესაფერისი ჯიშო მოეპოვებოდა. გურიაში (ბახვი, ლისაური, შემოქილი, ასკანა) ჩხავერის ყურამის ჯიშოდან დეგებოდა მაღალი ღირსების ბუნებრივი ცქრიალა ღვინო. რაჭაში, რიონის მარჯვენა სანაპიროზე, შიანი, თირნიადაგთან ყურდობებზე გაშენებული ალექსანდრეული და მუჯურეთული იძლეოდა ბუნებრივ ტკბილ საყოველთაოდ ცნობილ „ყოფიანის ღვინოს“. ქართული ღვინოების სამარკო ასორტიმენტში შედიოდა „ქინძხარული“, „ხეაქვარი“, „უხახელოური“, „ოჯალეში“ და სხვ.

ბობლიის სიბრძნე გვასწავლის, რომ კვების წესი და ხანიათი განაპირობებს ადამიანის არა მხოლოდ ჯანმრთელობას, არამედ მის სულიერ მდგომარეობასაც.

კვებასთან დაკავშირებული აღკვეთები და შეზღუდვები ყოფითი ტრადიციებისა და რელიგიური მსოფლმხედველობის უდიდესი მოვლენაა.

მარხვა ქრისტიანისთვის არის მონაწილეობა თვით ქრისტეს მარხვაში, რითაც უფალმა გაათავისუფლა ადამიანი საკვებზე, მატერიალსა და სამყაროზე სრული დამოკიდებულებიდან. მარხვის საიდუმლოს მიხედვით, საკვებს, რითაც ჩვენ ვსარდლობთ და სიცოცხლეს, რომელსაც ეს საკვები გვიანარჩუნებს, იძლევა მხოლოდ დიქორი.

მარხვა არ არის მხოლოდ საკვების აკრძალვა. მას თან უნდა ახლდეს საკუთარი თავის დიქორ რეალობაში გაცნობიერებისა და განმტკიცების ცდა, ანუ სულიერი ძალისხმევა.

ახალი მკვლევარები

საქართველოს მთიელი მოსახლეობა მარხვაში ჭამდა ნიერის ხინკალს, მოხარშულ ღობის, თევზს, უკლურად მზარდ მხალეულს და შწვანილს. სენაეში, სულიწმიდის მოფენის შემდეგ, ორშაბათიდან შაბათამდე, იკრძალებოდა რძე და რძის პროდუქტები. იანვარში, ახალი მთვარის შემდეგ, იწყებოდა აკრძალვა ხორცზე, თებერვლიდან – ყველზე. ხორცი იკრძალებოდა ხორცის შაბათიდან აღდგომამდე. ხორცის შაბათიდან ერთი კვირა და შეგებული იყო ერთი. მთიულეთში, დიდმარხვის პერიოდში, ყოველ შაბათ საღამომდე ყველანაირ საჭმელს კრძალავდნენ, ასევე იქცოდნენ გუღამავარში, ქიზისა და ხენეთში სამშაბათსა და პარასკევს [7,121].

სამეგრელოში მარხვის შესახებ არქანჯელო ღამბურტი წერს: „მარიამობის მარხვის შემდეგ დადგება შობის მარხვა, რომელიც გაგრძელდება ორმოცი დღე შობამდე ამ მარხვაში არამც თუ ხორცი, არამედ კვირაში სამი დღე თევზიც არ იჭმევა“ [8,131].

რაჭაში „ბოლსობის“ წინა დღეს, დილიდან საღამომდე, მამრობითი სქესის ბავშვებს აუცილებლად უნდა ემარხულათ, არ უნდა ესვათ და ეჭამთ. გარდა ამისა, ბავშვებს ამარხულებდნენ „ღორისპარასკევს“, ამას „ბავშვთა პირის უწყობას“ უწოდებდნენ [9,24].

დასკენის მაგიერ: „ჩვენ გვიყვარდა ჩვენი მამული, ჩვენი მიწაწყალი, უმისოდ ჩვენ თბილისში ვერც კი წარმოგვედგინა, და ამ სიყვარულმა ჩემი მიკერებამ მიწაზედ, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, შეკქმნა თვით ჩვენი ისტორიაც. ჩვენი პაღღონე, ჩვენი ცხოვრების და ვინაობის ბურჯი, ჩვენი მკვიდრი და უტყუარი შემნახველი, ჩვენი სიკეთე და სიმდიდრე მიწა და გუთანია“. ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები მუდამ უნდა გვახსოვდეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობა საუკუნეების დამძიმებულ სარწმუნოებრივ პრინციპებზე დაყრდნობით ვითარდებოდა – სამეურნეო საქმიანობის საფუძველს ქრისტიანული ეთიკა წარმოადგენდა, – წარმოებით ურთიერთობებში ადამიანის ქცევა შეესაბამებოდა რელიგიური რწმენით დამკვიდრებულ ტრადიციებს, რომლებიც თბიქტურ რეალობაზე იყო დაფუძნებული.

საკვები ღმერთის ნაბობები „სიცოცხლის საშუალება“ ( *Lebensmittel* – საკვები პროდუქტი, სიტყვა-სიტყვით „სიცოცხლის საშუალება“).

ჩვენ პურთან და ღვინოსთან ერთად ვჭამთ და ვსვამთ „ღვთის სიტყვას“, ვეზიარებით ქრისტეს ხორცსა და ხისხლს. ამ საკვებშია სიცოცხლე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Негруль А., Виноградство с основами атпелографии и селекции, М., 1956.
2. Жуковский П., Культурни растения и их сородичи, М., 1950
3. Кагаров Е., Культ Фетишей растений и животных в древней Грузии, С. Петербург, 1893.
4. დეკიაშვილი ა., შენ ხარ ენახი, თბილისი, 1972
5. ჭავჭავაძე ი., ღვინის ქართული დაყენება, თხზულებანი, ტ. 8, თბილისი, 1956.
6. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი (საქართველოს გეოგრაფია), თბილისი, 1941.
7. Джикия Н., Культура питания Грузинских горцев, Тбилиси, 1977.
8. არქანჯელო ღამბურტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1938.
9. სოხაძე ა., წეს-ჩვეულებათა აკარგვიანობის კრიტიკოუმისათვის, თბილისი, 1975.
10. ბახტაძე დ., კოლუაშვილი პ., ქართველთა კვების კულტურა, „ინოვაცია“, თბ., 2009.

თბილისის მეცნიერებათა აკადემია



Georgians stood at the front ways of farming and their ordinary life farming – was not just agricultural dealing for them, but God service. All these provided background for exceptional habits, wishes and aspirations of Georgians, and related whole life to land.

Georgians are homeland devoted, lodged on land nation; strength of the country is connected to the land of Georgian. "Our people are great lovers of their residence" – Ilia Chavchavadze wrote. "Specifics of Georgian nations come from its genetic code, reflected in traditions, managing farming sphere with its especial peculiarities and rationalism, what ensured oldest and most basic deal – agriculture creating into background of forming Georgia as a state.

It is worth noting, that Christian religion first was spread in the vine – growing countries. Georgians received the secret of Georgian Eucharist with bread and wine, and besides, that, kept special tradition of Georgian table. Christianity comes into harmony with ancient Georgian traditions and values expressing national interests. Christianity became an axis of Georgian character, around of which our national conception is turning.

As it's known, traditional agrarian culture of Georgians was farming in pre-Asia space of culture, which was considered as a oldest hearth of farming and cattle –breeding. Here created first farms and forms of farms served as a pattern for whole continent of Eurasia (except South –East). A little later, different types of agrarian –cultures complex was created, basically cereals culture, vine- growing, cattle –breeding and products making from domestic animals.

Vineyard and wine culture has too long traditions in Georgia (7-9 thousand years. Jukovski, P., Winchold, R., Negrul, A., Kagarov, E). Christianity gave to fire vine and wine cults of pagan gods, but vine, but the vine become symbol of new religion. When St. Nino entered Georgia with vine cross in her hands, was approving of her knowledge what highly –developed country (meaning vine growing) she was entering. The song "You are vine, flowering, kind and planted in Elysium" (king Demetre the First) is centuries long and actual till today. Jesus Christ teaches: "I am vine real, my Father is vine –grower", "I am vine and you read" (Joanne 15.1.5.6). Jesus Christ turned water into wine – "Wine is nothing but changed water by the vine", in that way, Jesus Christ is the vine. Vine considered Georgian man as "tree of life".

The feed is "means of subsistence" granted by god (**Lebensmittel** – feed, word for word "means of subsistence"). We meal and drink with bread and wine "god's word", sacrament Jesus Christ's body and blood. Exactly in this food is subsistence.

Georgian agriculture had been developing according to religion principles during centuries – agrarian business was based on christian ethnics, - human behaviour in production relations was corresponding to the traditions established by christian faith, which were founded on objective reality.

საქართველოს  
აგროკულტურის  
აქადემია



წარმატებული სადაზღვევო კომპანიების  
ეკონომიკური პოლიტიკა



რეზაზ გველანიანი  
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ეკონომიკური პოლიტიკის კათედრის  
ხელმძღვანელი, სრული პროფესორი

საერთაშორისო სამეწარმეო საქმიანობა მოიცავს წარმატების როგორც შესაძლებლობებს, ასევე რისკებს მისი მიღწევის გზაზე. რისკებისაგან „დაცვა“, თავის მხრივ, მოითხოვს სადაზღვევო ბიზნესის ახალ ფილოსოფიას, უნახა და პრაქტიკას. თანამედროვე ეკონომიკური თეორია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს განუსაზღვრელობისა და რისკის ფენომენის კვლევას. სადაზღვევო ბაზარის რისკებს მართავს მათი განაწილების მეშვეობით. მისი წარმატებით ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დამოუკიდებელ სადაზღვევო შემთხვევათა საკმაო რაოდენობა, რისკისა და ზარალის მართებულად შეფასების შესაძლებლობა და დაზღვევის გათავისუფლება მორალური რისკისაგან.

სადაზღვევო ბაზარი წარმატებით ანაწილებს რისკებს მოსახლეობაში, მაგრამ ჩვენ მოულოდნელობებისაგან ყველას დაზღვევა მაინც არ შეეძლება. დაზღვევის ხარჯები ზოგჯერ მეტისმეტად დიდი აღმოჩნდება ხოლმე. სადაზღვევო ბაზრის არასრულყოფილების მიზეზი ისაა, რომ ის შეიძლება წარმატებით მოქმედებდეს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში, კერძოდ: უნდა არსებობდეს განსაზღვრული სახის შესაძლო სადაზღვევო შემთხვევათა საკმაოდ დიდი რიცხვი. კომპანიებს მხოლოდ ასეთ სიტუაციაში ექნებათ რისკების როგორც გაერთიანების, ისე ადამიანთა მნიშვნელოვან რაოდენობაზე მათი განაწილების შესაძლებლობა და დაინტერესება. ერთი სიტყვით, სადაზღვევო კომპანიები ცდილობენ საქმე მკორდეთ დამოუკიდებელი რისკების დიდ რაოდენობასთან. გარდა ამისა, აუცილებელია მდიდარი გამოცდილება დაზღვევის თითოეული სახის თვალსაზრისით, რათა სადაზღვევო კომპანიამ სწორად შეაფასოს შესაძლო დანაკარგები. და ბოლოს, დაზღვევა რაც შეიძლება თავისუფალი უნდა იყოს მორალური

რისკისაგან, რადგან მისი არსებობის დროს დაზღვეული პირი არაა დაინტერესებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საპირისპირო აღმოფხვრელი ღონისძიების გახატარებლად. თუ ყველა ეს პირობა – დამოუკიდებელ სადაზღვევო შემთხვევათა საკმაო რაოდენობა, რისკისა და ზარალის მართებულად შეფასების შესაძლებლობა, მორალური რისკის უმნიშვნელო დონე – სახეზეა, კერძო სადაზღვევო ბაზარი წარმატებული იქნება.

მორალური რისკი არასრულყოფილი ბაზრის ერთ-ერთი მიზეზია. ამ შემთხვევაში, მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები იმ წერტილში იკვეთებიან, რომელიც მიწოდების ნულოვან ან უკიდურესად მცირე მოცულობას შეესაბამება. ამასთან, კერძო დაზღვევა შესაძლოა ნორმალურად არ ფუნქციონირებდეს – არახელსაყრელი შერჩევის გამო. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც განსაზღვრული რისკისაგან საკუთარი დაზრვევის დიდი სურვილი მხოლოდ იმ პირებს უნდებოთ, რომლებიც ყველაზე მეტად ექვემდებარებიან მას. ასე რომ, სადაზღვევო რისკის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დიდი რაოდენობის სადაზღვევო შემთხვევათა არსებობა მორალური რისკისა და არახელსაყრელი შერჩევის მცირე ალბათობით.

თუკი კერძო სადაზღვევო ბაზარს არ შესწევს არსებული მეთხოვნების ჯეროვნად დაკმაყოფილების უნარი, მაშინ სახელმწიფო თავის თავზე იღებს ამ ფუნქციას. ყველა მაღალგანვითარებული ქვეყანა ამა თუ იმ ფორმით სოციალურ დაზღვევას მიმართავს. ამით კერძო ბაზარი კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება. მაგალითად, სადაზღვევო კომპანიების ინტერესს არ წარმოადგენს უმუშევრობის დაზღვევა რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში მორალური რისკი ძალზე მაღალია

მეცნიერებათა დოქტორი

(აღამიანებს არ „შეაწუხებთ“ უმუშევრობა, თუკი ისინი დახმარებას საკმარისად ჩათვლიან); მეორე, აქ მოქმედებს არახელსაყრელი შერჩევის ფაქტორიც (მათ ეინც ხშირად კარგავს სამუშაოს, უმუშევრობისაგან დაზღვევის მეტი მისწრაფება ექნებოდათ); მესამე, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევით დამოუკიდებელი მოვლენა როდია (მათი რაოდენობა იზრდებოდა დაკვეთების პერიოდში). თუმცა მორალური რისკის საკითხი ღიად რჩება, მაგრამ სოციალური დაზღვევა წარმატებით წყვეტს ორ სხვა პრობლემას. ესაა უმუშევრობის დამოკიდებულება სხვა მოვლენებზე და არახელსაყრელი შერჩევის არსებობა.

დაზღვევის პრობლემატიკის აქტუალობა ნათლად ელინდება სადაზღვევო ურთიერთობათა სუბიექტებს: დამზღვევისა და მზღვეველის ძირითად ეკონომიკურ ინტერესებში. პირველის მოთხოვნას სადაზღვევო პრემიის სანაცვლოდ რისკებისაგან დაცვა ანუ მათი რეალიზების შემთხვევაში წარმოშობილი ზარალის სრული და დროული ანაზღაურება წარმოადგენს, ხოლო მეორის მისწრაფება დროებით თავისუფალი სადაზღვევო შენატანების ინფლაციურების ფართო სპექტრით მოგების მაქსიმიზაციას გულისხმობს. მაშასადამე, პირველისათვის დაზღვევისაგან „მთავარი მონაპოვარი“ მატერიალური მდგომარეობის შენარჩუნებით განპირობებული „სულიერი ხიმშივლია“, ხოლო მეორისათვის მოგების სტაბილური ზრდით მიღწეული „ფინანსური ეფექტი“.

უმუშევრობის, ავადმყოფობის, უბედური შემთხვევისა და ა.შ. რისკებისაგან დაცვა კერძო დაზღვევის მეშვეობით საზოგადოების განსაზღვრული ნაწილისათვის მიუწევდომელია მათი შემოსავლებისა და სადაზღვევო პრემიების თანაფარდობიდან გამომდინარე. ასეთ შემთხვევაში რისკების რეალიზაციის შედეგების აღმოფხვრას სოციალური დაცვის სისტემა არეგულირებს.

დაზღვევა მიკროეკონომიკურ დონეზე უზრუნველყოფს: საბოლოო პროდუქტით – ზარალის ანაზღაურების დარწმუნებით – საზოგადოების წევრთა ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას; აღამიანთა სამოქმედო სივრცის გაფართოებას.

აღამიანი ყოველთვის ცდილობს მიღწეული ფასკულაბების შენარჩუნებას. მეწარმეობის არც ერთ ფორმას არ ძალუძს ისეთი მასტაბილიზაცია როლი შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკაში (და საერთოდ ცხერებაში) როგორც დაზღვევას. აღამიანთა სამოქმედო სივრცის გაფართოება დაზღვევის მნიშვნელოვანი, ფსიქოლოგიური

ხასიათის მომენტი. სამოქმედო სივრცე ღირსეული აღამიანის შეხედულებებით დაკრძალული საფრთხით არის წარმოქმნილი მხოლოდ მისი

დაზღვეული ფასკულაბანი აღამიანს ფართ არჩევანის უფლებას ანიჭებს, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამცირებს საფრთხის ზღვარს. დასწავა მაკროეკონომიკურ დონეზე გვევლინება, როგორც რისკებისაგან დაცვის მექანიზმი; კაპიტალის მოზიდვისა და ინვესტიციების განმახორციელებელი დარგი; ზარალის ანაზღაურების სისტემა; დახაკმებისა და გადასახადების გადახდილი სფერო.

დაზღვევის მთავარი დანიშნულება რისკისაგან დაცვაა. სადაზღვევო ორგანიზაცია ახდენს რისკების შეფასებას და კონკრეტული სადაზღვევო პრემიების ფასად მათ თავის თავზე აღებას. დაზღვევა XXI საუკუნეში გლობალიზაციის ფონზე აქტიურად უნდა „დავალოს“ რისკის ბაზარზე, რათა მზარდი კონკურენციის პირობებში ახალი სადაზღვევო მიმართულებები აითვისოს.

სადაზღვევო ორგანიზაციები კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. უზრუნველი კაპიტალით შექმნილი სადაზღვევო კომპანია ქვეყნის ეკონომიკისათვის, გარდა რისკების თავიდან აცილებისა, ახდენს ბრუნვიდან კაპიტალის დიდი ნაწილის ამოღებას და მის მოგებიანი აქტივებში დაბანდებას. ე.ა. სადაზღვევო კომპანია მძლავრ ფინანსურ ბერკეტს წარმოადგენს, რომელიც, გარდა სპეციფიკური ფუნქციებისა, ასრულებს ინფლაციის შემცირებისა და ფულის მასის დასაქონლების მეშვეობით ადგილობრივი კონიუნქტურის გამაუმჯობესებელ როლს.

დასავლეთის სადაზღვევო ორგანიზაციები თავიანთი საბროკერო ფორმების მეშვეობით აქტიურად მოქმედებენ საფონდო და სასაქონლო ბირჟებზე. წარმოების გამოცოცხლების შემთხვევაში ისინი დიდ ინვესტიციებს აბანდებენ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ასევე უზრუნველყოფენ.

სადაზღვევო კომპანია ვალდებულია სადაზღვევო რისკის რეალიზაციისას აანაზღაუროს დაზღვეული მხარის ზარალი. მისი ანაზღაურების მექანიზმი მარტივი უნდა იყოს როგორც დაზღვეულისათვის, ასევე პოტენციური მომხმარებლისათვის. ზარალის ანაზღაურებით სადაზღვევო ორგანიზაცია რეკლამას იკეთებს, ამიტომ ზარალის კეთილდინდისიერ და დროულ ანაზღაურებას ყოველს სადაზღვევო ორგანიზაციისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია.

ახალი კომპიუტერული

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მკვლევარი

„რისკის ხარისხის“ ცნების განხილვისას საჭიროა გაითვალისწინოთ რისკის რეალიზების სისშირე და მისი შედეგების სიმძიმე. როდესაც კომპლექსურად განვხვდებით მათ ურთიერთკავშირს, დაერწმუნდებით, რომ მოვლენების ურთიერთმიმართება ორი ძირითადი სახისაა: პირველ მათგანს ახასიათებს სარისკო შემთხვევების რეალიზების მაღალი სისშირე და შედეგთა ნაკლები სიმძიმე /მრავალი სარისკო ხიტიუცია შესაბამისად დამოკიდებულების ამ ფორმას, ხოლო მეორეს დაბალი სისშირე და მნიშვნელოვანი სიმძიმე / ამგვარი მოვლენების ხაერით რაოდენობა არც ისე დიდია. ისინი იწვევენ არსებით დანაკარგებს.

„რისკი“ განაზიარებს ზარალის მიხეზებსა და იმ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებენ დანაკარგთა ოდენობაზე. საერთოე უშუალო მიზეზია, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ზარალი. ზემოქმედების ფაქტორები კი თავისთავად არ იწვევენ დაზიანებებს, მაგრამ შეუძლიათ შეამცირონ ან გაზარდონ ობიექტზე საფრთხის ზემოქმედება. ზემოქმედების ფაქტორების გათვალისწინება აუცილებელია, როდესაც სადაზღვეო კომპანია წყვეტს რისკის გაწევას ან მისგან თავის არიდებას, ან კიდევ სადაზღვეო პრემიის განსაზღვრის საკითხებს.

საინფორმაციო დეფიციტი, განუსაზღვრელობა, გაუცნობიერებლობა, არამდგრადობა – ეს ფაქტორები მთავარ როლს თამაშობს რისკის შეფასებაში. საინფორმაციო დეფიციტი განუზომელ ზარალს აყენებს სადაზღვეო საქმიანობას. კომპანიები უნდა ფლობდნენ მთელ ინფორმაციას მოვლენის წარმოშობისა და მისი ხასიათის, ასევე აღბათობის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში სადაზღვეო საქმიანობა მუშაობის პროცესში მანამდე უცნობ მოვლენებს წააწყდება, რაც სადაზღვეო კომპანიას გამოუვალ მდგომარეობაში წაყენებს.

დაზღვევის ეკონომიკა ერთმანეთისაგან განასხვავებს აბსოლუტურ და შეფარდებით განუსაზღვრელობას, რაც, თავის მხრივ, იწვევს ამლიან და ნაწილობრივ გაუცნობიერებლობას. იმ ფაქტორების ზემოქმედების შედეგია – არამდგრადობა საზოგადოებაში. სწორედ განუსაზღვრელობა და გაუცნობიერებულობა რომელიმე მოვლენის მიმართ იწვევს მისი მოხდენის აღბათობის არასწორ შეფასებას დაზღვევაში.

სადაზღვეო შემთხვევის წინასწარ განჭკურტა დამზღვევს არ უნდა შეეძლოს, რადგან ეს გამორიცხავს დანაკარგთა განუსაზღვრელობას და რისკის გადაცემა ვერ მოხერხდება. ეს გამორიცხავს აგრეთვე ისეთ გარდაუვალ მოვლენებს, როგორცაა ტექნიკური ვაცეპთითა და გაუფასურებით

მიყენებული ზარალი, დამზღვევის მიერ განზრახ წაღვნილი ნებისმიერი დაზიანება, აქტიუეული ადამიანების განზრახ ქმედებანი ავტომატურად არ გამოირიცხებოდა, ისინი შემთხვევითი ხასიათისა რომ არ იყოს დამზღვევის მიმართ. ერთადერთი მაგალითი, რომელიც, როგორც ჩანს, არ ექვემდებარება საერთო წესს და მაინც „ემორჩილება“ დაზღვევას, ესაა თვით სიკვდილის რისკი. ჩვენ ვიცით, რომ შესაძლებელია სიცოცხლის დაზღვევა. თუმცა სიკვდილი ერთერთია გარდაუვალი მოვლენების მცირე რაოდენობიდან. ამასთან, სიკვდილის მომეტე წინასწარ ვერ განისაზღვრება და სწორედ ამის მეშეუობით ხერხდება სიცოცხლის დაზღვევა.

სიცოცხლის დაზღვევისას ფინანსური კომპენსაციის ოდენობა გაითვალისწინება კონტრაქტის შედგენისას. შეუძლებელია მეუღლის ან შეიღის სიცოცხლის შეფასება. მაგრამ გადასახდელი თანხა შეიძლება განისაზღვროს დაზღვევის პროცედურის საწყის ეტაპზე.

როდესაც სადაზღვეო საზოგადოებას გააჩნია ერთგვაროვანი სადაზღვეო შემთხვევების საექპარიის რაოდენობა, მას შეუძლია მოხადლოდნელი ზარალის ოდენობის პროგნოზირება. ამგვარი შემთხვევების სიმცირისას ამოცანა რთულდება და საჭირო სადაზღვეო შენატანების გაანგარიშება უპირატესად ეძარება ინფორმაციის საფუძველზე შემუშავებულ ვარაუდს და არა მათ – ზუსტ გამოთვლებს. ასეთ დროს მზღვეველები, სულ ერთია, შეუძლიათ თუ არა მათ პრედიქციის ოდენობის ზუსტი განსაზღვრა, აუცილებელია მიმართავენ დამცეე საშუალებებს და, კერძოდ, იმდენი თანხის აკრეფას, რამდენიც საჭიროა დანახარჯების დასაფარავად ვგეალებზე უარესი ვარიანტის მიხედვით. კონკურენცია შეიძლება უგულვებლევოთ, რადგან ამგვარი სადაზღვეო შემთხვევები იშვიათია.

ერთგვაროვანი შემთხვევების მნიშვნელოვანი რაოდენობა წარმოადგენს სადაზღვეო რისკის თავისებურებას. ამასთან, შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები, როდესაც იზღვეოდა უპრეცედენტო და არატიპური შემთხვევები. ზოგჯერ გვხვდება დაზღვევის უჩვეულო ნიმუშებიც, მაგალითად, კინოვარსკვლავის ფეხების ან პიანისტის თითების დაზღვევა – და ეს შეიძლება განხილვის საგნად იქცეს პრესაში, მაგრამ პრაქტიკული თვალსაზრისით ვერაფერს გვაწვავდის. ერგვაროვანი შემთხვევების მცირე რაოდენობის უფრო რეალისტურ და თანამედროვე ილუსტრაციათ და მოთვლება კოსმოსური თანამგზავრები. ჩვენ მათი გაშეებისა და



# მიმინიშება

რაოდენობრივი მატრების მოწმეები გახლავართ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ შედარებით იშვიათი და არც ისე გავრცელებული მოვლენაა, რომ მხდველეებს მონაცემთა სტატისტიკური ბაზის დამუშავების საშუალება მისცეს. უკვე ვიცით, რომ დამზღვევი ფინანსურად დაინტერესებული უნდა იყოს ზარალის ანაზღაურებაში, ხოლო ამგვარი ხარაღი შემთხვევით მოვლენას უნდა წარმოადგენდეს. ეს გამორიცხავს სხვა ადამიანთა საკუთრების დაზღვევის შესაძლებლობას და განზრახვითი ზიანის მიყენებას სადაზღვევო პოლისში აღნიშნული ფულადი თანხის მიღების მიზნით.

დაზღვევის ეკონომიკის მთავარ პრობლემას სადაზღვევო შემთხვევის მოხდენის ალბათობის შესწავლა წარმოადგენს. შესაბამისად დაზღვევის ეკონომიკის სტრუქტურა უნდა იყოს მოქმედების, კანონმდებლობის, სტატისტიკისა და საზოგადოების მორალურობას კომპლექსურად შეისწავლიან.

დაზღვევის მთავარი პრობლემის გამოყოფის შემდეგ მნიშვნელოვანია მისი რაც შეიძლება სრული მოვლიერება თეორიაში. ამ დროს, რადიურ და მეცნიერულ პრობლემებს შორის ადვილად ურთობის დაცვა - აუცილებელი პირობაა. რეალური პრობლემის განხილვა მეცნიერებაში, საბოლოო ჯამში, პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიას სახავს.

სადაზღვევო საქმიანობის განმარტებელი თვისებურება ისაა, რომ მხოლოდ ერთმა ადამიანმა იცის ყოველივე იმ „საგნის“ შესახებ, რომელიც ირდევია. ამიტომ ის ვადდებულია მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია მხდველს. დაზღვევის პროცედურისას გამოყენებულ უნდა იქნეს „უღარესი კეთილსინდისიერების“ პრინციპი და დასაზღვევი საგნის ყველა ხარვეზის შესახებ ცნობის მზღვეველს.

პრაქტიკაში ძალზე ძნელია ზარალის ერთმნიშვნელოვანი განგარიშება მეცნიერული თვალსაზრისით, როდესაც საქმე გვაქვს დაზიანებულ საქონელთან. მხდველეები ცდილობენ დაიცვან საზარათლიანობა ეკონომიკის ფულადი ანაზღაურებისას. დასომხეურ ლიტერატურაში ცნობილია ანაზღაურების ასეთი განსაზღვრა: „უსაფრთხოების დაცვა ან მისი გარანტია დაზიანების შემთხვევაში.“ გარანტიისა და დაცვის იდეა უთანხმება იმას, რაც ჩვეთვის დაზღვევის ევოლუციის შესახება ცნობილი და ეს საშუალებას გვაძლევს ჩაეწვიდეთ ზარალის ანაზღაურების პრინციპს. ამ მკვლევარების შემდეგობით მხდველეები უზრუნველყოფენ ფინანსურ კომპენსაციას და მისიწრაფიან დაუბრუნონ

დამზღვევს /ზარალის შემდეგ, ისეთი მატრიალური მდგომარეობა, რომელიც იმყოფებოდა უშუალოდ დაზარალდებულს. არსებობს მკიდრო კავშირი ზარალის ანაზღაურებასა და სადაზღვევო ინტერესს შორის. კერძოდ, ესაა დამზღვევის ინტერესი დასაზღვევი საგნის მიმართ. ნებისმიერი პრეტენზიის წარდგენისას დამზღვევის მიერ მიღებული საზღაური არ უნდა აღმატებოდეს მისი ინტერესის შესაბამის თანხას. რაც შეეხება სადაზღვევო ინტერესს, ზარალის ანაზღაურების პრინციპი ემყარება ფინანსურ შეფასებას და შეუძლებელია სიცოცხლის დაზღვევის ან ინვალიდობის საკომპენსაციო ფულადი თანხების ზუსტი განსაზღვრა.

ზარალის ანაზღაურების პრინციპი ძნელად გამოსაყენებელია, როდესაც საქმე ეხება უბედური შემთხვევისაგან, ავადმყოფობისაგან ან სიცოცხლის დაზღვევას. როგორია მარჯვენა ხელის ან ფეხის ღირებულება? როგორია სიცოცხლის ღირებულება? მრავალეკლები შეუზღუდავად დაზღვევენ სიცოცხლეს ან უბედურ შემთხვევებს /თუშეა ითვალისწინებენ სამედიცინო წარჩენებებს/. ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს მომხმარებელთა შესაძლებლობა - გადაიხადონ სადაზღვევო პრემია. შეიძლება საკუთარი სიცოცხლე მილიონ ევროდ შეაფასოთ, მაგრამ, ალბათ, ვერ შეძლებთ შესაბამისი სადაზღვევო პრემიის გადახდას თუ პოპულარულად არა ხართ. მხდველეები, ჩვეულებრივ იყენებენ ერთადერთ შეზღუდვას, რომელიც შეეხება ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევისას ყოველკერძულად გასაცემი თანხის ოდენობას. რეკომენდებული არაა ისეთი სადაზღვევო ხელშეკრულებების დადება, რომლის მიხედვით ყოველკერძულად გასაცემი თანხა შეადგენს 1000 ევროს, ხოლო დამზღვევის კერძულ ხელფასს - 100 ევროს. როგორ ფიქრობთ რატომ?

პასუხი ის კი არაა, რომ შესაძლებელია, თუთონ მაყენით ზარალი საკუთარ თავს არამდის, რომ დასახიჩრტებისას სწრაფი გამოჯანმრთელების სტიმული მოთქმის არ გექნებათ და ნამდვილად შესაძლებელია ავადმყოფობის სიმულირება. სინამდვილეში ზარალის ანაზღაურების პრინციპი არ შეესაბამება სიცოცხლის დაზღვევას, სადაც გათვალისწინებულია „ფულადი თანხის გაცემა“. იმის გაცნობიერებას, რომ დაზღვევა დაკავშირებულია სარისკო შემთხვევების ფინანსურ შედეგთა დაძლევისათ, გარკვეული სულიერი სიმშვიდე მოაქვს. ეს არსებითი

სხალი მართობისტი

შესაკუთრებისათვის, როდესაც ისინი აზღვევენ თავიანთ ავტომობილებს, სახლებს, ქონებას და ა.შ., მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია მრეწველობისა და ვაჭრობისათვის.

რატომ უნდა დააბანდოს ადამიანი თანხა საქმეწარმეო საქმიანობაში, როცა ის დაკავშირებულია დაკარგვის რისკთან? მაგრამ თუ ეს არ მოხდება, შემცირდება საშუალო ადგილების რაოდენობა, შეიკვეცება საქონლის წარმოება, გაიზრდება იმპორტის მოცულობა და დაკვირდება კეთილდღეობის საერთო დონე დაზღვევა მეწარმეს შესაძლებლობას უქმნის გადასცეს საკუთარი საქმიანობის რისკის ნაწილი მზღვეველს.

დაზღვევა წარმოადგენს აგრეთვე არსებული საქმიანი აქტივობის სტიმულს. ეს რეალიზდება სახსრების გამოთავისუფლების მეშვეობით, რომლებიც განაკუთვნილია სავაჭრო კაპიტალდაბანდებისათვის. სხვა შემთხვევაში აღნიშნული სახსრები შეინახებოდა ლიკვიდური რეზერვების სახით მომავალი ზარალის დასაფარავად. საშუალო და მსხვილ ფირმებს, უჭკველია, შეუძლიათ შექმნან რეზერვები განსაკუთრებული შემთხვევებისათვის, როგორცაა, მაგალითად, ხანძარი, ძარცვა და სხვა სერიოზული დაზიანებები. ამასთან, ეს თანხა შედარებით ადვილად და სწრაფად მისაწვდომი უნდა იყოს, მაშასადამე, პროცენტული განაკეთი, რომლის მიღებაც ფირმას შეუძლია, ჩვეულებრივ დაბალი იქნება. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამ თანხას ვერაფერს გამოიყენებდა წარმოებაში ინვესტირებისათვის. სადაზღვევო ფონდის არსებობის წყალობით ყოველ ცალკეულ მეწარმეს შეუძლია უფრო ნაკლებ ფასად შეიძინოს სადაზღვევო დაფარვა, ვიდრე ის დანახარჯებთან, რომლებიც მას უნდა გაეწია საკუთარი საჩუქერო ფონდის ფორმირების შემთხვევაში /თუ იმასაც ეუბოდის სმებთ, რომ ეს მისი პირველხარისისოვანი ამოცანაა/. სადაზღვევო პრემია უნდა განვიხილოთ, როგორც გარკვეული „ზარალი“ ბიზნესის სფეროში, მაგრამ ამის შემდგომ ფირმას შეუძლია საქმიანი აქტივობის გაგრძელება და ინვესტიციათა განხორციელება იმის შეგნებით, რომ გამოვალისწინებულია ხარისკო შემთხვევებისაგან დამცავი ზომები.

სადაზღვევო კომპანიების განკარგულებაშია დიდძალი ფულადი სახსრები. ეს იმის შედეგია, რომ წარმოიქმნება დროითი შუალედი სადაზღვევო პრემიის გადახდასა და პრეტენზიის შესაბამის თანხის გაცემას შორის. სადაზღვევო ინდუსტრია, რომელსაც გააჩნია ინვესტიციების ფართო სპექტრი, ესმარბა თავისი ქვეყნის მთავრობას, მრეწველობასა

და ვაჭრობას, რისთვისაც სთავაზობს მათ სესხის განსხვავებულ ფორმებს და იძენს აქტივობის ბაზარზე. სადაზღვევო კომპანიები შეადგენს ეკონსტიტუციონალური ინვესტირების ნაწილს. სხვა სტრუქტურული რგოლებია ბანკები და საექსპორტო ფონდები.

უკანასკნელ წლებში მსხვილ ეროვნულ და საერთაშორისო სამრეწველო კომპანიებს შორის ფართო გავრცელება პოვა კეტივერმა დაზღვევამ, რომელიც რისკის არა გადაცემის /დაზღვევა/, არამედ გადაბარების /გადაზღვევა/ მეთოდია. დამფუძნებელი კომპანია მიმართავს დამამრე ვადაზღვევო ფირმის დაარსებას იმის გამო, რომ სადაზღვევო ბაზარმა ვერ უზრუნველყო უწყველო /ზომისზე მაღალი/ რისკების დაზღვევა ან მათი სრული დაფარვა. კეტივეური დაზღვევისათვის დამახასიათებელია სადაზღვევო პრემიების შედარებით შემცირება მეორადი დაზღვევის ხელშეკრულებათა რაოდენობრივი ზრდისა და, მაშასადამე, მათი უფრო დაბალ ფასში გაფორმების მეშვეობით, ვიდრე ამას მოითხოვს ჩვეულებრივი ანუ უშუალო მზღვეველი. საერთოდ, გადაზღვევის ხარჯები გაცილებით ნაკლებია უშუალო დაზღვევის ხარჯებსზე.

ხოციური სამთავრობო დამცავულება და მსხვილი სამრეწველო კონცერნი გამოყოფენ თანხებს იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც დაზღვეული არაა. ესაა კომპერციულ ბაზარზე დაზღვევის ალტერნატივა ან მისი დამატება. მიუხედავად იმისა, რომ რისკი ორგანიზაციაში რჩება და არ წარმოიქმნება ყიდვა-გაყიდვის მიმართებები, ეს მაინც ახდენს საერთო ზეგავლენას საბაზრო კაპიტალზე მთლიანად სადაზღვევო პრემიების სიდიდვე იქ, სადაც ორგანიზაცია ფარავს რისკების პირველ დონეს /„უპირობო ფრანშიზა“/. ასეთი ორგანიზაციები იღებენ გადაწყვეტილებას თვითდაზღვევის შესახებ. თვითდაზღვევის ფონდის საქმიანობისაგან მიღებულს მოგება რჩება დამზღვევის განკარგულებაში იმის გამო, რომ დაზღვევის ძირიადი პრინციპი – რისკის გადაცემა – აქ არ მოქმედებს.

თანხა, რომელსაც იხდის მზღვეველი, განიხსავფრება სადაზღვევო თანხით – ქონებრივი დაზღვევისას, ხოლო ანაზღაურების ლიმიტით – პასუხისმგებლობის დაზღვევის შემთხვევაში. პრეტენზიათა უმრავლესობის დაკმაყოფილება სწრაფად ხორციელდება, რაც როგორც დამზღვევის, ასევე მზღვეველის ინტერესს შეადგენს. ამასთან, სამწუხაროდ, არსებობს შემთხვევათა მცირე რაოდენობა, რომლებსაც მოხდეს უთანხმოებანი

ახალი ბარნომბო



## შეჯამება

მზღვეველის მიერ პრეტენზიების დაფარვის გალდებულების, თანხების ოდენობის ან ვადის გამო. ხშირად პრეტენზიების რეგულირებისათვის იწვევენ აჯახტერს. მან შეიძლება დახმარება გაუწიოს ქონების შესაკუთრეს როგორც დანაკარგთა შემცირების, ასევე აღდგენის პროცესის დაჩქარების საქმეში.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 90-იანი წლების შუა ხანებიდან სადაზღვევეო ბაზრის ლიბერალიზაცია და დერეგულირება სადაზღვევეო კომპანიებს აიძულებს უკეთესი ეკონომიკური პოლიტიკა განახორციელონ. ლიბერალიზებით ბაზრის მოცულობა გაიზარდა და მოსალოდნელი კონკურენტების რაოდენობამაც იმატა. დერეგულირების ფონზე კონკურენცია უფრო ინტენსიური გახდა. ერთი სიტყვით, სადაზღვევეო ბაზარზე კონკურენცია აშკარად გამაფრდა. კონკურენციის მიხედვით იზრდება ფასების / სადაზღვევეო პრემიების/ ზეწოლა. მიმხმარებელთა

შენარუნებისათვის შედარებით მცირე კაპიტალის მქონე მზღვეველი მეწარმეები უფრო მეტად თავიანთი საბაზრო ნიშის „პოვნას“ და განსაკუთრებული სტრატეგიის განვითარებას.

მიმდინარეობს დაზღვევის პროდუქციისა და ფასების სისტემაში, გახადების სფეროში მიმართულებების სრული დიფერენცირება, რაც მზღვეველ მეწარმეთა ბაზარზე „დარჩენის“ აუცილებლობას წარმოადგენს. პროდუქციისა და ფასების მზარდდიფერენცირებას გამჭვირვალე ბაზარზე მიყვართ, რომელიც, თავის მხრივ, ახალ მოთხოვნებს უყენებს სადაზღვევეო აგენტებსა და დაშლევებს, რათა ისინი საბაზრო ინფორმაციას უკეთ ფლობდნენ და საუკეთესო სადაზღვევეო პროდუქციას აქცეპტაბელურ ფასად ეძებდნენ. მომხმარებელთა მზარდი ინფორმირებულობით მათი ერთგულება მცირდება. ისინი ადვილად გადადიან იმ სადაზღვევეო ორგანიზაციებში, რომელთა სახელშეკრულებით პირობები უკეთესია.

### განმარჯებულო ლიტერატურა:

1. Breyer F., Zweifel P., Gesundheitsoekobnomik, Berlin, 1997.
2. Farny D., „Die „neuen“ strategischen Erfolgsfaktoren der Versicherungsunternehmen im deregulierten Markt Karlsruhe, 1997.
3. Franz W., Arbeitsmarktoekonomik, Berlin, 1996.
4. Frerich J., Sozialpolitik. Das Sozialleistungssystem dre Bundesrepublik Deutschland. Darstellung, Probleme und perspektiven der Sozialen Sicherung. Muenchen/Wien, 1996.
5. Gesamtverband der Deutschen Versicherungswirtschaft e. V., GDV /Hrsg./ Die deutsche Versicherungswirtschaft, Jahrbuch 1996. Karlsruhe, 1996.
6. Hoffman K., Krueger S., Start frei fuer ruinoesen Wettbewerb? in: Versicherungskaufmann, Heft 4, 1996, S. 24-28.
7. Kromschroeder B., Risikoentsprechende Praemiendifferenzierung in der Kfz-Haftpflichtversicherung, in: Die Versicherungsrundschau 50, Nr. 11, 1996, S. 9-14.
8. Krupp H.J., Die Zukunft des Sozialstaates vor dem Hintergrund der zunehmenden Globalisierung in: Sozialer Fortschritt 1997, S. 245ff.
9. Lampert H., Lehrbuch der Sozialpolitik. Berlin, 1998, S. 224-228.
10. Schmidt G., Ueber die Schwierigkeiten, vernuenftig mit Risiken umzugehen, in: Risiko, Versicherung, Markt. FS Walter karten, hrsg. von D. Hesberg, M. Noll und W. Schott. Karlsruhe /VVW/, 1995, S. 27ff.
11. Schulenburg J.-M., Wie ist der Schein? Die Wahrscheinlichkeit, in: risiko, Versicherung, Markt. FS Walter Karten, hrsg. von D. Hesberg, M. Noll und W. Schott. Karlsruhe /VVW/, 1995, S. 39ff.
12. Scully M., Die Jagd nach den „guten“ Risiken, in: Versicherungskaufmann, Nr. 4, 1995, S. 24-28.
13. Wingen M., Familienpolitik. Grundlagen und aktuelle Probleme. Stuttgart, 1997.
14. Zimmermann H., Henke K.-D., Finanzwissenschaft. Muenchen, 1994.

საბანკო ეკონომიკის

Doctor of Economic Science

Economical politics chair's leader of  
Ivane Javakishvili Tbilisi State University,  
absolute professor.

The reason of insurance market's non-perfection is that, it is successful only in special conditions, in concrete: there should be existed insurance occasions' great number of defined cases. Only in this situation the companies will have opportunity and interest to unite risks and distribute them to people's important amount. By the word, insurance companies try to have partnership with the great number of independent risks. Besides, it's inevitable to have a rich experience in every type of insurance for correctly estimating the possible damages by insurance company. And, at last, insurance should be free for the most part by ethical risk, because in ethical risk's existence, insured person is not interested to eradicate insurance occasion's appearance. If all this conditions – sufficient number of independent insurance occasions, possibility to estimate risk and damage, insignificant level of ethical risk – are truly existed, private insurance market will be successful.



თომარ სარაიშვილი  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

მარინა ნაცვალაძე  
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ეროვნული სასურსათო პროდუქტების წარმოებამ განსაკუთრებული როლი უნდა შესრულოს ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაში. განსაკუთრებით აქტუალურია იმ კონკურენტუნარიანი დარგების განვითარება, რომლებიც ეროვნული რესურსების ეფექტიანი გამოყენებით შეძლებენ მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას, ასევე საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებასა და მინიმალური დანახარჯებით მნიშვნელოვანი უკუკეების მიღებას მოკლევადიან პერიოდში.

საქართველოს სასურსათო პროდუქტების წარმოებაში მდიდარი ტრადიციები და გამოცდილება გააჩნია. თუმცა საბაზრო გარემოში ახლებურად მოითხოვა პროდუქტის, სექტორისა თუ დარგის კონკურენტუნარიანობის შეფასება. აუცილებელი გახდა მწარმოებლებისა და მომხმარებლების მიზნობრივი ბაზრების კვლევა, ბაზარზე შესვლის ბარიერების გამოვლენა, კონკურენტული გარემოს ანალიზი, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის დადგენა და სხვა.

განვითარებული აგრობიზნესის პირობებში სასურსათო ბაზარი ყველაზე მეტად არის ახლოს სრულყოფილი კონკურენტციის ბაზართან. შესაბამისად, ბაზარი გამოირჩევა ფირმების შეღარებით მრავალრიცხოვნობითა და პროდუქციის მაღალი დიფერენციაციით. ამ ტიპის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების კონსტრუქტურა დამოკიდებულია როგორც საფასო, ასევე არასაფასო ფაქტორების ზემოქმედებაზე. ამასთან, სასურსათო სექტორის განსხვავებული სტრუქტურები, წარმოების სეზონურობა, რთული ფასწარმოქმნის მექანიზმი ხშირად იწვევს პროდუქტების მოთხოვნა-მიწოდებას შორის შესუსტებობას.

საქართველოში სასურსათო ბაზრის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო სექტორის ჩამოყალიბება. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს თუ ბაზრის რომელ სტრუქტურას გააჩნია პოტენციალი, როგორა ბაზრებზე შესვლის ბარიერები, რომელ სტრუქტურებში შესვლა არის დაკავშირებული ნაკლებ დანახარჯებთან და ა. შ.

ბიოპროდუქტებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულებისა და გემოვნების შესწავლისადმი მიძღვნილი გამოკვლევები ცოტაა, თუმცა, მსოფლიოში არიან მეცნიერები, რომლებმაც ამ სფეროში მნიშვნელოვანი გამოკვლევები ჩატარეს. კვლევის შედეგები აბტყეებს, რომ მომხმარებლებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ ბიოპროდუქტებისადმი. ეს პროდუქტები ითვლება როგორც უფრო ჯანსაღი, ვიდრე ალტერნატიული პროდუქტები და სწორედ ეს არის მისი ყიდვის შესახებ მომხმარებელთა გადაწყვეტილების ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი.<sup>1</sup>

გადაწყვეტაც ხანგრძლივი კომპლექსური მიდგომის საფუძველზე გახდა შესაძლებელი.

საქართველოში მოსახლეობის გარანტირებული დასაქმების პრაქტიკა საქმოდ დიდი ხნის მანძილზე არსებობდა და არაფუქტიანად მაგრამ მაინც წყვეტდა ამ პრობლემას. დღეს რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა და მოსახლეობის დასაქმების უზრუნველსაყოფად საზოგადოების და მთავრობის მხრიდან თვისობრივად განსხვავებული ხედეა და მიდგომება საჭირო დასაქმების უზრუნველყოფის საქმეში.

მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის

ერთადერთი სწორი მიმართულება ეკონომიკური თავისუფლების

უზრუნველყოფაა. თანამედროვე გაგებით ეკონომიკური თავისუფლება დაფუძნებულია კერძო საქუთრების ხელშეუხებლობაზე, წარმოების, საგარეო და საშინაო ვაჭრობის, დაზოგვის, ინვესტირების, შრომის თავისუფლებაზე.

ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა ჩნდება, როდესაც სახელმწიფო ეკონომიკურ ნარევით ცდილობს შეცვალოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებები, რაც უმთავრესად, მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნებითაა განაპირობებული. როგორც კონკრეტული ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ნიშნავს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას.

საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, რაც მოსახლეობის უმუშევრობის მაღალ

ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფაა.

ერთადერთი სწორი მიმართულება ეკონომიკური თავისუფლების უზრუნველყოფაა.

თანამედროვე გაგებით ეკონომიკური თავისუფლება დაფუძნებულია კერძო საქუთრების ხელშეუხებლობაზე, წარმოების, საგარეო და საშინაო ვაჭრობის, დაზოგვის, ინვესტირების, შრომის თავისუფლებაზე.

ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვის პრობლემა ჩნდება, როდესაც სახელმწიფო ეკონომიკურ ნარევით ცდილობს შეცვალოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებები, რაც უმთავრესად, მოკლევადიანი პოლიტიკური მიზნებითაა განაპირობებული.

როგორც კონკრეტული ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა ნიშნავს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვას.

საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან, რაც მოსახლეობის უმუშევრობის მაღალ

საქართველო  
საზოგადოებრივი მეცნიერებების  
აკადემია



დონეში და არაუფექტიანი დასაქმების დიდ მასშტაბებში აისახება, გრძელვადიან პერიოდში შეიძლება

დავძლიოთ უპირველესად მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების მიღწევის შემთხვევაში. თეორიულ დონეზე ეკონომიკური თავისუფლების სურვილის დეკლარირება აბსოლუტურად ვერ უზრუნველყოფს პრობლემების გადაწყვეტას.

სირთულე მდგომარეობს ეკონომიკური თავისუფლების პრინციპების რეალურად განხორციელებაში და დანერგვაში. აღნიშული თვალსაზრისით უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში დადებითი ცვლილებები შეიმჩნევა. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ისეთი ღონისძიებები როგორცაა: ნებართვების, კონტროლის, შემოწმებების, ლიცენზირების რაოდენობის შემცირება; საგადასახადო ტვირთის შემცირება; იმპორტზე გადასახადების გაუქმება და ზოგიერთ

საქონელთან მიმართებაში მინიმუმამდე შემცირება; შრომის კანონთა ახალი კოდექსის მიღება; უცხოური ინვესტიციების მოსახიდად სანევესტიციო გარშის გაუმჯობესება (ასეთი მიდგომა ხელს უწყობს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, რაც აუცილებელი წინაპირობაა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად). ჩამოთვლილი ღონისძიებების და ეკონომიკური რეფორმირების კუთხით გადადგმული სხვა ნაბიჯების მართებულობა აისახა მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ბიზნესის წარმართვის

რეიტინგში, რაც ქვეყანაში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის შესაფასებლად შეიძლება გამოიყენონ. ამ რეიტინგის მიხედვით, განხორციელებული რეფორმების შემდეგ საქართველომ 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე გადაინაცვლა. დადებით ცვლილებებზე მიუთითებს The Wall Street Journal-ისა და The Heritage Foundation-ის მიერ ჩატარებული საერთაშორისო კვლევები, რომლებიც ყოველწლიურად ადგენენ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. აღნიშნული ინდექსის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია შრომის თავისუფლება. ამ კრიტერიუმის მიხედვით საქართველო 2005 წელს 93-ე ადგილზე იმყოფებოდა, ხოლო 2006 წელს 54-ე ადგილზე. შრომის სფეროში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა განაპირობა ის, რომ 2009 წელს მსოფლიოს 157 ქვეყანას შორის საქართველომ 31-ე ადგილი დაიკავა.

ეკონომიკური და შრომის თავისუფლების მაღალი რეიტინგი, რა თქმა უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციებისთვის სასაქონლო მიწის იმიჯის შექმნას უწყობს ხელს. მაგრამ რეიტინგების გარდა არსებობს რეალური ეკონომიკური პროცესები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს უშლის ეფექტიან დასაქმებას და უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტას და ხშირად ეკონომიკური ზრდის შემაფრნებელ ფაქტორად გვევლინება. შევასუბსტანოთ შეიძლება განვიხილოთ რამდენიმე ღონისძიება, რომელსაც უკანასკნელ წლებში დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში განხორციელდა საქართველოში.

2004 წლამდე დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციას ახორციელებდა დასაქმების სახელმწიფო სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციები იყო სამუშაოს მძიებელთა რეგისტრაცია და ვაკანტური სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, სამუშაოს მძიებელთა შრომით მოწყობაში ხელშეწყობა, პროფესიული მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის

ამაღლებაში დახმარება. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობა ობიექტური და სუბიექტური მიხედვების გამო არანაირ შედეგს არ იძლეოდა. მისი დახმარებით ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ადამიანი საქმდებოდა,

ძირითადად, შრომის მეორად ბაზარზე, ხოლო რეგისტრაციის სურვილი და მოტივაცია იმდენად მცირე იყო, რომ წლებების მანძილზე რეგისტრირებული უმუშევრობის დონე ბუნებრივ დონეზე ნაკლებს შეადგენდა.

2004 წელს საქართველოს შრომის, ჯამრთველობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ განახორციელა დასაქმების სახელმწიფო სამსახურის რეორგანიზაცია და შეიქმნა „სოციალური დასაქმებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტო“. სააგენტოს დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ფუნქციების გარდა დაემატა სხვა ფუნქციები, რომლებიც მიზნად იხსახეს ქვეყანაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

2005 წელს სოციალური დასაქმებისა და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ განახორციელა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის მიხედვით სოციალური დასაქმების პროგრამა. საქართველოში სოციალურ სფეროში არსებულ რთულ მდგომარეობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ სოციალურმა დასაქმების პროგრამამ მოიცვა საქართველოს

ახალი ეკონომიკა



საქართველოს  
პარლამენტი

მოსახლეობის მესამედი, რაც პირველ რიგში მოსახლეობის დაუსაქმებლობის დიდი მასშტაბით არის გამოწვეული. მდგომარეობის გამოსწორების ერთგვარი მცდელობა იყო 2008 წელს განხორციელებული დასაქმების პროგრამა, რომლის ბიუჯეტი 24 მილიონ ლარს შეადგენდა. პროგრამა ითვალისწინებდა სამუშაოს მაძიებელთა გადამზადებას სამუშაო ადგილზე დამქირაველებთან ერთად, საფუძველზე. ახალგაზრდების დასაქმების მიზნით ანალოგიური ტიპის დასაქმების პროგრამა განხორციელდა თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ. დაფინანსების ოდენობის და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე ფართომასშტაბიანი დასაქმების პროგრამა განხორციელდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 60 მილიონ ლარს და გათვალისწინებული იყო 100 000 ადამიანისთვის. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო სამუშაო ადგილზე სამოტივაციო პროექციული მიზნად და მონაწილე სამუშაოს მაძიებლებს თვეში ყოველათ 200 ლარი სტიპენდიის სახით. უნდა ითქვას, რომ

კეთილი სურვილების მიუხედავად მსგავსი პროგრამებიდან არსებით შედეგები ვერ მივიღეთ უმუშევრობის შემცირების და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ბოლო პერიოდში საქართველოში განხორციელებული დასაქმების პროგრამების არაეფექტიანობის რამდენიმე მიზეზი არსებობს:

- პროგრამის ფარგლებში უმუშევართა დასაქმებას დროებითი ხასიათი აქვს. საგარეულოდ, მეწარმეები პოლიტიკური კონიუნქტურის გამო დებულებენ მონაწილეობას მსგავს პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ დამქირაველები

ზოგაერთ სფეროში განიცდიან კადრების დეფიციტს, მსგავსი პროგრამებით იხიან ვერ შეძლებენ მათთვის საჭირო კადრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას.


კადრების შერჩევა და განვითარების ტექნოლოგია საკმაოდ რთულია და გვემორს პრინციპებზე ამის განხორციელება ნაკლებად ეფექტიანია;

- საუკეთესო შემთხვევაში დასაქმების პროგრამების ფარგლებში მონაწილეთა მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო გრძელვადიანი დასაქმება, დანარჩენების მომზადებაზე გაწეულმა ხარჯებმა უმუშევრებისთვის შემწეობის ხასიათი მიიღო. ასეთი მნიშვნელოვანი თანხის (ჯამში რამდენიმე ათეული მილიონი) ღირებულების შექმნის გარეშე ადამიანებისთვის მიცემა ინფლაციური პროცესების

ხელშეწყობით ფაქტორია, რაც აუარესებს მაკროეკონომიკურ მდგომარეობას და კიდევ უფრო ართულებს ეფექტიანი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტას;

- ქრთმული უმუშევრობის ერთ-ერთ უარყოფით შედეგს წარმოადგენს წლების განმავლობაში უმუშევარი ადამიანების დაბალი მოტივაცია გარკვეული ძალისხმევის შედეგად შეცვადონ მოიძიონ მუდმივი სამუშაო ადგილი. ამ პროგრამებთან ერთებაში მნიშვნელოვანი ნაწილი თანახმაა ფორმალურად გაურთოდეს დამქირაველებს და მიიღოს შეთავაზებული სტიპენდია ყოველგვარი ახალი ცოდნის და კვალიფიკაციის ამაღლებაზე დახარჯული შრომის გარეშე;

- აღნიშნული დასაქმების პროგრამები მოიაზრება ერთგვარ დასაქმების აქტიური პოლიტიკის ერთ-ერთი მიმართულებად, მაგრამ რეალურად ის შორს არის დასაქმების აქტიური პოლიტიკის შედეგებისაგან და უმუშევრებზე დროებითი შემწეობის გაცემით დასაქმების პასიური პოლიტიკის შინაარსს იძენს. დასაქმების აქტიური პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგებზე სუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ჩვენს აზრით რეალისტური დასაქმების პროგრამებიდან ყველაზე ეფექტიანი იქნება ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ დაწყებული ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროგრამა ტურიზმის სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალპროცენტული კრედიტით დაფინანსების გზით. სხვა პროგრამებისგან განსხვავებით ამ პროგრამის წარმატებით რეალიზაციაში გადამწყვეტი ფაქტორია, ის რომ მთავრობამ პარტიზორად კერძო სტრუქტურა შეარჩია, კერძოდ „პროკრედიტ ბანკი“, რომელსაც ხუთ მილიონიანი საკრედიტო რესურსი გადაეცა. გამოყოფილი თანხა ბანკმა ტურიზმის სფეროში მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად უნდა გამოიყენოს. ბანკი თავადაა მოტივირებული დაფინანსოს რეალური, მოშენიანი ბიზნესი იდეები, რაც, შესაბამისად, უმუშევარი მოსახლეობის დასაქმებას ან დასაქმების ეფექტიანობის ამაღლებას უზრუნველყოფს. ამ შემთხვევაში დასაქმების პროგრამაზე გამოყოფილი თანხების არაეფექტიანი განაწილების რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი. ასეთი მიდგომით პროგრამაზე გაწეული ხარჯები თითოეულად ტურიზმის სფეროს განვითარებას არა, ზოგადად, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე იქნება დახარჯული, რაც ეფექტიანი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის ძირითად



სახელი ნაწილი

მიმართულებას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში დასაქმების პროგრამის რეალიზაციაზე დახარჯული თანხის კერძო ხტრუქტურების (კომერციული ბანკების) საშუალებით გადანაწილება გაცილებით მეტი შედეგის მომტანი იქნება, როგორც ეკონომიკური ზრდის ასევე უმუშევრობის უმწვავესი სოციალური პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით. როგორი ფორმითაც არ უნდა განხორციელდეს დასაქმების აქტიური პოლიტიკა, იგი ევრანაირ შედეგს ვერ მოგვცემს თუ არ იქნება დაცული ეკონომიკური თავისუფლების და ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფის უზრუნველყოფის პირობა - კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა. ამ თვალსაზრისით საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური და სამართლებრივი ღონისძიებები, როგორც ჩანს, საკმარისი არ აღმოჩნდა კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პირობების უზრუნველყოფად. მაგალითისთვის შეიძლება მიუთქვიანოთ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „საკუთრების უფლება აღიარებულია და გარანტირებულია კონსტიტუციითა და კანონებით, მაგრამ ხშირად, ის მეტად არ არის დაცული, საანგარიშო პერიოდში ძალიან ხშირად დაფიქსირდა კერძო საკუთრებაში არსებული უზრუნველყოფის განადგურების ფაქტები, რაც, ძირითადად, გამოიხატებოდა უკანონო დემონტაჟით. დემონტაჟის წესი უმრავლეს შემთხვევაში დარღვეული იყო, ანუ უზრუნველყოფის განადგურება ყოველგვარი ადმინისტრაციული წინაპირობების გარეშე“.

საკუთრების უფლების რეალურად დაცვის პრობლემაზე ხშირად მიუთითებენ სხვადასხვა კლასურტებიც და მოვლი საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ საკუთრების უფლების მყარი დაცვის მექანიზმების გარეშე შეუძლებელია თავისუფალი ბაზრის განვითარება, შესაბამისად, ეფექტიანი დასაქმების და თვითდასაქმების მიღწევა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისუფალი შრომის ბაზრის ფორმირების პრობლემა. კვლევების მიხედვით შრომის ბაზრის ფუნქციონირებას ბიზნესმენები არაღამაკმაყოფილებლად აფასებენ. მათ მნიშვნელოვან ნაწილს პრობლემები აქვთ სასურველი კადრების მოძიებაში. ეს ხდება მაშინ, როდესაც საქართველოში არსებობს ათუფლობით უმაღლესი და სხვა ტიპის სასწავლებლები,

რომელთა საქმიანობის დადებითი შედეგს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად მომზადებით და ბაზრისთვის მიწოდებით აქედან ღირებულად კეთდება დასკვნა: საქართველოში სათანადო დონეზე ვერ ხერხდება კონკურენტული კადრების მომზადება შრომის შიდა ბაზრისთვისაც კი. პარადოქსული ფაქტია, რომ ბაზარზე მოთხოვნა არსებობს და განსაკუთრებით კერძო უმაღლეს სასწავლებლებს არ შეუძლიათ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, რით უმეტეს, რომ მაიო ფინანსური მდგომარეობა და პრესტიჟი დამოკიდებულია ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილების უნარზე. ჩვენი აზრით, ამის უშუალოდ მიზეზია განათლების სისტემაში არასრულყოფილი კონკურენტცია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მონოპოლიური მდგომარეობის შედეგად უმაღლესი

სასწავლებლებისათვის სტუდენტთა რაოდენობის მკაცრი კონტროლა ხელს უშლის შრომის ბაზარზე მოთხოვნის ადეკვატური მიწოდების უზრუნველყოფას, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით. თუ უმაღლეს სასწავლებლებს შრომის არ იქნება კონკურენტციის უფრო მეტი ხარისხი, მაშინ შრომის ბაზარზე კიდევ უფრო მეტად გადრეკილება კადრების დეფიციტი უმუშევრობის მაღალი დონის პარალელურად.

თავისუფალი შრომის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ადეკვატური განათლების სისტემების გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის კანონმდებლობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია შევასებების მიუხედავად შრომის კოდექსმა ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში თავისუფალი შრომის ბაზრის ჩამოყალიბებას.

არსებულ შრომის კოდექსთან მიმართ ხშირად გამოთქვამენ კრიტიკას, იმასთან დაკავშირებით, რომ კოდექსის მიხედვით დამქირავებლებს დაქირავებულებზე უკმაყოფილებს მეტი შესაძლებლობები აქვს და ეს გამოიწვევს მომუშავეთა უფლებების დარღვევას. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შრომის კოდექსი არ არის იმის მიზეზი, რომ დასაქმებულებს შრომის ბაზარზე მეტი ძალაუფლება აქვთ და შეუძლიათ ზეგაგლენა მოახდინონ შრომის ბაზარზე შრომის ფასთან, სამუშაო ძალის დაქირავებასთან და შრომის პირობებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამას საქართველოს შრომის ბაზრის კონსტრუქტორა





განაპირობებს. უმუშევრობის მაღალი დონე და ხაშუშაო ადგილების დასაკავებლად მწვავე კონკურენცია საქართველოში დამპირაგებულს შრომის ბაზარზე მნიშვნელოვანი ხევაელენის შესაძლებლობას ძღვეს. არსებული შრომის კონტექსტი ამარტივებს შრომით ურთიერთობებს და შრომის სფეროს მკაცრი რეგლამენტაცია როგორც ეს ადრე მოქმედ შრომის კონტექსტში იყო, არაპირდაპირ ფორმით, სწორედ დაქირავებულთა ინტერესების საწინააღმდეგოდ არის მიმართული. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ხაშუშაო დროის ხანგრძლივობა. თუ დამპირაგებულს კანონმდებლობით დაუწესდება რამდენი საათი შეუძლია ამუშაოს დაქირავებულს ან გარანტირებული მუშაობისთვის დაუწესებთ გარკვეულ ვალდებულებებს, აღნიშნული ნაბიჯით მომუშაოების ინტერესების დაცვა კი არ ხდება, არამედ მომუშავეს ვართმევთ უფლებას თავისი სურვილით დამპირაგებულთან შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტოს რამდენი და რა პირობებით უნდა იმუშაოს. ამ თვალსაზრისით არსებულ შრომის კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი და დადებითი ფაქტორია, რომ დამპირაგებულსა და დაქირავებულის შრომითი ურთიერთობები შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ხდება, სადაც ხარვეზები თვითონ გამოდის საკუთარი ინტერესების დასაცავად და ხელშეკრულებით განსაზღვრავენ ერთმანეთის მიმართ ვალდებულებებს, პასუხისმგებლობას, შრომის ანაზღაურებას და სხვა აუცილებელ პირობებს.

შრომის კანონმდებლობის ვარდა მნიშვნელოვანი ცვლილებებია გახატარებული საქონელი დაზღვევის სფეროში. ბოლო წლებში პენსიის ოდენობის არც თუ ისე უმნიშვნელო ზრდა არავითარ შემთხვევაში არ არის პრობლემის გადაწყვეტის რეალური გზა, პირიქით მოქმედი საპენსიო სისტემით ფერხდება ეკონომიკური განვითარება და, შესაბამისად, ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფა. თუ არ განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარე პერიოდში, მაშინ არავითარი საფუძველი არ არსებობს ეფიქტროთ, რომ 15-20 წლის შემდეგ ხანდაზმული ასაკის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა უკეთესი იქნება ვიდრე დღეს არის. უნდა შემუშავდეს ახალი საპენსიო კანონმდებლობა, რომელიც იქნება საფუძველი ინდივიდუალური კაპიტალიზაციის (დაგროვილი ფონდების) საპენსიო სისტემის დახანგრად. ამ სისტემის

ფარგლებში ყოველი ინდივიდი თვითონ ირჩევს რომელიმე საპენსიო ფონდის მმართველ კომპანიას, სადაც გადარიცხავს თავის სადაზღვევო შენატანს და თავისუფლად შეუძლია გადავიდეს ერთი კომპანიიდან მეორეში. თაბათაო სოლიდარობის სისტემის დროს პასუხისმგებლობა მთლიანად ადებული აქვს სახელმწიფოს, ხოლო ახალ სისტემაში კერძო კომპანიებს, რომლებიც იმყოფებიან გარკვეული სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. ახეთ საპენსიო სისტემაში პენსიის ხიდედ დამოკიდებულია დაზღვეული პიროვნების პირად ანგარიშზე დაგროვილ თანხაზე, ამიტომ მას უნდა იქნება დაგროვილი თანხის გადიდების სტიმული. მომავალში პენსიის ოდენობაზე ზრუნვა დაზღვეულს სტიმულს აძლევს სისტემატურად აკონტროლოს მისი შენატანების რენტაბელობა და მუდმივად მიიღოს ინფორმაცია სადაზღვევო დაწესებულების მიერ მისი კუთვნილი თანხების განკარგვის შესახებ. ის ფაქტორი, რომ დაზღვეულს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს სადაზღვევო დაწესებულება, წარმოადგენს საპენსიო სისტემის ეფექტიანი მუშაობის მასტიმულირებელ მთავარ ელემენტს. თავის მხრივ, სხვადასხვა დაწესებულებებს შორის კონკურენცია, რომლებიც ცდილობენ მაქსიმალურად დიდი რაოდენობით კლიენტების მოზიდვას, ამოულებო მათ მუდმივად ემებონ დანახარჯების შემცირების გზები, რაც შესაძლებელს ხდის შემცირდეს კლიენტთა სადაზღვევო შენატანები. პირად ანგარიშზე დაგროვილი

შენატანებზე დაფუძნებული საპენსიო სისტემა გულისხმობს დაგროვებას დანახარჯების სახით, რასაც თან ახლავს ინვესტიციების განხორციელება, ამას აუცილებლად მიყვარათ დაგროვილი კაპიტალის გადიდებამდე ეკონომიკაში. დაგროვილი კაპიტალის გადიდება კი იწვევს წარმოების მოცულობის და დასაქმების დონის ზრდას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტიანი დასაქმების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საპენსიო სისტემის საფუძველიანი რეფორმა.

ეფექტიანია დასაქმების უზრუნველყოფის პრობლემა კერძო სექტორის განვითარების ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით უნდა გადაწყდეს. ამიტომ სახელმწიფოს როლი არ არის დასაქმების ხელშეწყობის მიხნით ხელაწინურად ხაშუშაო ადგილების შექმნა და ამით პრობლემის დროებითი შესაბამეობა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს

ბიზნესის განვითარების პირობები და ამ გზით უმთავრესად თვითონ საზოგადოებას მისცეს შესაძლებლობა გადაწყვიტოს ეფექტიანი

თავისუფალი



საქართველოს იურიდიული საზოგადოება

დასაქმების პრობლემა. პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფოს ჩარევის იდენი მომხრეებს, უპირველეს არგუმენტად მოჰყავთ შევადეთის გამოცდილება. მაგრამ არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ შეუდური მოვდელის პრაქტიკაში განხორციელება დაიწყო 20-იან წლებში, როდესაც იქ უკვე საკმაოდ იყო განმტკიცებული კაპიტალიზმი და ამის საფუძველზე მოიმაგრა ფენი შემდგომ “შეუდურმა მოვდელმა”. როგორც ცნობილი შეუდი ეკონომისტი პეტერ სტეინი აღნიშნავს, ჯერ იყო შედური ეკონომიკის წარმატებები, ხოლო შემდეგ “შეუდური მოვდელი”. მიუხედავად ასეთი ხელსაყრელი პირობებისა, ეს მოვდელი

ბოლო წლებში პრაქტიკულად გაკორტდა და ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარებაში შექმნილმა პრობლემებმა უკვე ბევრი აღაშინი ალაპარაკა “შეუდური მოვდელის” გადახედვის თაობაზე.

განვითარებული ქვეყნების სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტია შრომის ბაზარზე აქტიური და პასიური პოლიტიკა. უმრავლეს ქვეყანაში შრომის ბაზარზე აქტიური პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდება შრომის ბაზრის რეგულირების შემდეგი ღონისძიებები: დახმარება შრომით მიწოდებაში, პროფესიული მომზადება და გადაზიდვება, საზოგადოებრივი სამუშაოთა ორგანიზაცია, თვითდასაქმების და სამუშაოთა ინიციატივის წახალისება.

შრომის ბაზრის რეგულირების პასიურ პროგრამებში იგულისხმება: სამუშაოს მამიებელთა რეგისტრაცია, უმუშევრობისგან დახვედვის პროგრამების განხორციელება, უმუშევრობის შემწეობის თანხის დადგენა, უმუშევრების და მათი ოჯახის წევრებისთვის არაფულადი დახმარების ფორმების შემუშავება და განხორციელება.

მსოფლიოს ყველა ქვეყანა შრომის ბაზრის რეგულირების ორივე მიმართულებას იყენებს, მაგრამ განსხვავებული მასშტაბით. სოციალური დაცვის ლიბერალურ მოდელზე ორიენტირებული ქვეყნები აქტიურ პოლიტიკას ანიჭებენ უპირატესობას სამუშაოთა ინიციატივის მხარდაჭერას, ხოლო სოლიდარობის პრინციპზე აგებული სოციალური დაცვის სისტემის მქონე ქვეყნებში მნიშვნელოვანი ადგილი პასიურ პოლიტიკას უკავია.

თავისთავად სანინტერესოა მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოყენებული მიმართულება შეიძლება გამოგვაღვეს საქართველოში დასაქმების პრობლემის გადაწყვეტის და შრომის ბაზრის კონსტრუქციის გაუმჯობესების მიზნით. შეიძლება ვივიქროთ, რომ შრომის ბაზრის რეგულირების აქტიური და პასიური მეოოდების გამოყენება კარგად აპრობირებულია შესაბამისი

კონკრეტული მქანაზმებით, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი რომ ასეთ რეგულირებას შედეგები მოაქვს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სადაც უმუშევრობის დონე ჩვენთან შედარებით გაცილებით დაბალია და სოციალურ სფეროზე რესურსების გამოყოფის გაცილებით მეტი შესაძლებლობები გააჩნიათ. პასიური პოლიტიკა ეფექტიანია მაშინ როდესაც იგი მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილისთვის არის განკუთვნილი, მაგრამ მასიური უმუშევრობის პირობებში პასიური პოლიტიკა არანაირი შედეგის მომცემი არ იქნება. აქტიური პოლიტიკის რეალიზაცია, განსაკუთრებით სამუშაოთა

აქტივობის სტიმულირების მიმართულებით, აუცილებელია ნებისმიერ ეკონომიკურ პირობებში, თუმცა აღნიშნულია განხორციელება საქართველოს შემთხვევაში უნდა მოიცავს არა მხოლოდ შრომის ბაზრის რეგულირების სფერო, არამედ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი მიმართულება უნდა გახდეს;

საქართველოში შექმნილი რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც მოსახლეობის უმუშევრობის მაღალ დონეში და არაეფექტიანი დასაქმების დიდ მასშტაბებში აისახება, გრძელვადიან პერიოდში შეიძლება დაეკლიოთ უპირველესად მაქსიმალური ეკონომიკური თავისუფლების მიღწევის შემთხვევაში. სხვადასხვა საერთაშორისო რეიტინგების მიხედვით საქართველომ

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ თვალსაზრისით, მაგრამ არსებობს ბევრი დეკლარირებული პრინციპი, რომლებიც პრაქტიკაში რეალურად არ ხორციელდება;

1. ბალცეროვიჩი ღ.,თავისუფლება და ეკონომიკა,თავისუფალი ბაზრის ეკონომიკა,თბ.,2004.
2. შუბლაძე გ., ტურიზმის დანქარებული განვითარება – სირარიბის დაძლევის ფაქტორი საქართველოში, თბ., 2006.
3. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, ევარტადური ბიულეტენი, თბ., 2008, I კვარტალი.
4. www.economists.ge
5. www.cie.ge
6. www.banksandfinance.ge

**NECESSARY CONDITIONS FOR EFFECTIVE EMPLOYMENT**

**MANANAMCHEDLISHVILI**

**Associated Professor at Georgian State Agrarian University**

Official statistics show that in last period level of unemployment has not been decreased, just in contrary – it has been increased in 30-35% which is caused by incorrect economical politics.

Developing countries in the world have many methods which helped them to solve problem of unemployment. But it is very difficult to choose right method for our country from all those of existing which will be fully suitable to it, because we should take into view that all those methods are suitable to that concrete country. Level of unemployment is far more high in Georgia and maybe other countries' experience will not be so effective as there are different balance between level of unemployment and number of population. That is why Georgia should work out such politics which will match to our economical conditions, of course taking into view foreign experience too.

In Georgia there is difficult social economical situation which is reflected on level of unemployment. Foreign ratings show that Georgia has some progress in solving unemployment problem but still it remains one of the main problems in our country as it should be depended not only on regulation of labor market but should become the most important direction in economical politics.

საბალი კონომიკისტი



ლია პიტუხინაშვილი  
ეკონომიკის მეცნიერებათა  
კანდიდატი



ოა კობახიაშვილი  
მეცნიერ-თანამშრომელი

საქართველოს ეროვნული მუდრეობის განვითარებისათვის უმთავრესი პრობლემა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. მათი ერთნაირი მუდრეობის სფეროებში გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის კომპლექსურ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. საქართველო, ისევე როგორც განვითარებადი ქვეყნები, მწვავედ განიცდიან უცხოური ინვესტიციების სიმცირეს. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დინამიკა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაახლოებით 2002 წლამდე არცთუ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდამდე შეინარჩუნებდა ტენდენციას. კერძოდ, 1995 წ. - 33,25 მლნ. აშშ. დოლარი, 1996 წ. - 68,46 მლნ. აშშ. დოლარი, 1997 წ. - 138,6 მლნ. აშშ. დოლარი, 1998 წ. - 288,04 მლნ. აშშ. დოლარი, 1999 წ. - 83,65 მლნ. აშშ. დოლარი, ხოლო 2000 წ. - ხელ 60,14 მლნ. აშშ. დოლარი.

2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 133,8 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, რაც 1,5-ჯერ მეტია 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უცხოურმა ინვესტიციებმა გარკვეულწილად იმატა, „ღომის წილი“ მაინც ორ ძალზე სერიოზულ ინვესტიციაზე, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანსა“ და სამხრეთ კავკასიის გაზსადენზე მოდის, რომელთაც ეკონომიკურზე უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათი აქვთ.

რთული საგარეო ეკონომიკური ფონის პირობებში განვითარებულმა საგადაზღველო და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ერთნაირი ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და

ინფლაციური მოვლენების გაძლიერებამ მძიმე დარტყმა მიიყენა ქვეყნის მუდრეობის აღორძინების პროცესს, მეტად დაძაბა ზოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია სახელმწიფოში. ასეთ პირობებში პოლიტიკური, საეკონომიკური და საფინანსო რისკის ზრდას, ცხადია, თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და როგორც ამის ლოგიკური შედეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. მდგომარეობა არც 2002 წელს არ გაუმჯობესებულა ამ წელს, საბაზრო ურთიერთობების პირობების გათვალისწინებით, ინვესტიციები საერთო დანახარჯებში იყო ყველაზე ცვალებადი კომპონენტი, რომლის გააქტიურებაც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეროვნული ვალუტის ინფლაცია, ქვეყანაში არსებული განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ჩამოუყალიბებელი და ცივილიზებული ქვეყნისათვის არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, ძალზე მოუწყვრთვებელი საგადასახადო სისტემა და ფრიალ მიღები გადასახადები, მოსახლეობის უაღრესად დაბალი შემოსავლიანობა, ზედა და საშუალო რგოლის მენეჯერების არასაკმარისი პროფესიონალიზმი და სხვა ხელისშემშლელი პირობების ხშირელება.

ექსპერტები საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად სახელდებდნენ ტურიზმს, ტრანსპორტს, კვების მრეწველობასა და კომუნიკაციებს. თუმცა, ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება—საერთო მოცულობის 1,23% ასევე საკმაოდ მცირე კაპიტალდაბანდებები იყო ტრანსპორტში - 1,86%. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება

ახალი პერიოდი



საქართველო  
საქართველოს  
საგარეო  
საინფორმაციო  
სამსახური

შეიძლება, რომ პურსაგეტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას, რაც პირველყოფისა, უნდა გამოვლინდეს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით. სახელმწიფოს როლი საინვესტიციო გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, ის იცავს უფლებებს საკუთრებაზე, ახორციელებს სამართლებრივ რეგულირებას და ბიზნეს დაბეგერას, ქმნის ფინანსური ბაზრისა და შრომის ბაზრის უზრუნველყოფის პირობებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას. სახელმწიფოს როლი ასევე მნიშვნელოვანია ისეთი სერვის პრობლემების გადაწყვეტისას, როგორცაა კორუფცია, დანაშაულობა, პოლიტიკური არასტაბილურობა. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანა.

2006 წელს საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების მიხედვით, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთი, რომლის წილიც ქვეყანაში დაბანდებულ მთელ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენდა 17,7%. ამ მხრივ მეორე ადგილი დაიკავა აშშ-მ, რომლის წილიადაც მოდიოდა უცხოური ინვესტიციების 16%-ზე მეტი, მესამე ადგილზე იყო რუსეთი - 15,5%-ით და ა.შ. თუმცა ბოლო სამი წლის შემთხვევებითი შედარების მიხედვით დიდებოდა აშშ - 259612 მლნ. აშშ. დოლარით, მეორე ადგილზე იყო დიდი ბრიტანეთი - 145413 მლნ. აშშ. დოლარით, ხოლო მესამეზე - რუსეთი 106875 მლნ. აშშ. დოლარით. ასევე უნდა ითქვას რომ, აშშ-ს ასეთი დიდი კაპიტალდაბანდება არ გაუფიდა არც ერთი ქვეყნისათვის, გარდა ისრაელისა.

2005 და 2006 წლებში უცხოური ინვესტიციების გარკვეულ ზრდას ჰქონდა ადგილი, კერძოდ 2005 წელს წინა წელთან შედარებით უცხოურ ინვესტიციათა მოცულობები გაიზარდა 2-ჯერ და მეტად, ხოლო 2006 წელს 2005 წელთან შედარებით მისი ზრდა შეადგენდა 46,7%-ს, რაც შეუხება 2006 წელს 2004 წელთან შედარებით, იგი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

აგვისტოს ომში და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა გააუარესა ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოღინება. შედეგად, მართალია 2009 წელს ქვეყანაში დაიგეგმა 1,7 მლრდ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია (რაც გაცილებით ნაკლებია 2007 წლის ფაქტურად დაბანდებულ ინვესტიციებზე - 2,1 მლრდ დოლარი). ამ წელს ინვესტიციები შეადგენდა შშპ-ს 17%-ზე მეტს). მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელიც არ შესრულდება

და მთავრობამ შესაძლო ინვესტიციები 1,7 მლრდ-მდე გაითვალისწინა.

ასევე აღსანიშნავია, რომ მსგავს სიტუაციებში ჰქონდა ადგილი 2008 წელსაც, როდესაც მთავრობის მიერ დაგეგმილი იყო 2 მლრდ-მდე უცხოური ინვესტიცია, მაგრამ, ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო იგი მოღაირდნახეგრამდე დაეცა ანუ თითქმის 25%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით.

2009 წლის I კვარტალში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 124,7 მლნ დოლარი, ნაცვლად 537,6 მლნ-სა 2008 წელს, ანუ შემცირებულია 4-ჯერ და მეტად.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლის შემადგერხებულ გარემოებად პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა და ასევე კანონების სწორი ცვლილებებია. გარდა ამისა, შეიძლება დასახელდეს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც უცხოელი თავს შეიკავებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებისგან. ასეთებს მიეკუთვნება მაგალითად, საგარეო ვალის სწრაფი ზრდა, ეროვნული ვალუტის კურსის მეტრობა და ა.შ. ასევე შეიძლება დასახელდეს თანამედროვე მთხოვნების შესაბამისად მომზადებული კადრების სიმცირე და სხვა.

ინვესტიციების მოზიდვის დამატებით ღონისძიებად შეიძლება გამოდგეს ასევე ქვეყანაში თავისუფალი ზონების შექმნა.

ცხადია, ეს გარემოება, რომ ბიზნესის წამოწყების საიდგლის მიხედვით საერთაშორისო საეკონომიკო ფონდისა (სსფ) და მსოფლიო ბანკის (მბ) მიერ ნატარებული რეიტინგების მიხედვით საქართველომ დაიკავა 11 ადგილი, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ჩვენს ქვეყანას, როგორც უცხოელი კაპიტალისტებისათვის, ისე ადგილობრივი მეწარმეებისათვის.

მაგალითად, თუ 2005 წელს ქვეყანაში ბიზნესის წამოსაწყებად (ანუ მის დასარეგისტრირებლად) საჭირო იყო საშუალოდ 21 დღე და ამისათვის აუცილებელი საბუთების გასაფორმებლად ადამიანს უნდა დაეხარჯა საშუალოდ წლიური შემოსავლის 47%, ამჟამად საჭიროა 3 დღე, ხოლო ამისათვის აუცილებელი ხარჯი შეადგენს საშუალო წლიური შემოსავლის 3,7%-ს. ექსპორტის განსახორციელებლად საჭიროა 10 დღე, ნაცვლად ადრინდელი 44 დღისა, ხოლო იმპორტისათვის 13 დღე, ნაცვლად უწინდელი 39 დღისა.

საქართველოს სტრატეგიული მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობა პოლიტიკური სტაბილურობის შემთხვევაში იძლევა იმის



ახალი პერიოდიზაცია

საშუალებას, რომ აქ დიდი მოცულობის უცხოური ინვესტიციები იყოს მოხდელი. გარკვეული მასშტაბით ეს ხორციელდება კიდევ. მაგალითად, ბოლო წლებში მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობაში 1 მლრდ დოლარზე მეტი ჩაიდო.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მთლიანი სიგრძე 1768 კმ შეადგენს, საიდანაც 249 კმ ანუ 14%-ზე მეტი საქართველოზე მოდის. ამ გაზსადენის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა და მისი მშენებლობის მთლიანმა ღირებულებამ 3,9 მლრდ შეადგინა. მიღსადენი ეკუთვნის: „ბრიტიშ პეტროლიუმს“ (30,1%), „აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანისა“ (25%), „შვედონს“ (8,9%), „სტატოილდიროს“ (8,71%), „თურქეთის პეტროლიუმ ანონიმ ორტაკდისკ“ (6,53%), „ენი-აგოვს“ (5%), „ტოტალოს“ (5%), „იტროუს“ (3,4%), „იმპექსს“ (2,5%), „კონოკოფილიპს“ (2,5%) და „აქესკორპორაციას“ (2,26%).

მეორე სტრატეგიული ენერჯო (გაზის) გამტარია ბაქო-თბილისი-ერზრუმი, რომელსაც მთორენაირად სამხრეთ კავკასიის მიზსადენს უწოდებენ. ამ გაზსადენის საერთო სიგრძეა 692 კმ, საიდანაც 248 კმ საქართველოზე გადის. ამ გაზსადენის აქციების 25,5% ეკუთვნის ბრიტიშ პეტროლიუმს და ამდენივე სტატოილდიროს.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს მნიშვნელობა, როგორც გაზის გამტარი ქვეყნისა, კიდევ უფრო გაიზარდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 2009 წლის 2 ოქტომბერს ბაქოში ყაზახეთის „ყაზმენი გაზის“ სახელმწიფო კომპანიასა და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (SOCAR) შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ყაზახეთი აზერბაიჯანს მიაწვდის გაზს, ნავთობს და ასევე, დაეხმარება ინფრასტრუქტურის მხენებლობაში. ცხადია, ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც კიდევ უფრო ეფექტური გახდება.

ბოლო ოთხ წელში წელიწადში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელდა გაერთიანებულმა სამეფომ - 626,1 მლნ; მას მისდევნენ შვეიცარიული შტატები და ნიდერლანდები - 493 მლნ და 437 მლნ დოლარი შესაბამისად.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდება ნაბუეოს (NABUECO) მწყობრში ჩადენამს შემდეგ. ამ პროექტის მშენებლობა დაიწყო 2010 წელს და დასრულდება 2015 წლისათვის. ექსპლუატაციაში შესვლის პირველსავე მიღსადენში გაივლის 8

მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, კრეის ქურთისტანიდან და აზერბაიჯანიდან. ახალი არაბეთის გაერთიანებულმა საამიროებმა კორპორაცია RAK ინვესტმენტმა ფოთის პორტის აქციების 51% შეიძინა. ესაა საქართველოს უდიდესი პორტი, რომელშიც მხოლოდ 2007 წელს გადარბა 7,7 მლნ ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი. იგივე კორპორაცია ფლობს ყაზმენი-ჯეიჰანის აქციებსაც, სადაც მან 80 მლნ-ზე მეტი დააბანდა.

ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე აქტიურად მოქმედებს ტელეასონერა (Teleasonera), რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავისი წილი ჯეოსნელში გაზარდა 83%-დან 98%-მდე. ეს შესედა განხორციელდა კონცერნი ფინტურის (Fintur) საშუალებით, რომლის აქციების 74% ტელეასონერა ფლობს.

ამ სფეროში 33 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადებული აქვს ერთ-ერთ ლიდერ რუსულ კომპანია ვიდეკლიკოს. იგი ფლობს ქართული მობიტელის (Mobitel) ნაწილს, რის საფასურადაც მან 2006 წელს გადაიხადა 12,6 მლნ დოლარი. დღემდე ვიდეკლიკოსს საქართველოში დაბანდებული აქვს 78 მლნ-ზე დოლარი და ემსახურება 60,0 აბონემენტამდე.

ქვეყნის საბანკო სფერო განსაკუთრებით მიშვიდველია უცხოური კაპიტალისათვის. ეს გასაგებია: უცხოელი ინვესტორები ჯერ-ჯერობით ფრთხილობენ კაპიტალის დაბანდებას ისეთ სექტორში, რომლებიც საბოლოო ფინანსურ შედეგს შედარებით ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ იძლევიან. 2004 წელს კომერციულ ბანკებში დაბანდებაზე უცხოური კაპიტალს მოივლს საბანკო კაპიტალში 30,4% ეკავა, ხოლო 2005 წელს - 47,4%.

2006 წელს ფრანგულმა ფინანსურმა ჯგუფმა Societe Generale-მ შეიძინა ხიდდით მესამე ქართული ბანკის, ბანკი რესპუბლიკას აქციების საინტროლო პაკეტი, ანუ ბანკის მთელი აქციების 60%. შედეგად ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 68 მლნ დოლარამდე, ხოლო მისმა აქტივების ღირებულებამ 416 მლნ დოლარი გადააჭარბა.

2007 წელს HSBC-მ შეიძინა ქართულ ბაზარზე საქმიანობის ლიცენზია. ამჟამად მისი აქტივების ღირებულება შეადგენს 32 მლნ დოლარს, ხოლო სააქციო კაპიტალი 11 მლნ დოლარს.

საქართველოს საფინანსო ბაზარზე შემოვიდა ასევე VTB, ერთ-ერთი უდიდესი ბანკი რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ). მან შეიძინა გაერთიანებული ქართული ბანკის აქციების 51%. ამჟამად ამ ბანკს უკავია მესამე ადგილი ქვეყანაში საბანკო აქტივების მაჩვენებლის მიხედვით, რომლის მოცულობაც შეადგენს 272 მლნ დოლარს, სხვა



ორ უდიდეს ბანკს დის-დან, Privatbank-სა და Kazakh BTA ბანკს შექმნილი აქვს საკონტროლო პაკეტი ქართულ ბანკში - ტაობრივბანკსა და BTA ბანკ საქართველოში. 2007 წელს ეროვნული ბანკიდან დივიდენდი აიღო და ქართულ საბანკო ბაზარზე შემოვიდა კიდევ ერთი ყაზახური ბანკი, ხალიბანკი.

საკონტროლო პაკეტი არა აქვს, მაგრამ ქართულ ბაზარზე საქმიანობენ შემდეგი ევროპული ბანკები - კომერცბანკი (Comeribank), KBW, ავსტრიის ბანკი (Bank Austria) და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს ბანკების საწვლადებო კაპიტალის 85%-ზე მეტი უკვე უცხოურ კაპიტალს წარმოადგენს.

საბანკო სექტორის გარდა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შემოსულა ასევე ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე, კერძოდ, Vienna Insurance Group-ს აქვს GPI ჰოლდინგის, ქვეყნის სიდიდით მესამე სადაზღვევო კომპანიის აქციების 50%, ხოლო 90% სადაზღვევო კომპანია ირაოში (თავისი სიდიდით მესამე სადაზღვევო კომპანიაში). ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობს ასევე ევროპული სადაზღვევო კომპანია AIG Europe.

ყაზახურმა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიამ შეიძინა გაზის გამანაწილებელი კომპანია - თბილგაზი. ეს უკანასკნელი დედაქალაქის მოსახლეობას ამარაგებს გაზით. ამ გერმოებაში ყაზახურმა კომპანიამ გადაიხდა 12,5 მლნ დოლარი და გეგმავს საქართველოში დაბანდოს 100 მლნ დოლარზე მეტი.

ასურბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია - SOCAR-მა, რომელიც ფლობს ყუღეის ტერმინალს შავ ზღვაზე, უკვე დააბანდა 380 მლნ დოლარზე მეტი ამ ტერმინალის რეკონსტრუქციაში. სოკარი გეგმავს ასევე 100 მლნ დოლარზე მეტს დაბანდვას ნავთობის საცავის მშენებლობაში და ასევე 15 გაზის გასამართი სადგურის მოწყობაში.

გერმანულმა კონცერმა პეიდელბერგკემენტმა შეიძინა ქართული ცემენტის აქციების 51%, რის შედეგადაც იგი გახდა პირველი გერმანული ცემენტის მწარმოებელი ქარხანა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში. ამავე კომპანიას აქვს ასევე აქციების 75% სხვა ქართული ცემენტის მწარმოებელი ქარხნისა - საქემენტის. კომპანიას საქართველოში უკვე დაბანდებული აქვს 150 მლნ ევროზე მეტი და გეგმავს უახლოეს პერიოდში კიდევ დააბანდოს 40 მლნ ევრომდე.

ფლდის მწარმოებელ EFES Breweries International-ს აქვს ფლდსაბარში ნატახტარის, ჩვენი ქვეყნის ამ ტიპის ყველაზე დიდი ქარხნის აქციების 100%.

შედეგად, EFES აკონტროლებს საქართველოს ფლდის ბაზრის 40%-ზე მეტს.

თურქეთის მინის მწარმოებელი კომპანია 1997 წლიდან ფლობს საქართველოს JSC მინის აქციების 81%-ს. განვიღო 12 წელიწადში ამ თურქულმა კომპანიამ საქართველოში დააბანდა 40 მლნ დოლარზე მეტი. 2007 წელს აღნიშნულმა ქარხანამ აწარმოა 223 მლნ ბოთლზე მეტი, რის შედეგადაც ამჟამად ფლობს ადგილობრივი მინის ბოთლის ბაზრის 60%-ზე მეტს.

იტალიის საკონდიტრო კონცერმა ფერერომ დასაბოლოო საქართველოში შეიძინა 1,235 ჰა მიწა, სადაც იგი თხილის მოშენებასა და წარმოებას აპირებს. კომპანიამ 2008 წელს ქვეყანაში დააბანდა 20 მლნ ევრო და ააშენა თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც შეუძლია წელიწადში 4000 ტ თხილის გადამამუშავება. ყოველივე ამის შედეგად საქართველო შეიძლება დაიკავოს თხილის მსოფლიო ბაზრის 10%, ნაცვლად ამჟამინდელი 5%-სა.

2006 წელს საქართველოს სამშენებლო ბაზარზე შემოვიდა რაკინი (Rakeen) - არაბთა გაერთიანებული ემირატების დეველოპერული კომპანია. მან განაცხადა თავისი ამბიციური გეგმების შესახებ - აეშენებინა მაღალი კლასის სავაჭრო ობიექტები, ბიზნეს-ცენტრები და საოფისე შენობები. უკვე განხორციელებულ პროექტებში მას დაბანდებული აქვს 170 მლნ დოლარი. ეს არის იმ თანხის ნაწილი, რომელიც დაბანდებულ ამ კომპანიას განზრახული აქვს საქართველოში უახლოეს ხუთ წელიწადში და რომელიც შეადგენს 1,5 - 2,0 მლნ დოლარს.

საქართველოში საქმიანობს ასევე GRDC, მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი მსხვილი დეველოპერული კომპანია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მსხვილი სამშენებლო კომპანიების განხორციელებას შუღდა. კერძოდ, მან თბილისის სარკინოგზო სადგურის რეკონსტრუქციაში ჩადო 105 მლნ დოლარი. ეს კომპანია აშენებს ასევე საოფისე, სავაჭრო ფართებს და ა.შ.

დასაფიქრებელია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყებს შემოსვლას ის თანხები, რომელიც საქართველოს ფინანსური მხარდაჭერის მიზნით უკვე გამოყვეს განვითარებულმა ქვეყნებმა (4,55 მლრდ დოლარი), უცხოური ინვესტორები კიდევ უფრო გააძეულან შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში და კიდევ უფრო გაიზარდება იმ სამეურნეო ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ბაზარზე იქმნება.

ანალოგიური



უცხოური ინვესტიციების სტიმულირების თეაღსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უცხოელ ინვესტორთათვის გარკვეული გარანტიების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ეს გარანტიები, როგორც წესი, ასახულია რევიპიენტი ქვეყნის ნორმატიულ აქტებში. უცხოელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიის სისტემის ცენტრალურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაცვა ქონების შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან. უცხოელ ინვესტორთათვის გარანტიების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მოგებისა და სხვა შემოსავლების სახელგარბრუთ შეუფერხებელი გადაგზავნა, თუმცა საგანგებო სიტუაციებში, როგორცაა საგადასხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ ღრობებით შესდუღონ უცხოელთა შემოსავლების გადაგზავნა დონორ ქვეყნებში. ამგვარი სიტუაცია რეკუღორდება

უცხოური ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. ეფიქრობთ, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა რომელიმე მასტიმულირებელ ფორმას, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი ხაინვესტიციო გარემოს ფორმირებას, რომელიც მრავალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორზე დამოკიდებულია. საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რამაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ქვეყნის შემოსავლის ზრდა, რისთვისაც საჭიროა ქვეყანამ ინვესტიციების სფეროში გონიერი და მოზომილი პოლიტიკა განახორციელოს. უცხოური ინვესტიციების გარეშე ქვეყანა ვერ მოახერხებს ეროვნული მუდრეობის დარგების სათანადო ტემპით განვითარებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ა. გრიშკაშვილი, საქართველო გლობალურ სამყაროში; თბ 2009
2. საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტის წელიწადული 2008 წ.
3. „Rocznik statystyczny 2008“, ვარ შავა, 2009წ.

FOREIGN INVESTMENTS IN GEORGIA

LIA PITURASHVILI  
Academic Doctor of Economy  
IA KOBASHVILI  
Scientific worker

In the article it is discussed problems connected with foreign investment attraction. This process in Georgia began in the middle of nineties of last century. Political and economical non-stability, frequent changes in law, financial crisis, grant fall of national currency, inflation have negative influence on investments.

Experts consider that today in Georgia the most perspective branches are tourism, transport, food industry and communications, although investments in tourism and transport are in small scales.

In last four years the greatest investment have been put by U.K the United States of America and Netherlands. After Georgia gets financial support from developed countries, foreign investments will be easily attracted. Number of industrial objects which occupy some place in investment market will also be increased.

The government should help foreign investment being attracted in Georgia.

სახალი კორნომისტი



სახსურსათო პრობლემის გადაჭრის გზები და სახსურსათო

უსაფრთხოება



ნანა თიგალაშვილი  
ეკონომიკის მეცნიერებათა  
აკადემიური დოქტორი

XXI საუკუნეს კაცობრიობა სახსურსათო პრობლემების სრულყოფილ გამწვავებით შეხვდა. თუ ჰგავდა დედამიწაზე მიმშლილობს დაახლოებით 850 ლხ კაცი, ექსპერტთა შეფასებით, უახლოეს ოცწლეულში მათი რაოდენობა ერთ მილიარდს გადაჭარბებს. რა რეალური საფუძველი არსებობს ასეთი პროგნოზისათვის? წინა პლანზე წამოიწია პრობლემების კომპლექსა, რომელსაც ადრე რეალური უზრუნველყოფა არ ექცეოდა. ის ფაქტი, რომ მიწის, წყლის, ტყის და ზოგიერთი სხვა ბუნებრივი რესურსების მოცულობა შეზღუდულია, ყველათვის ცნობილია, მაგრამ მათ უარყოფით შედეგზე, რაც უახლოეს წინაშეაშობსა მოხლოდნელი, ცოტა თუ ფიქრობდა.

იმ გარემოებებისა და ფაქტორების შორის, რომლებსაც შეუძლია ხაფრთხე შექმნას დედამიწის მსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საკითხს, აქსანიშნავია: სახსრები მიწების ფართობების გრუსტული შემცირების ტენდენცია; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობის ზრდის ტემპის შენელება; საძოვრული მეცხოველეობის ხს. შტაბების შემცირება საძოვრების პროდუქტიულობის დაცემის გამო; მსოფლიო ოკეანის რესურსების მდგომარეობის გაუარესება; მტკნარი წყლის დეფიციტი; ეკოლოგიური წონასწორობის შეშლილი რევევა და სხვა.

თანამედროვე მსოფლიოს რესურსების რეკონსტრუქციული გამწვავება ერთ-ერთი პირველიაგანია. მაგამად დედამიწაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საერთო ფართობი 1.5 მლრდ ჰექტარს შეადგენს, რაც მთელი ხმელეთის 10%-ია. გაკროს გათვლებით, მოსავალში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ფართობის გაზრდა 1.5 მლრდ ჰექტარამდე შესაძლებელია, რაც უნდა განხორციელდეს უდაბნოების, ნახევრად უდაბნოების, ჯაბების და სხვა გამოუყენებელი მიწების შეღებვით და კულტივირებით. ეს კი უსრამსარ დანახარჯებს მოითხოვს. მსოფლიოში ახდითანობით ძლიერდება მიწების ერთობა, რაც პირდაპირი დანაკარგია მიწის ფონდისა. არადა

პირდაპირი დანაკარგებისა გათვალისწინებულია მიწების ირთი დანაკარგებიც, რომელიც მიწების ხარისხობრივი მანქნებლების გაუარესებაში გამოიხატება. კროდ, ექსპერტული განგარიშებით, მცენარეებს ნიადაგიდან ყოველწლიურად ამოაქვთ დაახლოებით 100 მლრდ ტონა მინერალური და ორგანული ნუთიერება, ხოლო ადამიანის მიერ მას ხელმოყურად უბრუნდება მხოლოდ 1 მლრდ ტონამდე. გარდა ამისა, ყოველწლიურად ნახორეცხება სასოფლო L34 ტ ნიადაგი, რის გამოც ერთ დროს ნაყოფიერი მიწის ფართობი გამოუყენებელ მიწის კატეგორიაში გადადის.

ცნობილია, რომ საძოვრება და მდელოებს უკეთაო დედამიწის ტერიტორიის დაახლოებით 20% და ისინი უმეტეს წილად ვგავლიან რაიონებსა და მთის ქანობებსა განლაგებული. ეკოლოგიაში ამ საგარეულებს განსაკუთრებული როლი განეკუთვნება, რადგან ისინი იძლევა მსოფლიოში წარმოებული ხორცისა და რძის ძირითად მთელიობას მაგრამ ზოგიერთ ქვეყანაში საძოვრული მესაქონლობის გაფართოების შესაძლებლობა პრაქტიკულად ამოიწურა, რაც ორი ძირითადი მიზეზითაა გამოწვეული: 1) საძოვრების ფართობების გაფართოების შეუძლებლობა; 2) შედამუად მკაცრი ექსპლუატაციის შედეგად მათი პროდუქტიულობის შემცირება და ზოგიერთ შემთხვევაში მათი დეგრადაცია. შექმნილი მდგომარეობა მიგვანიშნებს, რომ საქონლისა და ცხერის ხორცის წარმოების ზრდა შესაძლებელია ძირითადად პირუტყვის სასუქ კომპლექსებსა და მოყვანებზე, მაგრამ ეს სფერო არ შეიძლება პერსპექტივაში საიმედოდ მიიჩნიოთ, ვინაიდან იგი მოითხოვს პირუტყვის საკვებად მარცვლეულის დიდ რაოდენობას, რომელთა წარმოებაც შეზღუდულია.

მომე სიტუაციაა შექმნილი ოკეანეების, ზღვების და მდინარეების რესურსებთან მიმართებაში. 1990-იანი წლების ბოლოს თანდათან ნახიყვდიბდა არსებობს და იგი მუდმივად მკირდება. ზოგიერთ ქვეყანაში ზღვის პროდუქტების ფაქტობრივად მოხმარება გადამაჭარბა სხვა სახის ხორცის მიხმარების დონეს და გასცა ეკოლოგიური

ახალი მკონიმიტი

ციდის მიღების ძირითადი წყარო. გავროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) დაადგინა, რომ მსოფლიოს 17 ძირითად თევზჭერის რეგიონში თევზის მოპოვება ხორციელდება დასაშვებ ნორმებზე მეტი რაოდენობით, ხოლო ზოგიერთი მათგანი სრული ამოწურვის ზღვარზე იმყოფება. ყოველივე ეს კი წარაადგენს 1990-იანი წლებიდან თევზჭერის სიმრავლეთა არაკონტროლირებადი ზრდის, აგრეთვე მაღალეფექტიანი ტექნოლოგიების დანერგვის პირდაპირ შედეგს.

დაშრობის პროცესმა, შესაძენი, კატეხითა და ნარჩენებით მდინარეებისა და ტბების დაბინძურებამ გამოიწვია წყალსატევების კვდობა.

რამდენჯერაა ამ სრულყოფილი?

საქართველოს, ისევე როგორც დედამიწის სხვა ტერიტორიულ ერთეულს, თავისი სასურსათო პოტენციალი გააჩნია. ექსპერტთა შეფასებით, იგი სრულიად ხაკმარისია 10-12 მილიონი ადამიანის გამოსაკვებად, მაგრამ მისი მიღწევა დამოკიდებულია ქვეყნის ბიოტეკნოლოგიურ პირობებზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35%, ანუ 1,1 მლნ ჰა საჭიროებს ერთობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას. მწყობრიდან გამოვიდა მინდორსაკვავი ზოლების ნარგავობა, ხარწყავი სისტემები. ქვეყანაში ადრე არსებული 470 ათასი ჰა სარწყავი ფართობიდან, ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ 250 ათასი ჰა-ს შორწყევა. მნიშვნელოვნად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავობა (ხეხილის ბაღები, ჩაის პლანტაციები, ყენახები და სხვა).

ცვლილებები განიცადა ნათესი ფართობების სტრუქტურაზეც. თანდათან გაიზარდა მარცვლოვანი და ზეთიანი (შხესუმირა) კულტურების ხვედრითი წილი, მაგრამ არ ხერხდება მათი მოსავლიანობის საშუალო დონეზე შენარჩუნება სარწყავი სისტემის უმოქმედობის, თესლბრუნვის უგულვებელყოფის, უხარისხო თესლის და სხვა მიზეზების გამო.

სასურსათო პრობლემების გადაწყვეტაში დიდი მნიშვნელობა აქვს დამუშავებაში მყოფი მიწების შენარჩუნებას და მათი ფართობების შემდგომ გადიდებას. ამ მხრივაც ქვეყანაში არახასურველი ტენდენციაა. გამკაცრებელია ღონისძიებები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ამოღებისადმი, ეს სასოფლო-სამეურნეო მიწების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებისთვის. ეს პროცესი სრულიად დაუშვებელია მიწით ისეთი მკირველზრუნველყოფილი ქვეყნისთვისაც, როგორც საქართველოა.

როგორც ცნობილია, საძოვრული მეცხოველეობის არსებობა, მისი განვითარების

მანქნებლები, პირუტყვის რაოდენობა, სტრუქტურა და პროდუქტიულობა ძირითადად ბუნებრივ საკვებ სავარგულების გამოყენებაზეა დამოკიდებული. საქართველოში სათიბ-საძოვრების მთლიანი ფართობის 2/3 განდაღებულია ზღვის დონიდან ისეთ სიმაღლეზე და დაქანების ფერდობებზე, რომ ძნელად გამოსაყენებელია პირუტყვის ნებისმიერი სახეობისთვის, მ.შ. ცხვრისათვისაც კი. სძოვრების საკმაოდ დიდი ნაწილი, არასწორი ექსპლუატაციის და უწყურადღებობის გამო, დეგრადირებულია და მათ აღდგენა სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

მინიმალურადაც არ არის გამოყენებული შიდა წყალსაცავებში (მ.შ. სატბორე) მეთევზეობის განვითარების შესაძლებლობანი. 70-იან წლებში საქართველოში მათ 50 ათასი ჰა ფართობი ეკავა. ეს ის რაოდენობაა, რომელიც, დამაკმაყოფილებელი ექსპლუატაციის პირობებში, თავისუფლად უზრუნველყოფს 60-75 ათასი ტონა ახალი თევზის მრეწველობის განვითარებაში. ეს შეტად განსათვლილი წინდებელი ფაქტორია სასურსათო პოლიტიკის შემუშავებისას.

თანამედროვე მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება წყლის რესურსების ოპტიმალური მართვა. ერთის მხრივ, არსებობს დაჯობებული ტერიტორიები, რომლებიც საჭიროებენ ზედმეტი წყლის მოცილებას, ხოლო მეორე მხრივ, დედამიწის უდიდესი ნაწილი წყლის მწვევე დეფიციტს განიცდის. მათ გადასაჭრელად მეცნიერები სხვადასხვა საკითხებს ამუშავებენ და უახლოეს მომავალში, ალბათ, ეს საკითხიც მოგვარებად იქნება, მაგრამ უდიდესი ფინანსური დანახარჯების სარჯზე.

მტკნარი წყლის რესურსების დეფიციტის პრობლემა მუდმივად იდგა მსოფლიოს მეცხოველეობაშიც. ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს აღნიშნული საკითხი იმდენად გამწვავდა, რომ საექსპოზიციო წყლით, როგორც სასურსათო პროდუქტით, კაცობრიობის სრული უზრუნველყოფის შესაძლებლობაც კი. საქართველო ამ მხრივ უდიდესი ქვეყანაა, ამიტომ მტკნარი წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და სწორი მენეჯმენტის შემუშავების შემთხვევაში, იგი უკმაყოფილო შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროდ უნდა იქცეს. ამჟამად საქართველოში არსებობს რამდენიმე საწარმო თუ ფირმა, რომელიც ამ საქმეს აკეთებს, მაგრამ ეს საკმარისი არაა, საჭიროა უდიდესი მინერალური და მტკნარი წყლების დანაკარგების აღკვეთა და მისი ექსპორტი, მსოფლიო ხომ ასე

სტალი აკოპოშვილი



საქიროებებს სასმელი და მინერალური წყლის მიწოდებას. ეს ბაზარი ჩვენი წყლების არსებობს, საქიროა მისი რაციონალურად ათვისება.

ბოლო ფაქტორი, რომელიც სასურსათო უშიშროების და მ.შ. ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემას უკავშირდება, ეს ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებაა. იგი უარყოფითად მოქმედებს სასურსათო ვითარებაზე, რადგან ეკოლოგიურად დარღვეული გარემო პირობები ართულებს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და იწვევს სურსათის ხარისხის გაუარესებას. ამდენად სასურსათო პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია მსოფლიო მეურნეობაში სურსათის წარმოების ზრდის შემზღვევადი ეკოლოგიური პროცესი, რის გამოც მოუღებელი ხდება განვითარების ის მოდელი, რომელიც არაგანახლებადი რესურსების ინტენსიურ გამოყენებას ეფუძნება. მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და არაგანახლებადი რესურსების თანდათან ამოწურვის მიუხედავად, ამტკიცებულია, რომ სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის შეუქმნა გადაწყვეტიტოს მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა გარემოს დაცვა და საერთოდ, კაცობრიობის მატერიალური და სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესება.

საქართველოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უშიშრელოვანეისი სოცისლურ-ეკონომიკური ამოცანაა. იგი სასურსათო კეთილდღეობის ამაღლებასა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი პირობაა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში ძირეული ეკონომიკური გარდაქმნები დაიწყო, რომლის ძირითად მიზანს შეადგენს საკუთრების ტრანსფორმაციის სამართლებრივი საწყისების განმტკიცება და ამის საფუძველზე პრივატიზაციის პროცესის დაწყება. რესორმების პირველ ეტაპზე ადგილი ჰქონდა კერძო მესაკუთრული წარმოების არასწორი ორგანიზაციული ფორმით წარმართვას, რის შედეგადაც მკვეთრად გაუარესდა საქართველოს ბატონსასურსათო სექტორისა და სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობა, წარმოების სტრუქტურა და ღირებულება, შემცირდა სურსათის წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, რასაც მოჰყვა სასურსათო ბაზრის 90%-ზე მეტი იმპორტული კვების პროდუქტის დამკვიდრება. საკუთარი სასურსათო ბაზრის ასეთი დამოკიდებულება იმპორტზე ქვეყნისათვის უკონტროლო ბუნებრივ-კლიმატური პირობები გააძლიერებდა მდგომარეობის პროდუქტების საწარმოებლად, ეკონომიკური უკანსვლის და დეგრადაციის მიზეზად აღიქვამება. იღია ჭაჭუბაძე აღნიშნავდა: ეკონომიკური გაძლიერებისათვის ჩვენ სოფელს ბუნებისაგან თითქმის არა აკლიარა, ზომიერი

ნელიბილი ჰავა, ნაყოფიერი და თითქმის ყველაფრის უხვად მოძემი მიწა, მომსაწებებელი არიან იმდენად სიმდიდრისა, რამოდენაც საქიროა, რომ ვერა უმტკიუნელოდ თავი ირჩინოს და ყოველ სფეროში ღონიერად გაიწე-გამოწიოს წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის" ყოველდღე ამის ფონზე საქართველოს სოფლის მეურნეობა ამჟამადაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია.

საქართველოს აგრარულ სექტორში განხორციელების ძირითად მიზანს ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოკიდებულების განმტკიცება წარმოადგენს, რაც გულისხმობს მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა, მრავალფეროვანი სასურსათო პროდუქტებით მაქსიმალურ უზრუნველყოფას, რეფორმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება სექსპორტო შემოსავლების ზრდა, დღეისათვის საქართველოში ჯერაც არ დასრულებულა სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია, პრობლემა მდგომარეობს იჯარით ვაკეზებული მიწების კერძო მფლობელობაში გადაცემაში, რისი საკანონმდებლო ბაზაც მღებულა მატრამ სოფლად ეს პროცესები ძალიან ნელი ტემით მიმდინარეობს, სხვადასხვა ადმინისტრაციული თუ ბიუროკრატიული ბარიერების "ხელშეწყობით". მიწის მოთავსარეები და მიწის შესაკუთრები ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ თავს ამ მიწის ბატონ-პატრონებად და მათი ინტერესი ამ მიწისადმი რამდენადმე შესუსტებულია. სოფლის მეურნეობის აღორძინებას ხელს უშლის კიდევ ის ფაქტორი, რომ სოფლად ფულადი შემოსავლები ძალიან დაბალია, ამის უკუპროპორციულად კი საწვავის, სათესლე მასალის, საკვების და ქვეშაგების, სათადარიგო ავადილობის ფასი კ ძალიან მაღალია. დაუცველია ავადილობრივი ბაზარი უცხოური პროდუქტისაგან, რის შედეგადაც ავადილობრივი პროდუქცია ან არ იყიდება, ან ძალიან დაბალ ფასებში ხდება მათი რეალიზაცია. ფულად გამოსახულებაში სამშულო წარმოების ძირითადი სასურსათო პროდუქტების ღირებულება 2005 წელს 2 მილიარდ ლარამდე იყო, მისი ხვედრითი წილი მოსახლეობის მიერ მოხმარებულ სურსათის მოცულობაში 70%-ს შეადგენდა. რაც შეეხება სამშულო წარმოების სასურსათო პროდუქტის ხვედრითი წილს, მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულ საკვები პროდუქტების მოთხოვნაში ფულად გამოსახულებაში მხოლოდ 41%-მდეა.

ამდენ გამოდინარე, ქვეყნის აგროსასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ

საქართველო



# მიწინაშე

რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა სურსათზე მოსახლეობის მოთხოვნილებას.

სასურსათო უშიშროების არსი – ეკონომიკური ზრდისა და ცხოვრების ხარისხის იმ დონით უზრუნველყოფაა, რომელიც საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების, საკმარისი სახელმწიფო რეზერვების, აქტიური სავაჭრო და სავადასახადო ბალანსის ფლობის საშუალებას იძლევა. თუ არ იქნება უზრუნველყოფილი სასურსათო უშიშროება, შეუძლებელია ქვეყნის შიდა ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესების დაცვა. ერთეული სასურსათო უშიშროება გამოიმდინარეობს სახელმწიფოს მოვალეობისაგან და არის ქვეყნის მიზანმიმართული ღონისძიებების სისტემა, რომელიც მუდმივად უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის ინდივიდუალური სასურსათო უზრუნველყოფის მიღწევას და დაცვას, უპირატესად სამაშულო აგრარსასურსათო სექტორის ფუნქციონირების ხარჯზე.

## სასურსათო უშიშროების

“თვითუზრუნველყოფა” გულისხმობს ქვეყნის მოსახლეობის სურსათზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას რაც შეიძლება მაღალი დონის მიღწევას ადგილობრივი წარმოების ხარჯზე ამ შემთხვევაში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამაშულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკმარისია სასურსათო უშიშროების შესანარჩუნებლად. ცალკეული ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება დარღვევად ითვლება, თუ იქ მოხმარებული მთელი სურსათის 10-20%-ზე მეტი იმპორტულია.

ქვეყნის სურსათით “თვითუზრუნველყოფაზე” მსჯელობისას მსჯელობაშია მიხალები მთელი რიგი ფაქტორებისა, რომლებიც დიდად განაპირობებენ პრობლემის ხასიათს და მისი გადაწყვეტის ძირითად მიმართულებას. სწორედ ფაქტორთა მრავალფეროვნებაა და მათი ურთიერთშედეგა განაპირობებს თითოეული ქვეყნის სურსათით უზრუნველყოფის შესაძლებლობას, რომელიც პირობითად ასე შეიძლება წარმოვიფიქროთ:

1) ყველაზე საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც სახელმწიფო საკუთარ მოთხოვნილებას სურსათზე სრულიად უზრუნველყოფს სამაშულო წარმოების ხარჯზე. ასეთი ვითარება გულისხმობს, როგორც ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს, ასევე ტერიტორიის მაღალ ბიოგეოპოტენციალს. აქ

იგულისხმება საერთო სასურსათო ნეტო-უზრუნველყოფა.

2) ამ შემთხვევაში ქვეყანა, მართალია, საკმარის წარმოებით ვერ იკმაყოფილებს სურსათზე მოთხოვნილებას, მაგრამ ამას აღწევს იმპორტის მეშვეობით. ამ დროს საქმე გვაქვს განვითარებულ ეკონომიკასთან, მაგრამ მწირ გეოპოტენციალთან.

3) ყველაზე უარესი შემთხვევის დროს სახელმწიფო ვერც საკუთარი წარმოების და ვერც იმპორტის ხარჯზე ვერ ახერხებს საკუთარი მოსახლეობის სათანადო უზრუნველყოფას სურსათით. ასეთი სიტუაცია მიუთითებს ეკონომიკური განვითარების დაბალ დონეზე, დაბალი თუნდ მაღალი ბიოგეოპოტენციალის ფლობის პირობებში.

პირველი ჯგუფის ქვეყნებს მიეკუთვნება: აშშ, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია, ყრუკემპის ზოგიერთი ქვეყანა. ამ ქვეყნებში არამარტო ნეტო-უზრუნველყოფაა მიღწეული, არამედ სურსათი საქსპორტოდაც გააქვთ. მეორე ჯგუფში მყოფთაგან აღსანიშნავია იაპონია, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნების უმრავლესობა მესამე კატეგორიას განეკუთვნება.

საერთაშორისო სასურსათო უშიშროების ორი ძირითადი მაჩვენებელი არსებობს, რომლებიც ფაქტურადაა ექსპერტების მიერ არის დამუშავებული, და ორივე მათგანი მარცვლეულს უკავშირდება, ესენია: მარცვლეულის გარდამავალი მარაგები და მარცვლეულის წარმოების მოცულობა მთლიანად და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

მარცვლეულის გარდამავალი მარაგები იანგარიშება მსოფლიოში მასზე მოთხოვნილების მიზეზი ოდენობიდან გარკვეული წილის მიხედვით მარცვლეულის მოხმარებიდან გამოიმდინარე დღეებში. უსაფრთხოდ ითვლება მარცვლეულის მარაგის ის მოცულობა, რომელიც შეესაბამება მსოფლიოში მარცვლეულის მოხმარების მთელი ოდენობის 17%-ს, ანუ 60 დღის პერიოდს. ასეთ ვითარებაში, როგორც წესი, მარცვლეულზე ფასები მკვეთრად იზრდება. ამგვარ მოვლენას ადგილი ჰქონდა 1972-1973 და 1995-1996 წლებში.

საერთაშორისო სასურსათო უშიშროების მეორე მაჩვენებელი – მარცვლეულის წარმოების მოცულობა მთლიანად და ერთ სულზე გაანგარიშებით გამოსაღვარია ეროვნულ დონეზე არსებული ვითარების ახახვისათვის. მარცვლის წარმოების ოპტიმალურ დონედ მსოფლიოში ერთ სულზე გაანგარიშებით სხვადასხვა მაჩვენებელი ითვლება და ის 500-800 კილოგრამამდე მერყეობს.

კაცობრიობისთვის მარცვლეულის მნიშვნელობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს.

ახალი პერიოდის



თემატიკის მიხედვით

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეული არის ძირითადი სასურსათო პროდუქტი მიწის მსოფლიოში. ნებისმიერი ფინანსური თუ რელიგიური დეკლარაციის ტრადიციები მარცვლეულს მოიაზრებს როგორც "კულისარის" საფუძველს. მარცვლეული სასურსათო უშიშროების ერთ-ერთი განაღობაა მაგრამ მსოფლიოს ბაზრის სტაბილურობაზე სხვა პროდუქტების წარმოების დონეც მოქმედებს როგორც ცნობილია, ფიზიოლოგიური ნორმების სამონიტორინგო კვების პროდუქტები 10 ძირითად ჯგუფშია გაერთიანებული, ესენია: პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, თევზი და თევზის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, შაქარი, მცენარეული სუთი, კვარცი, კარტოფილი, ხილი და ბოსტნეული.

ერთგვარი სასურსათო უშიშროების მრავალი სხვა მიმდევრულიც არსებობს. ისინი არსებული კლასიფიკაციის მიხედვით, შეიძლება დაჯგუფდეს-სახელმწიფო სასურსათო უშიშროებისა და ინდივიდუალური სასურსათო უზრუნველყოფის მიმდევრულიც.

ერთგვარი სასურსათო უშიშროების შევასების მთავარი კრიტერიუმია მოხმარებული და წარმოებული სასურსათო პროდუქტის მოცულობის თანაფარდობა. ამასთან, გარკვეული სახის სურსათისათვის ამგვარი განაღობა შეიძლება ჩატარდეს როგორც ნატურალური, ასევე ფულადი მიმდევრებით, ხოლო

მდგომარეობის სრული შევასებისთვის აუცილებელია ერთიანი მიმდევრების შექმნა რისთვისაც იყენებენ როგორც დირექტივებს, ასევე საკვების ენერგეტიკული ფასეულობების მაჩვენებლებს, რომლებიც კიდოკალიბრებსა და კალიბრებსში გამოისახება. "თვითუზრუნველყოფის" კოეფიციენტის განაღობა შესაძლებელია როგორც სურსათის ცალკეული სახეების, ასევე ქვეყანაში მოხმარებული და წარმოებული მთელი სურსათის მოცულობის მიხედვით. სრული სურსათის შესაქმნელად აუცილებელია ამგვარი შევასებები შეისრულდეს ქვეყანაში წარმოებული და მოხმარებული სურსათის მილიან მოცულობაში ადგილობრივი წარმოების პროდუქციის ხედილით წილის მიხედვით. პირველ შემთხვევაში "თვითუზრუნველყოფისათვის" კოეფიციენტში გათვალისწინებულია სამამულო წარმოების სურსათის მთლიანი მოცულობა ექსპორტის ჩათვლით, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, ექსპორტი მხედვლობაში არ მიიღება.

ამდენად, სურსათის თვითუზრუნველყოფა არის სასურსათო უშიშროების უმაღლესი საფეხური, რომლის შესახებ საუბარი მაშინ არის კორექტული, როდესაც მიღწეულია სასურსათო უზრუნველყოფის გარკვეული დონე ამასთან, მოხმარების შევასება უნდა ეფუძნებოდეს კვების ფიზიოლოგიურ ნორმებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ. გორგაძე, კ. კოლუაშვილი, ბ. რამიშვილი, სასურსათო პრობლემიდან სასურსათო უსაფრთხოებად, თბ. 2005
2. ნ. ქარქაშიძე, მსოფლიო სოფლის მეურნეობა, თბ. 1993
3. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მახალბე.

THE WAYS FOR SOLVING OF FOOD PROBLEMS AND FOOD SECURITY

NANA TEVDORASHVILI  
Academic Doctor of Economy

In the article it is given analysis of existing situation in food problem and the ways for solving this problem. The author thinks that this really very difficult problem can be solved by rational use of the world land resources; Besides the greatest importance has maximum ecological use of water resources. Growth of land efficiency and productivity in stock-breeding should be carried out in proper direction and not in biological disorder (genetic, engineering, etc).

One of the greatest problems in the modern world is problem of drinking water. One part of the world has extra drinking water and another part of the world has deficit of it. This problem needs right understanding and financial support.

In order to solve all above mentioned problems it is necessary ecological security; In other case food problem will be worsened by ecological problem and the world will face great danger. In this article it is given statistics made by the world food organization and by Georgian Statistic Department.



არჩილ იაკობაშვილი  
თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის  
ფაკულტეტის დოქტორანტი  
საქართველოს ეროვნულ ბანკის  
სავალუტო რეზერვების მენეჯერი

შესავალი

სტაბილიზაციის პროგრამები ეკონომიკური პოლიტიკის ის ნაწილია, რომლის მიზნები (უასესების სტაბილიზაცია, დაბალი უმუშევრობა, მიმდინარე ბალანსის წონასწორობა) უკავშირდება მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფას. ევროპის რიგ ქვეყნებში (გერმანია 1966, პოლონეთი 1995, ესტონეთი 1991 და ა.შ.) აღნიშნული მიზნები თავმოყრილია შესაბამის კანონში ან ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისა და სტაბილიზაციის შესახებ.

კუთილდღეობის ეკონომიკის თვალთახედვით, ღია ეკონომიკაში სტაბილიზაციის პოლიტიკა მიმართულია იმ პრობლემისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილების მოძებნასთან, რომელიც დაფუძნებულია ტრადიციულ ინტერესთა კონფლიქტზე შიდა-ეკონომიკურ და საგარეო-ეკონომიკურ წონასწორობებს შორის. მეორე მხრივ, სტაბილიზაციის პროგრამა განიხილება როგორც სახელმწიფოს პროდუქტა, რომლის განხორციელება შესაძლებელია შესაბამისი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების (გადასახადებები, სარგებლის განაკვეთი, გაცვლის კურსი) გამოყენებასთან, რომლებიც იმპედროულად მოთხოვნა-მიწოდების თამაშის ობიექტია პოლიტიკურ ბაზარზე.

ფუნდამენტური შეკითხვა, „სტაბილიზაციის მიზნით“ უნდა ჩაერთოს, თუ არა, სახელმწიფო საერთოდ როგორც ბაზრის მონაწილე ან როგორც ბაზრის კონტროლიორი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ პოლიტიკოსები, რომლებიც ამაზე პასუხისმგებელი არიან. პოლიტიკოსების მიერ შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება კი დამოკიდებულია შესაბამისი ინსტრუმენტთა ჯგუფების ღობისტურ ქმედებებზე.

ამის გამო სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელება იქნეს პოლიტ-ეკონომიკურ ხასიათს, რადგან პოლიტიკოსები ცდილობენ, პროგრამის განხორციელება დაუქვემდებარონ ერთი მხრივ თავიანთ იდეოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ წინასწარჩენოდ ხმების მაქსიმიზაციას. რამდენადაც ასეთი პოლიტიკური დაჯგუფებების რაოდენობა ერთზე მეტია, თითოეული მათგანი ცდილობს საკუთარი პოზიციის ყველაზე მეტად დაცვისთვის, რაც შეიძლება გადაიზარდოს იდეოლოგიათა ურთიერთწინააღმდეგობაში, და საბოლოოდ მათმა პოპულიზტურმა ქმედებებმა საქმე მაკროეკონომიკის არა სტაბილიზაციამდე არამედ დესტაბილიზაციამდე მიიყვანოს.

აქედან გამომდინარე, თუ გაითვალისწინებთ სტაბილიზაციის პროგრამის ორგანიზაციულიან (კუთილდღეობის ეკონომიკა და პოლიტიკური ეკონომიკა) ხასიათს, მისი განხორციელებისას აუცილებელი ხდება შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

- რომელ მაკროეკონომიკურ მიზნებზე შეიძლება იყოს მიმართული განსახილველი სტაბილიზაციის პროგრამა. მაგალითად: დაბალი ინფლაცია; დაბალი უმუშევრობა; პროფიტულური ბიუჯეტი, ექსპორტუნარიანობის ამაღლება და ა.შ;
- სტაბილიზაციის პოლიტიკის რა ინსტრუმენტები (უპირველესად ფისკალური, მონეტარული და სავალუტო პოლიტიკის) შეიძლება შეირჩეს სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებლად;
- წმიტად ეკონომიკური მოსახრებებით რა მოცულობით არის შესაძლებელი გააღწევის მოხდენა პოლიტიკურ კონკურენციასა და ხმების მაქსიმიზაციაზე სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელების პროცესში?

ახალი პერიოდისტი



მოლიტიკური პაკეტის წარმატებას ან წარუმატებლობაზე დამოკიდებული ნდობის საკითხი სტაბილიზაციის პროგრამისადმი, რომელიც ენდოგენური სიდიდეა და განიხილავს გრძელ პროგრამასთან და სახელმწიფოს მოქმედებასთან დაკავშირებული ხეშით ჩამოყალიბი ფაქტორებით.

გაზრდის მოლოდინისაკენ, რაც სტაბილიზაციის პროგრამის მეორე ეტაპის განხორციელების დროში გაწევადა.

პროგრამის პირველ ეტაპზე ნომინალური გაცვლის კურსის დაფიქსირების შედეგად, მართალია, ინფლაციის დონე  $\pi^t$ -დან შედარებით შემცირდება  $\alpha\pi^t$ -მდე, მაგრამ მაინც დადებითი რჩება.  $\alpha \in (0;1]$  ასახავს ინფლაციის ინერციის ხარისხს და არის პირობითად მუდმივი სიდიდე. თუ  $\alpha = 1$ , ინფლაციის ინერციის ასეთი ხარისხი უზენეს, რომ ინფლაციის შემცირება გაცვლის კურსის ფიქსირებისგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ნომინალური გაცვლის კურსის დაფიქსირება ხდება დროის მომენტში  $t=0$ , რეალური გაცვლის კურსი დროის ყველა შემდგომ მომენტში ( $t \geq 0$ ) შემდეგნაირად განიხილდება:

$$(1.02) \quad e_t = \bar{e} - \alpha\pi^t.$$

ამ ტოლობის (1.02) მიხედვით, რეალური გაცვლის კურსი  $e_t$  დროის განმავლობაში სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედების შედეგად თავისი წონასწორობის დონიდან  $\bar{e} - e_t \geq 0$  გადაუხევს. ეროვნული ვალუტის რეველაციის შედეგად მოხალდრეულია საგადასახადელო ბალანსის გაუარესება და ხაერთაშორისო კონკურენტუნარიანობის დაკარგვა.

სტაბილიზაციის პროგრამის მე-2 ეტაპზე გათვალისწინებულია ფისკალური ღონისძიებების შემუშავება, რომელიც დეფიციტის შემცირებაზე იქნება ორიენტირებული. ფისკალური დეფიციტის მიზეზი ამ შემთხვევაში დაკავშირებულია ეროვნული ბანკის მოგების (Seigniorage Profit) შემცირებასთან:

$$(1.03) \quad m = \dot{m} + \varepsilon m.$$

- $m_t = \ln M_t$  - ნომინალური ფულის მიწოდება;
- $\dot{m}$  - ბანკის მოგება;
- $\varepsilon$  - გადასახადის განაკვეთი;
- $\varepsilon m$  - ნომინალური გადასახადი.

სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედებამდე, როდესაც წონასწორობაში მყოფი ეკონომიკა მაღალი ინფლაციით გამოირჩეოდა, სახელმწიფოს ბიუჯეტი ფინანსდებოდა კლასიკური გადასახადებითა და ინფლაციის გადასახადით, რაც გულისხმობს ფულის მიწოდების დაბევრას

**1. სტაბილიზაციის პროგრამა**

განსახილველი სტაბილიზაციის პროგრამა ეფუძნება შემდეგ ძირითად დაშვებებს:

- საუბარია პატარა ღია ეკონომიკაზე (SMOPEC) საგარეო-ეკონომიკური წონასწორობით, მაგრამ ინფლაციის (10%-100% pa) მაღალი დონით;

- პროგრამის დაწყებამდე ინფლაციის დონე  $\pi^t$  და ეროვნული ვალუტის დეველაციის დონე  $e^t$  ერთმანეთის ტოლია. ასეთი დაშვება გულისხმობს, რომ რეალური გაცვლის კურსი  $e_t$ , რომელიც გამოხატავს ადგილობრივი საეჭრო პროდუქტების შედარებით ფასს უცხოური პროდუქტების ერთეულში, განსახილველი პერიოდის განმავლობაში უცვლელი რჩება, რაც გამოხატავს მიმდინარე ბალანსის წონასწორობას:

$$(1.01) \quad e_t = s_t - p_t, \quad \text{სადაც}$$

$s_t = \ln S_t$  - ნომინალური გაცვლის კურსი;

$p_t = \ln P_t$  - ადგილობრივი ფასების დონე;

- უცხოური ფასების დონე  $p_t^* = \ln P_t^*$  მიუძღვლება როგორც უზოგენური სიდიდე რომლის ცვლილებების მოლოდინი განსახილველ პერიოდში ნულოვანია:  $\Delta p_t^* = 0$ .

სტაბილიზაციის პროგრამა ორ ეტაპად უნდა განხორციელდეს: პირველ ეტაპზე ( $t=0$ ) ხდება ნომინალური გაცვლის კურსის დაფიქსირება. მეორე ეტაპზე იგეგმება ფისკალური პაკეტის განხორციელება ამასთან საზოგადოებას ეცნობება, რომ პროგრამის კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც მეორე ეტაპისთვის არის გათვალისწინებული, გაცვლის კურსის დაფიქსირებისას (ე.ი. ჯერ კიდევ პროგრამის პირველ ეტაპზე) შემუშავების ფაზაშია ყველა შემთხვევაში, ეს ღონისძიებები მიმართული უნდა იყოს იმ ფისკალური დეფიციტის შესავსებად, რომელიც მოხალდრეულია გაცვლის კურსის ფიქსირებამ გამოწვევით. ამასთან დაკავშირებით, მთავრობა ვარაუდობს, ხოლო საზოგადოებას უნდა ეცხვი იმის თაობაზე, რომ ფისკალურმა ღონისძიებებმა შეიძლება დეფიციტი შეამციროს, მაგრამ სრულად ვერ აღმოფხვრას, რაც უკვე უზიარებს გადასახადებს

ბანკის ეკონომისტ



# მივნიშება

(Revenues from the Inflation Tax). გაცვლის კურსის დიფიციტის შემდეგ, ფულის წარმოება მიბმულია ერთენული ბანკის საეკონომიკურ რეზერვებზე, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოიშობა გადასახადების დანაკარგები ერთენული ბანკის მხრიდან  $\pi = 0$ . წარმოშობილი დანაკარგების სანაცვლოდ, სახელმწიფო გადის კაპიტალის ბაზარზე და იღებს კრედიტს დეფიციტის დასაფარავად. ამით იზრდება სახელმწიფოს დაგვიანება, რომლის გათვალისწინებით ბიუჯეტის წონასწორობა დროის ყველა შემდგომ მომენტში ( $t > 0$ ) შემდეგნაირად აიხსნება:

$$(1.04) \quad \tau = \rho \cdot b_0 + g - \eta \cdot \epsilon^h \cdot m(i^h),$$

სადაც

$g$  – სახელმწიფოს გასაყვები;

$b_0$  – ახელმწიფოს დაგვიანება ( $t = 0$ ) მომენტში (ე.ი. პროგრამის დაწყებამდე);

$\rho$  – სარგებლის განაკვეთი მსოფლიოს ბაზარზე, რომელიც (SMOPEC)–ისთვის მოცემულია, როგორც ეკონომიკური სიდიდე;

$m(i^h)$  – ფულზე მოთხოვნის რეალური დონე პროგრამის ამოქმედებამდე;

$\eta \in [0; 1]$  – დანაკარგის წილი ბანკის მოვების დაბეგვრიდან, რომლებიც თავად კაპიტალის ბაზარზე კრედიტის აღებითაც ვერ იფარება. მაგალითად, თუ  $\eta = 1$ , მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი კრედიტის აღებით ინფლაციის გადასახადის სრული კომპენსაცია.

(1.04) ტოლობიდან შესაძლებელია  $t = 0$  დროის მომენტისთვის ფისკალური ზარალის შემდეგნაირად გამოსახვა:

$$(1.05) \quad R_0 = \eta \cdot \epsilon^h \cdot m(i^h).$$

სახელმწიფოს დაგვიანება იზრდება ნებისმიერ  $t \geq 0$  დროის მომენტში, რამდენადაც კაპიტალის ბაზარზე კრედიტის აღება სახელმწიფოსთვის გარდაუვალია, სანამ ფისკალური ზარალის კომპენსაციის საკითხი სრულად არ არის გადაჭრილი. ნებისმიერ  $t \geq 0$  დროის მომენტში

აკუმულირებული დაგვიანების დონე ( $b_t$ ) შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

$$(1.06) \quad b_t = \rho \cdot b_t + g - \tau.$$

ფისკალური პრობლემაში გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი პოლიტიკური ღონისძიებების გზით. თუ  $R_t$  – თ ადენიშნავთ

ფისკალური ზარალის მიცულობას, რომლის შევსებაც  $t \geq 0$  პერიოდში შენარჩუნდება მხოლოდ გადასახადების გაზრდის გზით, ფისკალური ღონისძიებების მიზანი იქნება აკუმულირებული დაგვიანების მთლიანად დაფარვა:

$$(1.07) \quad R_t = b_t.$$

კონკრეტული ღონისძიებების პოლიტიკურ პაკეტში ჩადება, პროგრამის მეორე ეტაპზე განხორციელების მიზნით, მოითხოვს მოლაპარაკების დაწყებას პოლიტიკურ მხარეებს შორის, რომლებიც განსაზღვრულ ინტერესთა ჯგუფებს წარმოადგენენ. კერძოდ, პოლიტიკური მოლაპარაკების საგანი უნდა გახდეს თითოეული მათგანის თანამონაწილეობა ზარალის კომპენსაციაში. ე.ი. მათ არა ცალმხრივად უნდა გადაწყვიტონ, არამედ უნდა შეთანხმონ, თუ რომელი მხარე რომელი გადასახადის გაზრდაზე აიღებდა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. თუორიულად ურთიერთშეთანხმების მიღწევა შესაძლებელია დროის ნებისმიერ  $t \geq 0$  მომენტში. პოლიტიკური ფაქტორის გადაწყვეტილებით, გადასახადების გაზრდა, (1.05) და (1.06) გაერთიანების გზით, ფორმალურად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

$$(1.08) \quad R_t = \rho \cdot (b_t - b_0) + R_0.$$

ამ ტოლობის (1.08) მიხედვით, გადასახადების გაზრდამ სრულად უნდა უზრუნველყოს არა მხოლოდ  $t = 0$  მომენტში ნომინალური გაცვლის კურსის დიფიციტის გამოწვეული დეფიციტის  $R_0$  დაფარვა, არამედ აკუმულირებული დაგვიანების კომპენსაცია და კრედიტზე მომსახურება. რამდენადაც კრედიტზე მომსახურების ხარჯები დროთა განმავლობაში იზრდება, მოლიანი დეფიციტი  $R_t$  დროზე დამოკიდებულ ფუნქციად გვეხდინება:

$$(1.09) \quad R_t = R_t(t), \quad \frac{\partial R_t}{\partial t} > 0,$$

სადაც  $R_t$  დროთა განმავლობაში სარგებლის განაკვეთით  $\rho$  იზრდება:

$$(1.10) \quad \dot{R}_t = \rho \cdot R_t.$$

მხარეებს შორის ფისკალური მოლაპარაკების პარალელურად შესაძლებელია, ერთენულმა ბანკმა, საეკონომიკურ რეზერვების შეტვირთვის გამო დაიწყოს ფიქრი გაცვლის კურსის ფიქსირების საერთოდ

ახალი პერიოდის



მოხსნაზე, ხოლო მთავრობის ინტერესში იქნება არა ვაცვლის კურსის ფიქსირების მოხსნა, არამედ მისი ხელოწყოფილი დეველუაცია ახალ ფიქსირებულ დონემდე. ამ გზით კვლავაც შესაძლებელი იქნება კრიზისის მხრივ ვაცვლის კურსის განმეორება, როგორც ანტიინფლაციური ინსტრუმენტი და მეორე მხრივ რეალური ვაცვლის კურსის დაბრუნება მისი წონასწორობის დონემდე, რათა მიმდინარე ანგარიშის კრიზისი თავიდან იქნას აცილებული.

$h_1$ -თი აღენიშნოთ იმის ალბათობა (the Hazard-Rate), რომ მხარეები მიადწევენ ფისკალურ შეთანხმებას. მაშინ  $h_1$  იმავდროულად გამოხატავს იმის ალბათობასაც, რომ საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის აღსადგენად (ე.ი. ეროვნული ვალუტის რეალური დეველუაცია) მოქმედი მთავრობა შეძლებს დროთა განმავლობაში ეროვნული ვალუტის ეტაპობრივ დეველუაციას ფიქსირების რეჟიმის მოხსნის გარეშე.  $h_1$  არის ეკონომიკური სიდიდე და გამოხატავს დროის იმ კრიტიკულ მომენტს, რომლის შემდეგაც სტაბილიზაციის პროგრამა, რომლის ძირითადი ინსტრუმენტებია ამ შემთხვევაში გადასახადების გაზრდისა და ვაცვლის კურსის კომბინაცია, ან საერთოდ ჩაიშლება ან, პირიქით, უფრო მეტ ფლობასა და მხარდაჭერას მოიპოვებს და გაზრდის მის განხორციელების აუცილებლობას.

პროგრამის როგორც ჩაშლა, ისე მისი გაგრძელება, დამოკიდებულია ეროვნული ბანკის პოლიტიკაზე, რომელიც თავის მხრივ, პროგრამაში თანამონაწილეობას (ე.ი. ვალუტის შემდგომი დეველუაცია) იმის მიხედვით განსაზღვრავს, მიადწევენ, თუ არა პოლიტიკური მხარეები ფისკალურ სფეროში კონკრეტულ შეთანხმებას. როგორც მთავრობისთვის, ისე ეროვნული ბანკისთვის ცნობილია, რომ ვალუტის დეველუაციის შემდგომი ეტაპები გაანტირალდებს მიმდინარე ბალანსის დეფიციტს, მაგრამ იმავდროულად ეკონომიკის ისე ინფლაციურ გარემოში დაბრუნებას, თუკი პოლიტიკური მხარეები კონკრეტულ შეთანხმებას არ წარმოადგენენ.

2. საგადასახადო ბალანსის კრიზისი საგადასახადო ბალანსის კრიზისი გულისხმობს მიმდინარე ანგარიშში ფუნდამენტალური უწონასწორობის წარმოშობას და მის ეტაპობრივ გაუარესებას. მაშინ როცა, თავისუფალი ვაცვლის კურსის რეჟიმში საგადასახადო ბალანსის

ავტომატურ გამოთანაბრებას ხელს უწყობს, ფიქსირებული რეჟიმის შემთხვევაში საგადასახადო ბალანსის წონასწორობა დამოკიდებულია ეროვნული ბანკის განკარგვაში არსებული სავალუტო რეზერვების მდგომარეობაზე, რამდენადაც ფულის მიწოდება მასზეა მიბმული. მიმდინარე ანგარიშში უარყოფითი საფლას შემთხვევაში, თუკი სავალუტო რეზერვები აბსოლუტურად ამოწურულია, ქვეყანას ემუქრება გადახდისუნარიობა (ე.ი. საგადასახადო ბალანსის კრიზისი) დანარჩენი მსოფლიოს წინაშე, რომლიდანაც თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა ვაცვლის კურსზე ფიქსირებული რეჟიმის მოხსნა.

წინა თვეში განხილული სტაბილიზაციის პროგრამა გულისხმობდა ნომინალური ვაცვლის კურსის დაფიქსირებას როგორც ანტიინფლაციურ ინსტრუმენტს. მიუხედავად ინფლაციის შემცირებისა, ვაცვლის კურსის დაფიქსირებამ გამოიწვია მიმდინარე ანგარიშის გაუარესება ვაცვლის კურსის რეალური რეველუაციის გამო. საგადასახადო ბალანსის კრიზისი პრობლემის წინაშე აყენებს პოლიტიკოსებსაც, რომლებმაც ანგარიში უნდა გააწვიონ იმ ჯგუფების ინტერესებს, რომლებსაც თავადვე წარმოადგენენ. პოლიტიკური შეთანხმების გარეშე კი მთავრობას გაუჭირდება ნომინალური ვაცვლის კურსის ეტაპობრივი დეველუაცია, რაც აუცილებელი იქნებოდა საგადასახადო ბალანსში კრიზისის თავიდან ასაცილებლად.

ამ თვეში მოვახდენთ საგადასახადო ბალანსის კრიზისის მოდელირებას, რომელიც შემდეგ ძირითად დაშვებებს ეყრდნობა:

- მოდელი განიხილავს არასრულყოფილი და ახიმეტრიული მოდოლინის პირობებში, რითაც ის განსხვავდება „საგადასახადო ბალანსის კრიზისის“ სხვა კლასიკური მოდელისაგან;<sup>1</sup>

- რამდენადაც ეროვნული ეკონომიკა (SMOPEC)-ია, ნომინალური სარგებელი  $i_t$  მოცემულია მსოფლიო ბაზრის მიერ და განსაზღვრავს (SMOPEC)-ში ფულზე მოთხოვნას:  $(2.01) \quad M_t - S = \bar{m} - \delta \cdot i_t, \quad \delta < 0.$

- მესამე მნიშვნელოვანი დაშვებაა, რომ ვაცვლის კურსის დაფიქსირებისას მონეტარული ექსპანსია ქვეყანაში შეწყდება და სარგებლო ფულში (the High Money = the Monetary Basis) ეროვნული აქტივების წილი აღარ იცვლება. მაშინ ფულის მიწოდება მხოლოდ ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების შეკვლასა და ამოკლებული,

მომდინარეობს

1. Krugman, P. „A Model of Balance of Payments Crises“, Journal of Money, Credit and Banking, 11, 1989, S. 311-325.



რასაც პირდაპირ გავლენა აქვს ფულზე რეალურ მოთხოვნასთან და მისი წონასწორობა ფულის მიწოდებასთან მხოლოდ ნომინალურ სარგებელზე დამოკიდებული.

გაცვლის კურსზე ფიქსირებული რეჟიმის შენარჩუნება შესაძლებელია, სანამ ფულის მიწოდება საფულტო რეზერვების შემცირების გამო  $M^C(c - Crisis)$  არ შემცირდება ( $M_t = M^C$ ). ამ კრიტიკული მომენტის შემდეგ კვლავ მოსალოდნელია მონეტარული ექსპანსია და იმედროულად ეროვნული ვალუტის გაუფასურება  $\varepsilon$ -ით. ნომინალური დეველვაცია მიუთითებს აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტში ე.წ. ინფლაციის გადასახადის დაბრუნებაზე.

არასრულყოფილი მთვლიანის შესახებ დაშვების მიხედვით საზოგადოების მოლოდინი  $M^C$ -ს შესახებ სტოხასტური და ექვემდებარება ალბათობის შემდეგნაირად განაწილებას:

$$(2.02) \quad W(x) = \Pr\{M^C < x\}, \quad w(x) = W'(x).$$

ე.ი. საზოგადოებას აქვს ბუნდოვანი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ საფულტო რეზერვების რა დონეზე მოახდენს ეროვნული ბანკი გაცვლის კურსზე ფიქსირებული რეჟიმის მოხსნას. გარდა ამისა,  $M^C$ -თან დაკავშირებით თავიანთი მოლოდინის ხშირი შეცვლაა მოსალოდნელი პოლიტიკოსების მხრიდან, რომელთა უკან განსხვავებული პოლიტიკური ჯგუფები დგანან. საკვანძოვან ბალანსის კრიზისის მოლოდინი დამოკიდებულია ხამ პარამეტრზე:

1) საზოგადოების არასრულყოფილ მოლოდინზე  $M^C$ -ს შესახებ;

2) ნომინალური გაცვლის კურსზე  $S_t$ ;

3) ნომინალური სარგებლის  $i_t$  დინამიკაზე. ეს სიდიდეები წარმოადგენენ გამაფრთხილებელ სიგნალებს  $M^C$ -თან დაკავშირებით. ნომინალური გაცვლის კურსის გაზრდა ( $S_t \uparrow$ ), ე.ი. ვალუტის დეველვაცია, და სარგებლის განაკვეთის ( $i_t \uparrow$ ) გაზრდა (დანაშოგების გაზრდა) ლოგიკური რეაქციაა მიმდინარე ანგარიშის გაუარესებაზე. სარგებლის განაკვეთის დროის პორიზონტი (the Time Path of the Interest Rate) უშუალოდ განსაზღვრავს დროის იმ მომენტის, როდესაც გაცვლის კურსის ხელოვნური დეველვაცია უნდა განხორციელდეს და აღინიშნება  $T^C$ -ით ( $c - Collapse of the Payment$ ).

Balance). დროის ეს მომენტი  $T^C$  განისაზღვრება  $M^C$ -ით და მის მიმართ არიქვლურად დამოკიდებულია ფუნქცია:

$$(2.03) \quad T^C = T^C(M^C); \quad \frac{\partial T^C}{\partial M^C} < 0.$$

$M_t$ -ის შემცირება  $M^C$ -მდე აისახება  $i_t$ -ნომინალური სარგებლის ზრდაში. გარდა ამისა,  $T^C$ -ის შესახებ საზოგადოების მოლოდინი არასრულყოფილია, რის გამოც იგი დეტერმინისტული სიდიდე ვერ იქნება, არამედ სტოხასტური სიდიდე და შესაბამისად, ექვემდებარება ალბათობის განაწილებას:

$$(2.04) \quad V_t \equiv \Pr\{T^C < t\} = 1 - W(M_t); \quad v_t = V_t' = -w(M_t) \cdot \dot{M}_t.$$

$M^C$  და  $T^C$  შესახებ არასრულყოფილი მოლოდინი ზრდის იმის რისკს, რომ ნომინალური გაცვლის კურსი მისი ხელოვნური დეველვაციის შემდეგ კონტროლაგარეშე დარჩეს და უფრო მეტად განიცადოს გაუფასურება, ვიდრე ამას ეროვნული ბანკი და მთავრობა გეგმავენ, იმის მიუხედავად თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდება ეროვნული ბანკის საფულტო რეზერვები და ფულის ნომინალური მიწოდება.

ე.ი. ვალუტის დეველვაცია და შედეგად ნომინალური ინტერესტის გაზრდა ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია, რის გამოც  $T^C$  ფულის ბაზრის წონასწორობის ფორმულაში შემდეგნაირად შეიძლება აისახოს:

$$M_t - S = \bar{m} - \delta \left[ \frac{\rho + h(\bar{\varepsilon} - \varepsilon) \cdot \frac{\Pr\{T^C > t + dt\}}{\Pr\{T^C > t\}} + \frac{M_t - \bar{m} + \delta(\rho + \varepsilon) - S}{dt} \cdot \frac{\Pr\{T^C < t + dt\}}{\Pr\{T^C > t\}} \right] \quad (2.05)$$

ტოლობა (2.05) გვიჩვენებს, რომ ვალუტის ნომინალურ დეველვაციას, რომელზეც მიზნულია სარგებლის განაკვეთის ექვტორი, ორმავე მნიშვნელობა აქვს:

- პირველი, ნომინალური დეველვაცია დაკავშირებულია ფისკალურ შეთანხმებასთან და ექვემდებარება ალბათობის განაწილებას იმის შესახებ, რომ მიმდინარე ანგარიშის კოლაფსი პოლიტიკურ მხარეებს შორის ფისკალური შეთანხმების მიღწევამდე არ მოხდება;

ახალი ეპოქისთვის

- მეორეც, ნომინალური დეფლაცია დაკავშირებულია საგადასახადო ბალანსის კრიზისთან და ექვემდებარება ალბათობის განაწილებას იმის შესახებ, რომ მიმდინარე ანგარიშის კოლაფსი დროის  $[t; t + dt]$  ინტერვალში არ მოხდება.

ე.ი. ვასარკვევია, საგადასახადო ბალანსის კრიზისი დროის  $[\leq t]$  ინტერვალში თუ დროის  $[t; t + dt]$  მოხდება:

$$(2.06) \quad T^C(M^C) \geq t,$$

თუ,

$$Pr\left\{M_{t+dt} < M^C < \frac{M_t}{t}\right\} = \frac{v_t \cdot dt}{1 - V_t}$$

$$\text{და, } (2.07) \quad T^C(M^C) < t,$$

თუ,

$$Pr\left\{M_{t+dt} < M^C < \frac{M_t}{t}\right\} = 0.$$

რამდენადაც  $M_t$  - ფულის ნომინალური მიწოდება სარგებლის განაკვეთთან მიმართებაში დროში კლებადი ფუნქციაა, (2.07) ტოლობა მხოლოდ მაშინ მოქმედებს, თუ  $\dot{M}_t \geq 0$ .

(2.06)-ის შემთხვევაში, (2.04) და (2.05)-ის გათვალისწინებით, ფულის ნომინალური მიწოდება შეიძლება შემდეგნაირად განისაზღვროს:

$$(2.08) \quad M_t = S + \bar{m} - \delta \left[ \rho + \frac{h_t(\bar{e} - e_t) + \lambda_t \cdot \delta \cdot \varepsilon}{1 + \delta \lambda_t} \right]$$

სადაც

$\lambda_t$ , (2.04)-ის გათვალისწინებით, გამოხატავს საგადასახადო ბალანსის კრიზისის ალბათობას:

$$(2.09) \quad \lambda_t = \frac{v_t}{1 - V_t}$$

$\lambda_t$  არის დროის ფუნქცია და მასთან დაკავშირებულია როგორც ფულის მიწოდება, ისე გაცემის კურსი,  $W(\cdot)$  და  $V(\cdot)$  ალბათობების განაწილება. პოლიტიკური მოლაპარაკებების  $h_t$  ალბათობის მსგავსად, საგადასახადო ბალანსის კრიზისის ალბათობა  $\lambda_t$  განსაზღვრავს ნდობის ხარისხს სტაბილიზაციის პროგრამის მიმართ. კერძოდ, ისინი არიან ინვერსულ კავშირში ერთმანეთთან და  $\lambda_t$ -ის გაზრდის შემთხვევაში

ეკვმა საზოგადოების ნდობის ხარისხი პროგრამის წარმატებით განხორციელებასადმი.

საქართველო  
სოციალიზმი

### 3. ბრძოლა გამოფიტვამდე (War of Attrition)

პოლიტიკონომიკურ ანალიზში სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელება ექვემდებარება ლობისტურ მოქმედებებს ინტერესთა ჯგუფების მხრიდან, რომლებიც თავიანთი ფულადი კონტრიბუციებით, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, ცდილობენ, შეგაფლენა იქონიონ პოლიტიკური პროცესების თავიანთ სასარგებლოდ წარმართვაზე. პოლიტიკური მოლაპარაკებები შესაძლებლობას აძლევს მხარეებს, თავიანთი ურთიერთგანსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ურთიერთსასარგებლო შეთანხმებას მიადგინონ. მეცნიერულ ენაზე ამ პროცესს „პოლიტიკური წონასწორობა“ ეწოდება. „პოლიტიკური წონასწორობის“ განსახილველად მიზანშეწონილია მიკროეკონომიკიდან გაიხსენოთ ოლიგოპოლისტური კონკურენციის თეორია, რომლის მიხედვითაც „ნაშ-წონასწორობა“ გამოხატავს სიტუაციას, როცა ყოველ პოლიტიკურ მხარეს, მართალია, არასრულყოფილად, მაგრამ მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინებით, ოპტიმალურად შეუძლია საკუთარი ინტერესების განხორციელება.

სიმეტრიული ინფორმაციის პირობებში მიღწეული პოლიტიკური წონასწორობა ცნობილია „პარეტო-ოპტიმალური პოლიტიკის“ (the Pareto-Optimal-Policy) სახელით.

ასიმეტრიული ინფორმაციის პირობებში (ე.ი. ერთ მხარეს მხოლოდ ვარაუდი აქვს მეორე მხარის მოთხოვნების შესახებ) მიღწეული პოლიტიკური წონასწორობა ცნობილია „შტაკელბერგის კონცეფციის“ (the Stackelberg Concept) სახელით. ეს კონცეფცია ეფუძნება როლების ასიმეტრიულ განაწილებას პოლიტიკურ მხარეებს შორის, რომელთა შორის შეთანხმებაზე დამოკიდებულია პოლიტიკური წონასწორობის მიღწევა. თუ დაუშვებთ, რომ პოლიტიკური მხარეების რაოდენობაა ორი (ე.ი. კლასიკური ოლიგოპოლია - დუოპოლი), თითოეული მხარის სტრატეგიაა, არასრულყოფილი ინფორმაციის მიუხედავად, წაიედს თანამშრომლობაზე მეორე მხარესთან, მაგრამ იმ მიზნით, რომ თავისი პოლიტიკური მიზნები წარმოაჩინოს როგორც საუკეთესო პროგრამა და შეეცადოს მის მაქსიმალურად განხორციელებას. ბუნებრივია, მეორე მხარეც ანალოგიურად ცდილობს პოზიციონირებას. ორი

პოლიტიკური  
საზოგადოებრივი  
მეცნიერება



### მეცნიერება

ასეთი მითამაშის პირობებში (რომელთაც არ უყვართ, მაგრამ ჭირდებათ ერთმანეთი), გადაწყვეტა, თუ მოლაპარაკების დროს რომელი მხარე ხელისუფლებაში. მას, როგორც აქტუალურ მთაფრობას, მიაჩნია, რომ შესაბამისი პოლიტიკური ინსტრუმენტების ფლობის გამო არ გაუჭირდება მეორე მხარის სტრატეგიის გამოცნობა და მათი გათვალისწინება მოლაპარაკების დაწყების წინ.

თითოეული მხარის ( $i=1,2$ ) პოზიციები ასახულია ხარვეზლიანობის ფუნქციაში  $u_i$  (the instantaneous Utility function):

$$(3.01) \quad u_i(\theta_i) = y - H[\theta_i(\bar{e} - e_i), \pi_i].$$

$H_i$  - აღნიშნავს ხარვეზებს, რომელთანაც დაკავშირებულია პოლიტიკური წონასწორობის მიღწევა, აქვს მხოლოდ დადებითი განზომილება  $[H_1(\cdot) > 0; H_2(\cdot) > 0]$  ორივე მხარისათვის და დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- ინფლაცია  $-\pi_i$ , რომელთანაც  $H_i$  ასევე

პირდაპირ კავშირშია:  $\frac{\partial H_i}{\partial \pi_i} > 0$ ;

- რეალური რევალვაციის ( $e_i \uparrow$ )

პოლიტიკური ვექტი, რომელთანაც  $H_i$  პირდაპირ

კავშირშია:  $\frac{\partial H_i}{\partial [\theta_i(\bar{e} - e_i)]} > 0$ ;

- პოლიტიკური პარამეტრი  $-\theta_i$ , რომელიც

გამოხატავს რეალურ რევალვაციათან დაკავშირებულ პოლიტიკურ ხარვეზებს თითოეული მხარისათვის.  $\theta_i$  ერთადერთი

ურთიერთგანსხვავებული სიდიდეა პოლიტიკურ მხარეებს შორის. ის ვეზოგუნური და შემთხვევითი (hazard) სიდიდეა, თავისი მინიმალური ( $\underline{\theta}$ ) და მაქსიმალური ( $\bar{\theta}$ ) საზღვრებით.

თითოეული პოლიტიკური მხარისთვის ცნობილია მხოლოდ საკუთარი პარამეტრი  $\theta_i$  და მისი ალბათობის  $G(\theta)$  განაწილება. ასეთ სტოხასტურ გარემოში ვადუტის რეალურ რევალვაციაზე მათი რეაქცია ურთიერთგანსხვავებულია, რის გამოც განსხვავდება მათი სტრატეგიები იმის შესახებ, თუ როდის უნდა დაიწყოთ და როგორ უნდა წარმართონ ღობიზში იმ მიზნით, რომ მთაფრობამ და ეროვნულმა ბანკმა დაიწყოთ ეალუტის ხელფონური გაუფასურება.

ორივე მხარის პოლიტიკური პარამეტრი განხილვრავს აგრეთვე,  $T_i$  დროს დაწყდება მოლაპარაკება როდესაც ის მხარს დაუჭერდა გადასახადების გაზრდას.  $T_i$  და  $\theta_i$  შორის პირდაპირი კავშირია:

$$(3.02) \quad T_i = T_i(\theta_i); \quad \frac{\partial T_i}{\partial \theta_i} < 0.$$

ყ წარმოადგენს იმ გადასახადების საერთო რაოდენობას, რაც პოლიტიკური მხარეების უკან მდგომმა ინტერესთა ჯგუფებმა სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადეს ნომინალური ვადუტის კურსის დაფიქსირების  $t=0$  მომენტამდე. რამდენადაც პოლიტიკური მოლაპარაკებები  $t=0$  შემდეგ იწყება, ორივე ჯგუფის საგადასახადო წილი სახელმწიფო ბიუჯეტში უცვლელი რჩება მოლაპარაკების დასრულებამდე. ამ მოლაპარაკების საგანი კი არის სწორედ ის, თუ მხარეებს შორის როგორ უნდა გადანაწილდეს  $R_i$ -ს დაფინანსება, რომელიც ასახავს დამატებით გადასახადებს ბიუჯეტში ინფლაციური გადასახადების შემცირების გამო. დაუშვათ, რომ ერთ-ერთი მხარე  $R_i$ -ის დაფინანსებას სრულიად აიღებს თავის თავზე. მაშინ, ამ დაშვების მიხედვით, ეს პოლიტიკური მხარე მოლაპარაკებიდან წაგებული, ხოლო მეორე მხარე - მოლაპარაკებიდან მოგებული გამოვა. თუ მოლაპარაკებაში ასეთი რადიკალური შედეგი  $T$  მომენტში მიიღწევა, წაგებული და მოგებული მხარის სარგებლიანობის ფუნქცია შემდეგნაირად გამოისახება:

$$(3.03) \quad u_L^T = y - R_T, \quad L - \text{loser};$$

$$(3.04) \quad u_W^T = y, \quad W - \text{winner}.$$

„ბრძოლა გამოფიტვამდე“ (the war of attrition) ასახავს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესს. რამდენადაც პოლიტიკური პარამეტრი  $\theta_i$  შემთხვევითი სიდიდეა, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ასიმეტრული ინფორმაციის პირობებში, რის გამოც მოსალოდნელია პოლიტიკური მოლაპარაკების დროში გაწველვა მხარეებს შორის ურთიერთგამოფიტვამდე. ყოველი მხარე ცდილობს, თავისი თანხმობა რაც შეიძლება გადადოს დროში, ჩაიყენოს თავი „Free Rider“-ის პოზიციაში, რათა მეორე მხარემ როდესაც დაარღვიოს პატიის სიტუაცია და  $T$  მომენტში დათანხმდეს  $R_i$  -ის

ახალი ეკონომიკა

სრულად დაფინანსებას და ამ გზით მიღწეულ იქნეს პოლიტიკური შეთანხმება (ე.ი. პოლიტიკური წონასწორობა).

აღნიშნით  $x = F(T)$  იმის ალბათობა, რომ პოლიტიკური წონასწორობა  $T$  მომენტში მიღწევა. მაშინ, ამ ალბათობის გათვალისწინებით, შესაძლებელია როგორც მოგებულის, ისე წაგებულის სარგებლიანობის ფუნქციის შემდგენიარად სრულყოფა: (3.05)

$$U_j^T = \int_0^T u_x(\theta) \exp(\rho x) dx + \frac{U_j^I}{\rho} \exp(\rho T), \quad j = (W; L)$$

პოლიტიკური წონასწორობის მოდელირების მეორე კომპონენტია დროის ფაქტორი, რომელიც  $\{T_1(\theta), T_2(\theta)\}$ -ის საშუალებით გამოხატავს პოლიტიკური შეთანხმების ოპტიმალურ მომენტს, ამასთან: (3.06)

$$T_i(\theta; \bar{\theta}_i) = 0,$$

სადაც  $i = 1, 2$ . რამდენადაც  $\theta_1$  და  $\theta_2$ , როგორც ინფლაციისა და რეალური გამყარების ფუნქციები, თანაბარია ორივე მხარისთვის, და, გამარტვების მიხედვით, შესაძლებელია ნაშ-წონასწორობის განხილვა ინფორმაციის ასიმეტრიული განაწილების პირობებში.

ინფორმაციის ასიმეტრიულობის გამო ნაშ-წონასწორობა განისაზღვრება  $T(\theta)$  ფუნქციით. ისე, რომ თითოეული მხარის სტრატეგიაა,  $T_i$  მომენტში მოახდინოს თავისი სარგებლიანობის მოლოდინის მაქსიმიზაცია, როშელიც ინტერტემპორალური ფუნქციაა.

სარგებლიანობის მოლოდინი  $EU(T_i)$  გამომდინარეობს (3.06) ტოლობიდან და განისაზღვრება  $x_j = F(T_i)$  ალბათობით შეწონილი როგორც მოგებულის, ისე წაგებულის სარგებლიანობის ფუნქციებით:

$$(3.07) \quad EU(T_i) = [1 - F(T_i)]U_i^L + \int_0^{T_i} U_i^W f(x) dx.$$

(3.07) - ის 1. შესაკრებში, თუ ერთ-ერთი მხარე  $T_i$  მომენტში გამოაცხადებს მზადყოფნას, რომ თავის თავზე აიღოს  $R_i$ -ის სრულად დაფინანსება, მას, როგორც წაგებულ მხარის სარგებლიანობის ფუნქცია  $U_i^L$  შეწონილია იმის  $[1 - F(T_i)]$  ალბათობით, რომ მეორე მხარე  $T_i$  მომენტამდე არავითარ დათმობაზე არ მიდის.

$$(3.08) \quad U_i^L = \int_0^{T_i} u_x(\theta_i) \exp(-\rho x) dx + \frac{U_i^L}{\rho} \exp(-\rho T_i).$$

მეორე მხრივ, (3.07) - ის 2. შესაკრებში, მოგებულ მხარის სარგებლიანობის ფუნქცია განისაზღვრება მხოლოდ  $T_i$ -თი, ე.ი. დროის იმ მომენტით, რომლის გასვლამდე გამარჯვებული მხარე  $R_i$ -ის სრულად დაფინანსებაზე არ არის თანახმა.

$$(3.09) \quad U_i^W = \int_0^{T_i} u_x(\theta_i) \exp(-\rho x) dx + \frac{U_i^W}{\rho} \exp(-\rho T_i).$$

მოდელის ამოცანაა, პოლიტიკური წონასწორობის განსაზღვრა დროის  $T_i$  მომენტის (3.02) ფუნქციის მიხედვით. (3.08) და (3.09) ფუნქციების გათვალისწინებით, შესაძლებელია სარგებლიანობის მოლოდინის  $EU(T_i)$  ფუნქციის სრული გაწარმოება: (3.10)

$$\frac{dE(U_i)}{dT_i} = \exp(\rho T_i) \left[ \frac{R_i}{\rho} f(T_i) + [1 - f(T_i)] [-H(\bar{\theta}_i - e_i) \pi_i] \right];$$

(3.02)-დან  $T_i$ , როგორც პოლიტიკური წონასწორობის ოპტიმალური მომენტი, ინვერსულ კავშირშია  $\theta_i$  პოლიტიკურ პარამეტრთან

$$\left( \frac{\partial T_i}{\partial \theta_i} < 0 \right),$$

რის გამოც სარგებლიანობის მოლოდინის  $EU(T_i)$  ფუნქციის მეორე რივის წარმოებული  $\theta_i$  პოლიტიკური პარამეტრის მიმართ უარყოფითია (ე.ი. კონვექსური კავშირი): (3.11)

$$\frac{\partial^2 EU}{\partial \theta_i^2} = -\exp(\rho T_i) [1 - F(T_i)] H(\bar{\theta}_i - e_i) \pi_i (\bar{\theta}_i - e_i) < 0$$

ყოველი  $i$  პოლიტიკური მხარისათვის  $\hat{\theta}_i$  აღნიშნავს პოლიტიკური პარამეტრის პარეტო-ოპტიმალურ (PoP) დონეს, რომელშიც ჩადებულია სწორედ დროის ის  $T_i$  მომენტი, რომელსაც მოხალდონელი პოლიტიკური წონასწორობის მიღწევა.  $\hat{\theta}_i$ -ის გათვალისწინებით, სარგებლიანობის მოლოდინი შემდგენიარად განისაზღვრება:

ბიზნეს-ეკონომიკის ინსტიტუტი



$$(3.12) \quad EU(\hat{\theta}_1, \theta_1) = G(\hat{\theta}_1) \left[ \int_{\bar{\theta}}^{\theta} -u_x(\theta_1) \exp[-\rho T(x)] T'(x) dx + \frac{u_x^L(\hat{\theta}_1)}{\rho} \exp[-\rho T(\hat{\theta}_1)] \right] \\ + \int_{\bar{\theta}}^{\theta} \left[ \int_{\bar{\theta}}^{\theta} -u_x(\theta_1) \exp[-\rho T(z)] T'(z) dz + \frac{u_x^W(\hat{\theta}_1)}{\rho} \exp[-\rho T(x)] \right] g(x) dx.$$

თუ  $EU[\hat{\theta}_1, \theta_1]$  - ხარვეზდლიანობის მოლოდინის ფუნქციას  $\hat{\theta}_1$ -ს მიმართ ცალმხრივად გააწარმოებთ და ამ წარმოებულს მაქსიმიზაციის

მიზნით  $\frac{\partial EU(\hat{\theta}_1, \theta_1)}{\partial \hat{\theta}_1} = 0$  გაუტოლებთ, ამასთან

გავითვალისწინებთ (1.10);(3.01);(3.03);(3.04), მივიღებთ ფორმულას, რომელიც ასახავს ნაშ-წონასწორობის ფორმულას, რომლის პირობებშიც თითოეული პოლიტიკური მხარისათვის შესაძლებელია ოპტიმალური გამოსავლის მიღწევა  $T(\theta)$  მომენტისათვის.

$$(3.13) \quad \left[ -\frac{g(\theta)}{G(\theta)T'(\theta)} \right] \frac{R_T(\theta)}{\rho} = H \left[ \theta (e^{-\rho T(\theta)} - e^{-\rho T(\theta)}) \pi_T(\theta) \right]$$

ამასთან  $\theta = \hat{\theta}_1$  პოლიტიკური პარამეტრი, რომლისთვისაც  $sign \frac{dEU}{d\hat{\theta}_1} = sign(\theta - \hat{\theta}_1)$  და

$T(\bar{\theta}) = 0$ , არის იმეფროსულად მისი ზღვრულად ოპტიმალური დონე, და გამოხატავენ პოლიტიკური წონასწორობისათვის ოპტიმალური მომენტის ფულად განზომილებას. შესაბამისად, (3.13) -ში მარცხენა მხარე  $T(\bar{\theta})$  -ის ოპტიმალური დონიდან არახელსაყრელ, ხოლო მარჯვენა მხარე - ხელსაყრელ გადახრას გამოხატავენ. დროის მომენტების დროის არახელსაყრელ და ხელსაყრელ მომენტებზე დაყოფა მიუთითებს იმაზე, რომ ოპტიმალური მომენტის გაცვლის შემდეგ პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა ვეღარ მოხერხდება (ე.ი. ვერ დამყარდება პოლიტიკური წონასწორობა).

(3.13) -ში მოცემული პოლიტიკური წონასწორობა ითვალისწინებს აგრეთვე უკანდასახე ნაბიჯს მხარეებისათვის. მართლაც, ისინი „ეთამაშებიან“ ერთმანეთს, თუ როდის წავა მფორე მხარე დათმობაზე ამის გამო, პოლიტიკური მოლაპარაკებები იწყება დროში და ხდება დამდღელი ორივე მხარისათვის, რამდენადაც

პოლიტიკური მოლაპარაკებების ხარვეზები იზრდება ერთის მხრივ ვალუტის რეალური გამჭარბვის, მეორე მხრივ კი მიუჯეტის დეფიციტის ზრდის გამო.

ზღვრული პირობა  $T(\bar{\theta}) = 0$  მიიღება იქედან, რომ ყოველი  $\theta \leq \bar{\theta}$  - თვის ერთმა მხარე შეიძლება მიადწიოს დათმობას მეორე მხარისაგან. თუ  $g(\bar{\theta}) \neq 0$ , მაშინ დათმობა მოხალღვნელა ეკვლა  $\theta \neq \bar{\theta}$ , რის გამოც პოლიტიკური წონასწორობის მისაღწევა დროის ერთადერთ ოპტიმალურ მომენტად რჩება  $T(\bar{\theta}) = 0$ .

პოლიტიკური მოლაპარაკება იღებს „გამოფიტვამღ ბრძოლის“ ხასიათს იმის გამო, რომ თითოეული მხარე დგას არჩეუანის წინაშე ან დათმოს  $T(\bar{\theta})$  მომენტამღ, ან, ღოღინის ხარვეზებისა და ხარვეზდლიანობის გათვალისწინებით, დაელოღს დათმობას მეორე მხრიდან. ხანამ ღოღინის ხარვეზები არ აღემატება ღოღინის ხარვეზდლიანობას, მხარეს უღირს დაღოღება და ღოღინის ხარვეზდლიანობა ექვემდებარება იმის აღბათობას, რომ მეორე მხარე დაითანხმოს  $R_T$ -ის დაფინანსებაზე.

(3.13) ნაშ-წონასწორობის შესაბამისი დროის ფუნქციის  $t = T(\theta)$  დახმარებით შესაძლებელია ღოღინის ხარვეზდლიანობის ფუნქციის შემდგენარად გამოხატა:

$$(3.14) \quad \Phi_t = T^{-1}[T(\theta)] = \theta.$$

როგორც ხედავთ, ღოღინის ხარვეზდლიანობის ფუნქცია (3.14) განისაზღვრება მხოლოდ პოლიტიკური პარამეტრით  $\theta$ , რომლისთვისაც (1.10)  $R_t = R_0 \cdot \exp(\rho t)$  გათვალისწინებით წონასწორობის პირობა შემდგენარად მიიღება:

$$(3.15) \quad \Phi_t = \frac{G(\Phi_t)}{g(\Phi_t)} \frac{\rho H[\Phi_t(\bar{e} - e_t)] \pi_t}{R_0 \exp(\rho t)}$$

$T$  მომენტამღ ფისკალური შეთანხმების მიღწევა ექვემდებარება  $Z_t$  აღბათობის

ახალი მარეზონანსი

განაწილებასა და აისახება შესაბამის სიმჭიდროვის ფუნქციაში (the Density Function):

$$(3.16) \quad Z(T) = 1 - [G(\theta)]^T;$$

$$(3.17) \quad z(T) = Z'(T) = -2G(\theta) \cdot g(\theta) \cdot T'(\theta).$$

ახლა უკვე (3.15), (3.16) და (3.17) - შეგვიძლია მოვახდინოთ  $h_i$ -ის, როგორც ფისკალური შუთანხმების მიღწევის ალბათობის, ენდოგენიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ 1. თავში მოცემული იყო როგორც ეგზოგენური სიდიდე  $h_i$ -ის ენდოგენიზაციის მიზანია, რომ განვენოთ შემდეგი: როგორც ლოდინის ხარვეზლიანობის შემცირება, ისე  $R_i$ -ის ზრდა ამცირებს საზოგადოების ნდობის ხარისხს სტაბილიზაციის პროგრამის მიმართ:

$$(3.18) \quad h_i = \frac{z_i}{1-Z_i} = \frac{2 \cdot g(\theta) \cdot \Phi_i}{G(\theta)} = \frac{2\rho H[\Phi(\bar{e}-e_i); \pi_i]}{R_i}$$

სადაც

$$(R_i \uparrow \Rightarrow h_i \downarrow); (\Phi \downarrow \Rightarrow h_i \downarrow).$$

მიღების უკანასკნელი ამოცანაა, პოლიტიკური წონასწორობის ობტიმალური მომენტისა  $T(\bar{\theta})$  და, წინა თავიდან, საგადასახადო ბალანსის კრიზისის  $T^C$  - კრიტიკული მომენტის ურთიერთშედარება. ცხადია, რომ პოლიტიკური წონასწორობის შემთხვევაში  $T(\bar{\theta}) = T^C(\cdot)$ . წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ორი საპირისპირო სცენარი:

1. თუ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მნიშვნელოვანია და საგადასახადო ბალანსის კრიზისი მოახლოებულია, მხარეები დიდი (თითქმის 100%-იანი) ალბათობით შეუცდებიან პოლიტიკური შუთანხმების მიღწევას  $T^C$ . მომენტალურ სცენარის ასეთი განვითარება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ შექმნილი პატ-სიტუაცია მოლაპარაკების ხარვეზს შეამცირებდა საგადასახადო ბალანსის კრიზისის მოლოდინში.

